გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 4 ნოემბერი, 2005 წელი.
№256 (5289)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ხალხური სიტყვაა, ცრუპილობით და ჭორებით ხელის გასვლა ყველა ჯერ-ხისხლის ურცხვად დაგიგინება.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

## ჩავალთ რაჭაში სამაჩაბლოს ტერიტორიის გავლით?



**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რაჭის მოსახლეობას პირობას აძლევს, რომ უახლოეს მომავალში ისინი თბილისიდან რაჭაში სამაჩაბლოს ტერიტორიის გავლით ჩავლენ.**

ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ონში სინაგოგას 110 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე განაცხადა.

— მთავარი პრობლემა არის ის, რომ ჩვენ ონში ამოსვლისთვის ერთი ქართული წერტილიდან მეორე ქართულ წერტილამდე შორი გზით მოვდივართ და მოკლე გზას გვერდს ვუვლით, — განაცხადა პრეზიდენტმა და აღნიშნა, რომ ავტომობილით თბილისიდან ონამდე მგზავრობას 6-7 საათი სჭირდება, მაშინ, როცა არსებობს გაცილებით უფრო მოკლე გზა, რომელიც სამაჩაბლოს ტერიტორიაზე გადის. თუმცა, მისივე თქმით, 15 წელია რაჭის მაცხოვრებლები ამ გზით ველარ სარგებლობენ.

— მე არ ვაპირებ, რომ ამას შევეგუო, — აცხადებს პრეზიდენტი.

საქართველოს პრეზიდენტი გუშინვე ონის რაიონში მურმან ლებანიძის ძეგლის გახსნას დაესწრო და მისი დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი ლექსის სტრიქონებიც შეგვახსენა:

**თუ შენ გკითხეს,**
**თუ მე მკითხეს,**
**თუ ხალხი ვართ**
**და ხალხი ვართ ღირსეული,**
**ის გრანიტში უნდა იდგეს**
**აზიიდან ევროპისკენ მიქცეული.**

შემდეგ პრეზიდენტი ამბროლაურის რაიონში გაემგზავრა.

ინტერპრესნიუსი

## პრეზიდენტის პრინციპულ სიტყვასაც არაფრად ვაგდებთ?!

**ბატონო პრეზიდენტო, მაღალი რანგის ჩინოვნიკებს თქვენამდე სათქმელი არ მოაქვთ. საკითხის მოგვარებაში ან არ ერევიან, ან მას კანონსაწინააღმდეგოდ წყვეტენ, იმ კლანის სასარგებლოდ წყვეტენ, ვისაც მფარველები პარლამენტში ან მთავრობაში ჰყავთ.**



იხ. მე-3 გვ.

## გავიქირვოთ, მაგრამ მაინც როდემდე, ბატონო ბესო ჯუღელო?



იხ. მე-2 გვ.

## ⊙ ინფორმაცია

### ბენდუქიძემ აქციები გაყიდა...

**კახა ბენდუქიძემ** „გაერთიანებულ მანქანათმშენებლობის ქარხანაში" თავისი აქციები გაყიდა.

როგორც რუსეთის საინვესტიციო ბანკ „გაერთიანებული ფინანსური ჯგუფის" მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, რუსულმა საინვესტიციო ჯგუფმა „გაერთიანებულ მანქანათმშენებლობის ქარხანაში" საქართველოს სახელმწიფო მინისტრ კახა ბენდუქიძის წილი შეიძინა, რომელიც 42.16 პროცენტს შეადგენდა.

„გაერთიანებული ფინანსური ჯგუფის" წარმომადგენლის განცხადებით, „გაერთიანებულ მანქანათმშენებლობის ქარხნის" სტრატეგიული მიზანი ძირეული ბიზნესის განვითარება, სრული შიდა რეორგანიზაცია და მისი ოპერაციების შედეგად შემოსავლების გაზრდაა.

### შალვა ნათელაშვილი ადანაშაულებს

**საქართველოს** ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს სააქციო საზოგადოება „მადნეულის" უკანონო პრივატიზებაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ „მსოფლიოს ოქროს მაფიოზთა ოჯახებს სააკაშვილების სახით ახალი სუბიექტი შეემატა".

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ნათელაშვილმა განაცხადა, „მადნეულის" მყიდველი ბრიტანული კომპანია „სტენტონ ექუითიზ კორპორეიშენი", რომელიც რუსული კომპანია „პრომიშლენნიე ინვესტორის" შვილეულია, არა ლონდონში, არამედ ვირჯინიის კუნძულებზე, ოფშორულ ზონაშია რეგისტრირებული.

„ლეიბორისტთა" ლიდერის მტკიცებით, „სტენტონ ექუითიზ კორპორეიშენის", მფლობელი პრეზიდენტის ბიძა თემურ ალასანიაა, რომელიც „პრომინვესტის" მფლობელის და ელცინის მთავრობის ენერგეტიკის მინისტრის გენერალოვის უახლოესი მეგობარია.

შალვა ნათელაშვილი აღნიშნული პრივატიზაციის წინააღმდეგ უახლოეს მომავალში სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავს, თუმცა როგორც თავად განაცხადა, პრეზიდენტის მიერ მართული სასამართლო ხელისუფლების პირობებში გამარჯვების იმედი ნაკლებად აქვს.

### აფხაზეთი ბიუჯეტს ზრდის

**აფხაზეთის** თვითგამოცხადებული რესპუბლიკის 2006 წლის ბიუჯეტი 32 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. ახალი ხელისუფლების პირობებში აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ბიუჯეტი 9 მილიონი დოლარით გაიზარდა.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა ბესლან კუბრავამ აფხაზურ პარლამენტს დასამტკიცებლად 2006 წლის ბიუჯეტი წარუდგინა, რომელიც 901 მილიონ რუსულ რუბლს, ანუ 32 მილიონ აშშ დოლარს შედგენს.

კუბრავას განცხადებით, 2005 წლის ბიუჯეტთან შედარებით, 2006 წლის ბიუჯეტი 257 მილიონი რუსული რუბლით, ანუ 9 მილიონი აშშ დოლარით გაიზარდა.

ინტერპრესნიუსი

## ⊙ პანორამა

**ბრიტანული** ბულვარული გაზეთის „სანის" მთავარმა რედაქტორმა რებეკა უეიდმა მუშტიკრივი გაუმართა თავის ქმარს, მსახიობ როს კემპს, როცა იგი ტელესტუდიაში აპირებდა წასვლას. ჩხუბის დროს რებეკამ ქმარს ტუჩი გაუხეთქა. შეშფოთებული მეზობლები იძულებული გახდნენ, დილის 4 საათისთვის დაერეკათ პოლიციაში, რათა დაეშოშმინებინათ განრისხებული ცოლი.

* * *

**დევიდ ბლანკეტის** გადადგომით ტონი ბლერი დაკარგავს ძირითად მოკავშირეს მინისტრთა კაბინეტში, რადგან, ლეიბორისტებმა მისი უმრავლესობა თემთა პალატაში ერთ ხმამდე შეამცირეს, ხოლო ბლერის მიერ შეტანილი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონპროექტიდან ქვა ქვაზე არ დატოვეს, — წერს ბრიტანული გაზეთი „დეილი ტელეგრაფი".

* * *

**გაზეთ** „ვაშინგტონ პოსტის" მონაცემებით ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს აქვს ტერორისტებისთვის განკუთვნილი საპყრობილეების ქსელი ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის იორდანია, ეგვიპტე, მაროკო, ავღანეთი, აგრეთვე აღმოსავლეთი ევ-



როპის ერთ-ერთი სახელმწიფო. გაზეთის მონაცემებით, 100 „საიდუმლო პატიმარი" გადაიყვანეს ამ ქვეყნებში. აღსანიშნავია, რომ ტაილანდმა, უნგრეთმა, ლიტვამ, სლოვაკეთმა, ბულგარეთმა და რუმინეთმა სასწრაფოდ განაცხადეს, რომ მათ ტერიტორიებზე არ არსებობს არანაირი საიდუმლო საპყრობილეები.

* * *

**მალაიზიაში** იპოვეს უზარმაზარი პითონი, რომელსაც სუნთქვა უჭირდა. გარკვეული დროის შემდეგ ქვეწარმავალს კუჭი გამოებერა და მისი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. მალე კი იგი მოკვდა კიდეც. გვამის გაკვეთის დროს აღმოჩნდა, რომ პითონს გადაეყლაპა საკმაოდ დიდი ზომის თხა, რომელიც ნაწილობრივ უკვე მოენელებინა კიდეც.

## ასე რამ გააღიზიანა ირანი?

იხ. მე-5 გვ.

ანონსი

## გენერალისიმუსის გზა



აკი თავადვე ამბობდა, რომ დრო და ადამიანები სამართლიანად თუ უსამართლოდ ბევრ სიბინძურეს დააყრიდნენ მის საფლავს, მაგრამ ისტორიის სწორად განმსჯელი ქარი დროთა განმავლობაში გაფანტავდა ამ სიბინძურეს. ეს დრო, რასაკვირველია, ჯერ არ დამდგარა, ეს უფრო მომავლის საქმეა, მაგრამ, ცხადია, რომ ჩვენი უახლოესი წარსულის ანალიზის ცდა უკვე დაწყებულია. ერთ-ერთ ასეთ ცდას წარმოადგენს თვალსაჩინო ყირგიზი მწერლის **კოჩკენ საქტანოვის** წიგნი — **„სტალინის შემდეგ"**.

იხ. მე-3 გვ.

## ოცნებაში ზღაპრულ ქვეყნად ჩახატული საქართველო




იხ. მე-8 გვ.

შტრიხკოდი

ОГОНЁК

## ლენინის ნეშტის ერთგულნი

**თითქოსდა,** ყველაფერი დასრულდა. რევოლუციის დღესასწაულებს ჯერ სახელი გადაარქვეს, შემდეგ კი საერთოდ აკრძალეს მათი აღნიშვნა სახელმწიფო დონეზე. მაგრამ, როგორც ყოველთვის, 7 ნოემბერს, მოსკოვისა და სხვა ქალაქების ქუჩებში გამოვლენ წითელი იდეის ერთგული ადამიანები. ჩაივლიან ქუჩებში, გამართავენ მიტინგებს მოედნებზე, სასტიკად გააკიცხავენ ანტიხალხურ რეჟიმს და მიესალმებიან თავიანთ მცირერიცხოვან საერთაშორისო მოკავშირეებს. რა თქმა უნდა, კვლავ დადებენ ვლადიმერ ლენინის ერთგულების ფიცს. მაგრამ ეს იქნება არა იმდენად ლენინის საქმეებისადმი, რამდენადაც მისი ნეშტისადმი ერთგულების ფიცი, რომელიც კვლავ დაუმარხავი რჩება.



საქართველოს რესპუბლიკა

№ 256. პარასკევი, 4 ნოემბერი, 2005 წელი.

მთავარი საქმეა!

# აუწევენ ყურს სეპარატისტებს?

**სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში" ეუთოს ორდღიანი სემინარი მიმდინარეობს, სახელწოდებით „თავდაცვის ადვოკატთა როლი სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის საქმეში". შეხვედრას ეუთოს 55 წევრი ქვეყნის სამასამდე დელეგატი და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებიან. გუშინდელ შეხვედრაზე ორი ძირითადი საკითხი განიხილეს: იურიდიული კონსულტაციის ხელმისაწვდომობა; საადვოკატო სამსახურში მიღებისა და რეგულირების წესი. რაც შეეხება მხარეთა თანასწორობას სისხლის სამართლის პროცესში, ამ საკითხზე დღეს ილაპარაკებენ.**

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიუროს შტაბბინა ვარშავაში მდებარეობს, სადაც ყოველწლიურად იმართება მსგავსი შეხვედრები. წლეულს კი ეუთოს სემინარი პირველად საქართველოში ტარდება. ეს მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ეუთოს თანამეგობრობა სერიოზულად უყურებს საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებს.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი მოხარულია, რომ ეს სემინარი საქართველოში ტარდება ეუთოს ამგვარ გადაწყვეტილებას ბეჟუაშვილი საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრებას მიაწერს. იუსტიციის მინისტრი კოტე კემულარია კი მიიჩნევს, რომ ეს შეხვედრა არის აღიარება და მხარდაჭერა ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით საქართველოში განხორციელებული რეფორმებისა.

ფორუმში მონაწილეობის მისაღებად საქართველოში ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიუროს დირექტორი ქრისტიან სტროჰალი ჩამოვიდა. იგი ქართველ იურისტებს, უცხოელ ექსპერტებს სასამართლო პროცესის სამართლიანობაზე საკუთარ პოზიციას უზიარებდა. მისი აზრით, საჭიროა სამართლიანი პროკურორები, კანონმორჩილი მოსამართლეები და დამოუკიდებელი ადვოკატები, აგრეთვე კანონმორჩილი პოლიციელები, რომლებიც პატივს სცემენ ადამიანის უფლებებს. მისი თქმით, ხელისუფლება უნდა ასამართლებდეს პირს, მაგრამ ამავე დროს იცავდეს მის უფლებებს.

როცა საკითხი სასამართლო უწყებას ეხება, ყოველმა მეორე ადამიანმა იცის თუ რა ფუნქცია აკისრია დღეს მას. სასამართლოს ხშირად პროკურატურის მოთხოვნების შემსრულებელ ორგანოდ მოიაზრებენ. მიუხედავად ამისა, ბატონი ქრისტიანი ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით საქართველოში მიმდინარე რეფორმებით მაინც კმაყოფილია.

კოტე კემულარია ადასტურებს, რომ დღეს ადვოკატი თავისუფალია. ისინი ქმნიან ერთიან ასოციაციას, მოქმედებენ დამოუკიდებლად. ამასთან, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის იუსტიციის სამინისტრომ შექმნა სახაზინო ადვოკატის ბიუროები თბილისსა და ზესტაფონში, რომელთა მუშაობას უცხოელი ექსპერტები მუდმივად თვალს ადევნებენ.

ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლებისგან და აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკისგან განსხვავებით საქართველო არის საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. ამდენად, კონფლიქტურ ზონებში მცხოვრები ადამიანების უფლებების დაცვა სწორედ ჩვენს ქვეყანას ევალება. კემულარია აცხადებს, რომ ქართული მხარე ამ ვალდებულებას ნაწილობრივ ასრულებს, ბევრი რამ კი საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაციების ჩაურევლად არ კეთდება. მინისტრი იმედოვნებს, რომ ეუთო ახლო მომავალში კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთვება ამ პროცესში. ამის იმედს ქართულ მხარეს ქრისტიან სტროჰალიც აძლევს. ეს საკითხი უფრო ფართო კონტექსტში განიხილება და ეუთოს მისია საქართველოს კონფლიქტების მოგვარებაში დაეხმარება.

მნიშვნელოვანია, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ქართული მხარე ცხინვალსა და აფხაზეთში მიმდინარე კანონდარღვევებზე, მონიტორინგს ახორციელებს, რაც შემდეგ წერილობით აისახება და საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით ელჩებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს ეგზავნება.

გარდა ამისა, საქართველო მუდმივად თანამშრომლობს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან, უახლოეს მომავალში ქართული მხარის ინიციატივით სტრასბურგის სასამართლოში სარჩელები შევა, რომელშიც ცხინვალსა და აფხაზეთში ადამიანის უფლებათა დარღვევები აისახება.

საკითხავია, ამაზე რეაგირება იქნება? სეპარატისტებს პასუხი მოეთხოვება? ჩვენ გვინდა საქმე და არა მხოლოდ ლაპარაკი!

**ლელა ცქიტიშვილი**

რეპლიკა

# პირზე მომდგარსა სიტყვასა...

## გავიჭირვოთ, მაგრამ მაინც როდემდე, ბატონო ბესო ჯუღელო?

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 2 ნოემბრის ნომერში წავიკითხე საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „მაჟორიტარის" თავმჯდომარის ბატონ ბესო ჯუღელის ინტერვიუ. ჩემი ყურადღება მიიპყრო მისმა დაუდევრად ნასროლმა სიტყვებმა: „ხალხს თხუთმეტი წელია უჭირს და ცოტაც გაიჭირვოსო". თანაც, ხალხს უჭირსო, გვიჭირსო კი არ თქვა. ამას ამბობს წარმატებული ბიზნესმენი და, რომ უჭირს, იმ ხალხის „რჩეული".**



**ცოტა, მოვითმინოთ? — მაინც რამდენი, ჩემო ბატონო, პარლამენტში თქვენი ყოფნის ვადის დამთავრებამდე თუ მომდევნო ვადითაც?**

გაჭირვების მოთმენა რომ ხალხის ხვედრია, ეს მან იცის, მაგრამ პარლამენტში იმ ხალხის მეშვეობით რიხით მოსული მსხვილი ბიზნესმენი ამას ასე უაპელაციოდ ნამდვილად არ უნდა ახმიანებდეს.

ხალხმა ისიც იცის, რომ საბაზრო ეკონომიკას ვამკვიდრებთ და მდიდართა ფენის ჩამოყალიბება მდიდარი საზოგადოების შექმნის საწინდარია, რადგან ამით სოციალურად დაუცველი ფენებისათვის ქველმოქმედების გაწევის მეტი საშუალება იქმნება.

სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობამ დღეს ერთადერთი ქართველი ბიზნესმენი იცის, ვინც ტაძრებსა და ეკლესიებს, თეატრებს, სკოლებს, საავადმყოფოებს აშენებს და არემონტებს, მოსახლეობას უანგაროდ და უხმაუროდ ეხმარება ყოველგვარი სატელევიზიო ეკრანებისა და მიკროფონების, სამთავრობო რეგალიებისა და ინტერვიუების გარეშე. იქნებ მაგალითი აგეღოთ და მისთვის მიგებაძათ?

მაგრამ თქვენ და თქვენნაირთა (განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში გამდიდრებულთა) ხვედრი საქართველოში მხოლოდ ერთეულებს ერგოთ. საზოგადოებამ (ხალხმა) კარგად იცის, თუ რისთვის ილვწიან ხელისუფლებაში მყოფნი, ან რატომ უნდათ საკანონმდებლო წესით თავიანთი ბიზნესის ლეგალიზება.

**მწერალ ე. ჰეილს (აშშ) თურმე ერთხელ ჰკითხეს: „დოქტორ ჰეილ, თქვენ სენატისათვის ლოცულობთ?", რაზედაც მან უპასუხა: „არა, მე სენატს ვუყურებ და ხალხისთვის ვლოცულობ".**

ასი წლის წინათ ნათქვამი ეს სიტყვები დღესაც უცვლელად შეიძლება მოერგოს მრავალ ჩვენს მაღალჩინოსანს.

**ავთანდილ ქუთათელაძე**

ინფორმაცია

## პრეზიდენტის დავალების ძალა...

**ქვემო** ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული ზურაბ მელიქიშვილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დავალების შესრულებას შეუდგა და გუშინ დილით მოსახლეობასთან შეხვედრები გამართა.

ზურაბ მელიქიშვილმა შეხვედრა გარდაბნის რაიონიდან დაიწყო. იგი სოფელ ვახტანგისის საშუალო სკოლის ეზოში მოსახლეობას შეხვდა და მათ პრობლემებს ადგილზე გაეცნო.

მოსახლეობის თქმით, ვახტანგისში ბუნებრივი გაზისა და გზის პრობლემაა მოსაგვარებელი. ვახტანგისის შემდეგ პრეზიდენტის რწმუნებული სოფელ ნაზარლოსა და ქესალოში ჩავიდა და ადგილობრივ მცხოვრებლებს სკოლის ეზოებში შეხვდა.

— მსგავსი შეხვედრები ადრეც გვქონდა. მოსახლეობას არ აქვს იმის მოლოდინი, რომ რაც 13 წლის განმავლობაში ინგრეოდა, ერთბაშად გაკეთდება. აქ არის საუბარი რეალურ გადაწყვეტილებებზე და საქმეზე. რაც კარგი კეთდება, ამას ხალხი ხედავს. ჩვენ გულხელდაკრეფილები არ ვზივართ კაბინეტებში. გარდაბნის რაიონში არ დაგვრჩა სოფელი, სადაც რამე არ გაგვეკეთებინა. ეს არის სკოლების რემონტი, გაზიფიკაციის მოგვარება, ამბულატორიების აშენება, — განაცხადა მელიქიშვილმა.

მელიქიშვილი ვახტანგისში, ნაზარლოსა და ქესალოში გამართული შეხვედრების შემდეგ, უკვე სვანების მიერ კომპაქტურად დასახლებულ სოფელ ლემშვენიერაში ჩავა, სადაც ასევე სოფლის მოსახლეობას შეხვდება.

## გაუმარჯოს გამსხვილებას?!

**საქართველოში** თვითმმართველობა მხოლოდ რაიონულ დონეზე დარჩება. როგორც გუშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე პარლამენტარმა ვანო ხუხუნაიშვილმა განაცხადა, თვითმმართველობების გამსხვილებას ითვალისწინებს ორგანული კანონი, რომელიც უცხოელი ექსპერტების დახმარებით და მათი კონსულტაციების შედეგად მომზადდა.

— შემუშავებული კანონპროექტის მიხედვით, სოფლებში საკრებულოები აღარ იქნება და მხოლოდ რაიონის დონეზე იფუნქციონირებს. რაიონში იქნება ერთი აღმასრულებელი ორგანო, რომელსაც ექნება წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული ერთიანი ბიუჯეტი, — განაცხადა ხუხუნაიშვილმა.

მისი თქმით, ჯერ კიდევ დასახვეწია საკრებულოების დაკომპლექტების მექანიზმი. ამჟამად არსებული ვარიანტის მიხედვით, რაიონის საკრებულოში 20 ადგილი პროპორციული არჩევნების შედეგად დაკომპლექტდება, ხოლო დანარჩენი მაჟორიტარული არჩევნების შედგად.

## აკადემიას ერთ წელიწადში დაამთავრებენ

**თავდაცვისა** და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის გივი თარგამაძის განცხადებით, თავდაცვის ეროვნული აკადემიიდან რეორგანიზაციასთან დაკავშირებით დათხოვნილმა 60-მა კურსანტმა ოფიცერთა მომზადების 9-თვიანი კურსების გავლაზე თანხმობა განაცხადა.

ამის შესახებ გივი თარგამაძემ გუშინ პარლამენტში საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, რეფორმის შემდეგ თავდაცვის ეროვნულ აკადემიას სახელწოდება იგივე დარჩება, თუმცა 4-ის ნაცვლად, კურსანტები ერთი წლის განმავლობაში ისწავლიან.

## „თბილგაზი" არავის დაინდობს

**„თბილგაზმა"** გუშინ ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარებისათვის სასტუმრო „ილიანეს" 600-ლარიანი ჯარიმა დააკისრა.

როგორც „თბილგაზის" გენერალური დირექტორის მოადგილემ ილია ბასიშვილმა განაცხადა, მიუხედავად უამრავი გაფრთხილებისა და შემოწმებისა, სასტუმრო ბუნებრივ გაზს არალეგალურად მოიხმარდა.

მისი თქმით, სასტუმროს დაეკისრა 600-ლარიანი ჯარიმა, რაც დაემატება იმ დაკარგული აირის საფასურს, რომელსაც ამ დროის მანძილზე სასტუმრო მოიხმარდა. აღნიშნულ დანაკარგს „თბილგაზის" მარეგულირებელი კომისია დაითვლის.

## ვეტერანებს ეხმარებიან

**საქართველოს** ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტი დასავლეთ საქართველოში სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის დახმარების აქციას იწყებს.

როგორც ინტერპრესნიუსს დეპარტამენტის პრეს-სამსახურში განუცხადეს, პირველ ეტაპზე ჰუმანიტარულ დახმარებას ოზურგეთის რაიონის მოსახლეობა მიიღებს.

ბოლნისის რაიონში მცხოვრები ვეტერანების და რაიონის გამგებლის გია არევაძის დახმარებით, ხვალ ოზურგეთის რაიონში კვების პროდუქტები — 5 ტონა კარტოფილი, 2 ტონა ფქვილი, 300 ლიტრი ზეთი, 400 კგ მაკარონი, 1.5 ტონა კომბოსტო და 1 ტონა შაქარი გაიგზავნება.

ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი დასავლეთ საქართველოს სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის დახმარების აქციას პერმანენტულად განახორციელებს.

**ინტერპრესნიუსი**

დავა

# რევერანსი რევერანსის წილ

## შეთავაზებული ორი თანამდებობიდან ოპოზიცია ერთს დასჯერდა

**მათ, ვისაც საბაჟო ტერმინალ „ოპიზასთან" დეპუტატების კავშირის შემსწავლელი კომისიის საკითხი აინტერესებს, ეხსომება, რომ ოპოზიციამ რამდენიმე დღით კომისიის სხდომის გადადება მოითხოვა. ბოლო დროს თვით საპარლამენტო უმრავლესობის წევრებიც აღარ მალავენ, რომ ფრაქცია „მაჟორიტარები" მათგან, ფაქტობრივად, არ განსხვავდება. ამდენად, დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარემ, ფრაქცია „მაჟორიტარების" წარმომადგენელმა ფრიდონ რუხაიამ განაცხადა, — რეგლამენტის თანახმად, ჩემი მოადგილე ოპოზიციონერი უნდა იყოსო. კეთილი ნების საჩვენებლად ოპოზიციას კომისიის მდივნის თანამდებობაც შესთავაზეს.**

— იმ დღეს საგამოძიებო კომისიის სხდომას მხოლოდ მემარჯვენეები — ფიქრია ჩიხრაძე და გიორგი ცაგარეიშვილი ესწრებოდნენ. ფრიდონ რუხაიას წინადადებებს ისინი სხვებთან კონსულტაციის გარეშე ვერ დათანხმდებოდნენ, ამიტომაც ითხოვეს დრო. იმ დღესვე ცხადი იყო, რომ ოპოზიცია კომისიის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე ცაგარეიშვილის კანდიდატურას წამოაყენებდა. თავის დროზე გამყრელიძედაწუნებულმა მემარჯვენეებმა იგი კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატად არ წამოაყენეს (სხვათა შორის, მას უმრავლესობა მხარს დაუჭერდა) და ძალიანაც შეცდნენ. რაღაც პრინციპების აყოლით ოპოზიციამ ვერაფერი მოიგო, პირიქით, წააგო — კომისიის თავმჯდომარე ფრიდონ რუხაია გახდა. შეიძლება, ამის ნაწილობრივ კომპენსაციად ჩაითვალოს ის, რომ გუშინ დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომაზე რუხაიას მოადგილედ ერთხმად აირჩიეს გიორგი ცაგარეიშვილი.

რაც შეეხება მდივანს, ოპოზიციამ უმრავლესობის რევერანსს რევერანსითვე უპასუხა და ამ თანამდებობაზე კანდიდატურა არ წამოუყენებია. თუმცა, არა მგონია, მიზეზი მხოლოდ ეს იყოს. ოპოზიციის წარმომადგენელთაგან კომისიაში შედის სამი პროფესიონალი იურისტი — კახა კუკავა, გიორგი ცაგარეიშვილი და ლაშა ნაცვლიშვილი. თავმჯდომარის მოადგილის პოსტი მხოლოდ ერთია და მას სამი ადამიანი ვერ გაინაწილებდა. ოპოზიციამ მემარჯვენეების არჩევანს კვერი დაუკრა, კომისიის თავმჯდომარის მოადგილეობა ის თანამდებობა არ არის, რის გამოც განხეთქილება ღირს. ამდენად, ცაგარეიშვილის არჩევას დათანხმდნენ, მაგრამ, ეტყობა, გულის სიღრმეში თავადაც არ იყვნენ ამ თანამდებობის დაკავების წინააღმდეგნი, ამიტომაც მდივნობა, ცოტა არ იყოს, იუკადრისეს. არადა, რა ჩემი თქმა უნდათ, დროებითი საგამოძიებო კომისიის მდივნობა სულაც არ ამცირებს ვინმეს პროფესიულ ღირსებას. სწორედ რომ პირიქით. ალბათ ამიტომ, ბადრი ხატიძემ სიხარული ვერ დამალა, როცა ფრიდონ რუხაიამ იგი მდივნობის კანდიდატად დაასახელა. კომისიის წევრებმა, ცაგარეიშვილის მსგავსად, ხატიძესაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

შიდა ორგანიზაციული საკითხები კი მოგვარდა, მაგრამ დროებით საგამოძიებო კომისიას ჯერჯერობით ნორმალური სამუშაო პირობები არ აქვს. პარლამენტში მისთვის სამუშაო ოთახიც ვერ გამოიძებნა, თუმცა, კომისიის წევრები იმედოვნებენ, რომ კაბინეტს უთუოდ გამოუნახავენ.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილისა და მდივნის არჩევის შემდეგ წევრებს სამოქმედო გეგმა უნდა წარმოედგინათ. ამაზე ვერაფერს მოგახსენებთ. ფრიდონ რუხაიას წინადადებით, სხდომა დაიხურა.

**რუსუდან გახარია**

რა კანონი მიდის?

# სიახლე უნდა რგებდეს მოსახლეობას და არა ხელისუფლებას

**საქართველოს პარლამენტში ხშირად მსჯელობენ კანონპროექტებზე, რომლის აუცილებლობას ხელისუფლება ერთხმად აღიარებს, ოპოზიცია კი მის არაეფექტიანობაზე ლაპარაკობს. ამჯერად საქმე გვაქვს განსაკუთრებულ შემთხვევასთან, როცა კანონპროექტის შესახებ საპირისპირო მოსაზრებები, ოპოზიციაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თავად უმრავლესობაშიც უამრავია. საქმე სისხლის სამართლის ახალ საპროცესო კოდექსს ეხება. მისი შექმნის მიზანი, ხალხის სასიკეთოდ ზოგი პროცედურის გამარტივებას, ზოგის კი საერთოდ გაუქმებას გულისხმობს. უმრავლესობის ორ ლიდერ ქალბატონს, თავიანთი კომიტეტებითურთ, ახალ კანონპროექტზე განსხვავებული შეხედულებები აქვთ.**

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე მიიჩნევს, რომ ადამიანის დაკავებისას საჭიროა შედგეს ორი ოქმი — დაკავების და ჩხრეკის. ახალი კანონპროექტის მიხედვით კი ჩხრეკის ოქმი გაუქმდება და იარსებებს მხოლოდ ერთი, სადაც ერთდროულად ჩაიწერება დაკავებისა და ჩხრეკის მონაცემები. ქალბატონი ელენე შიშობს, რომ ამ გარემოებამ, კერძოდ, ორი პროცესის ერთი კაცის ხელში მოქცევამ, შეიძლება გამომძიებელს მანიპულირების საშუალება მისცეს. ასეთი მოსაზრებები იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილისთვის გაუგებარია. ნინო კალანდაძე ორი ოქმის გაერთიანებაში ცუდს ვერაფერს ხედავს.

ახალ კანონპროექტში უარი ითქვა მოწმის ინსტიტუტზეც. აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი ითხოვს მყარ გარანტიებს, რათა დაკავების ოქმში არ დარჩეს ცარიელი სტრიქონები, რომელიც შემდგომ გამომძიებლის სურვილისამებრ შეივსება. კალანდაძე აცხადებს, რომ ადრე იყენებდნენ ყალბ, დაქირავებულ მოწმეებს. მოწმის ინსტიტუტის გაუქმება ამას მოსპობს, თუმცა ამაზე კომიტეტები კიდევ იმსჯელებენ და ერთობლივ დასკვნას გამოიტანენ.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრები არ ეთანხმებიან აგრეთვე კანონპროექტიდან დაპირისპირების მუხლის ამოღებას და ექსპერტიზის მუხლის გაუქმებას, მიუხედავად იმისა, რომ ცალკე კანონი ექსპერტიზის შესახებ მიღებული გვაქვს, კომიტეტის წევრები მიიჩნევენ, რომ ის კოდექსში აუცილებლად უნდა იყოს.

ელენე თევდორაძე არ ეთანხმება ახალი კოდექსიდან პოლიციის ზედამხედველობის და გაუსვლელობის ხელწერილის ამოღებას მხოლოდ გირაოს და თავდების დატოვებას. მისი აზრით, ვისაც ფული, ან გავლენიანი ადამიანის ზურგი აქვს, ის გამოიყენებს ამ საშუალებებს, ციხეები კი სოციალურად დაუცველი ადამიანებით გამოიტენება. ქალბატონ ელენესგან განსხვავებით, ნინო კალანდაძე მიიჩნევს, რომ არაფერი დაშავდება, თუკი აღარ იქნება შინაპატიმრობა, პოლიციის ზედამხედველობა და ა. შ. მით უმეტეს, რომ ძალაში რჩება გირაო და თავდება. მაგრამ გირაო მაინც ფულია. ეს ფული ყველას არ აქვს. ამიტომ საკანში წავა პატარა დანაშაულზეც კი. კომიტეტები ალბათ ამაზეც შეჯერდებიან.

მაგრამ, ვიდრე ეს მოხდება, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში მიიჩნევენ, რომ კანონპროექტში შესატანი ცვლილებები კარგ პოლიციელებზე და კარგ გამომძიებლებზეა გათვლილი. დღეს კი, სამწუხაროდ, პოლიციელების თუ არა, გამომძიებლებისა და პროკურორების მიმართ საკმაო პრეტენზიები აქვთ. უფრო მყარ გარანტიებსაც კანონით სწორედ ამიტომ ითხოვენ.

ქალბატონი ელენესთვის გასაგებია, რომ იურიდიული კომიტეტი კანონის გამარტივებას ცდილობს, მაგრამ შიშობს, რომ ეს პროცესი პროკურატურის სასარგებლოდ ჩაივლის და არა ხალხის. ნინო კალანდაძე ამგვარ მოსაზრებას უარყოფს და აცხადებს, რომ პარლამენტი, სწორედ იმისთვის არსებობს, რომ საბოლოოდ ხალხის სასარგებლო კანონი მიიღოს. იურიდიული კომიტეტი მზად არის მოისმინოს ელენე თევდორაძის კომიტეტის არგუმენტები, გამოინახოს ალტერნატიული გზები, რომლის შემდეგაც, ახალი კოდექსი მართლაც ხალხის სასიკეთოდ ჩამოყალიბდება.

**ლელა ხვადაგიანი**

კანონი და ჩვენ

# სპორტულ მოედანზე... თხევადი გაზი?!

**თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა ქალაქის ტერიტორიაზე უნებართვოდ განთავსებული თხევადი გაზის მონობლოკების აღება დაიწყო. გაზის ინსპექციის ცნობით, ქალაქში და განსაკუთრებით გლდანი-ნაძალადევისა და ისანი-სამგორის რაიონების ტერიტორიაზე ასეთი დანადგარები ბევრია, რომლებიც საშიშროებას უქმნის მოსახლეობას. ამიტომაც პირველად სწორედ გლდანი-ნაძალადევის ტერიტორიაზე აიღეს.**

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის გიორგი საგინაშვილის განმარტებით, მთელ ქალაქში 100-მდე ასეთი ობიექტია, მაგრამ მათგან მხოლოდ 38-ს თუ აქვს ნებართვა.

— ჩვენ ერთი თვის წინათ გავაფრთხილეთ ასეთი ობიექტების მეპატრონენი, ხელიც მოვაწერინეთ, რომ შეწყვეტდნენ გაზის გაყიდვას. ვინც არ დაემორჩილა ბრძანებას, იძულებული ვიქნებით მას კანონის მოთხოვნით ჩამოვართვათ ასეთი ობიექტი და გადავიტანოთ საჯარიმო მოედანზე. მათ საკმარისი დრო ჰქონდათ საიმისოდ, რომ შესაბამისი ფართობი შეერჩიათ და საბუთები წესრიგში მოეყვანათ.

თხევადი გაზის „მონობლოკების" კანონიერად განსათავსებლად მსურველს უნდა ჰქონდეს მიწის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა, უნდა მოახდინოს ჭურჭლის პასპორტიზაცია, იქ მომუშავეს აუცილებელია სპეციალიურ კურსებზე სწავლის მოწმობაც გააჩნდეს. ამის შემდეგ ადგილზე მოწმდება კანონით გათვალისწინებული ნორმები და თუ ყველაფერი კანონიერად არის შესრულებული, კომისია გასცემს კიდეც შესაბამის ნებართვას.

იმ შემთხვევაში, თუ გაფრთხილების მიუხედავად, უნებართვო ობიექტი მაინც გააგრძელებს ექსპლუატაციას, საქალაქო სამსახური იძულებული იქნება შემდეგი სახის ღონისძიებები გაატაროს: უპირველესად, დალუქავს დანადგარს, სპეციალური ხელსაწყოს მეშვეობით მოხდება მასში არსებული თხევადი გაზის გადატუმბვა სპეციალურ ცისტერნაში. იმისათვის, რომ მეპატრონე არ დაზარალდეს, დანადგარიდან ამოტუმბული თხევადი გაზი აიწონება და შეიძლება ნებისმიერ დროს მისი გაყიდვა.

გლდანის რაიონის მე-6 მიკრორაიონში, სადაც პირველი ასეთი უნებართვო დანადგარი აიღეს, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის თანამშრომლებთან ერთად მოვიდნენ გლდანი-ნაძალადევის რაიონული გამგეობის თავმჯდომარე ნიკო ხაჩირაშვილი, გამგეობის წევრები, სახანძროს თანამშრომლები, გაზის გასაყიდი ობიექტი ჩვენდა გასაოცრად ბავშვებისთვის განკუთვნილ სპორტულ მოედანზე იყო განთავსებული, ხოლო მეორე ობიექტი მე-6 მიკრორაიონში, გზის პირას და კორპუსებს შორის იდგა. მისი მეპატრონე აფხაზეთიდან დევნილი ზურაბ ურიდია მღელვარებას ვერ ფარავდა, მასთან მივიდა რაიონის გამგებელი და შეჰპირდა, რომ შესატყვისი მიწის ფართობის აღმოჩენის შემთხვევაში თავად დაეხმარებოდა დანადგარის დადგმაში.

— განა არ ვიცი, ხალხს უჭირს, თქვა გამგებელმა ჩვენთან საუბარში, მაგრამ იძულებული ვართ ასე მოვიქცეთ. აქ სტანდარტებზეა საუბარი, ირგვლივ ამდენი კორპუსია, ადამიანები მოძრაობენ, ბავშვები თამაშობენ, რატომ უნდა შევუქმნათ ხელოვნური საფრთხე ადამიანებს? წინააღმდეგი ხომ არ ვართ, აიღონ უსაფრთხო ადგილი და ნებართვა და კი ბატონო. დღეს ალბათ 4-5 ასეთ ობიექტს ავიღებთ.

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური გვპირდება, რომ ზუსტად ერთ თვეში თხევადი გაზის ყიდვა-გაყიდვის პროცესი ქალაქში უეჭველად მოწესრიგდება და არც ერთი უნებართვო ობიექტი აღარ იარსებებს.

**ნაზი იმნაიშვილი**

ოპოზიცია

# რუსული ისტერიკა ჩვენი აგრესიული განცხადებების ანარეკლი ყოფილა

**მოსკოვიდან დაბრუნებულმა საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა სამუშაო ვიზიტის შესახებ გუშინ პირველი კომენტარი გააკეთა.**

როგორც ინტერპრესნიუსს ნათელაშვილმა განუცხადა, მან მოსკოვური შეხვედრების ფართოდ გაშუქებისგან თავი შეგნებულად შეიკავა, რადგან მიაჩნია, რომ „საერთაშორისო მოლაპარაკებების თემების გახმაურებამ შესაძლოა ქვეყანას ავნოს".

ლეიბორისტთა ლიდერის განცხადებით, ვიზიტის ზოგად მიზანს, რუსულ პოლიტიკურ ელიტასთან კეთილმეგობრული ურთიერთობების დამყარება წარმოადგენდა, რასაც გარკვეულწილად მიაღწია კიდეც.

— ცნობილი ანტიქართველები — ბაბურინი, ალქსნისი, მიტროფანოვი და სხვები საქართველოს შესახებ სადღეგრძელოსავით საუბრობდნენ. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ მათი ანტიქართული ისტერიკა თბილისიდან წასული აგრესიული განცხადებების ანარეკლია, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

მისი თქმით, თუ საქართველოს პარლამენტის დეპუტატები მოსკოვში ჩავლენ და რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებთან იმუშავებენ, საქართველოს რუსეთის პარლამენტში მაქსიმუმ ექვს თვეში 50-კაციანი ლობი ეყოლება.



ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი მოსკოვში 17 ოქტომბერს გაემგზავრა, სადაც ერთ კვირაზე მეტს ხანს იმყოფებოდა.

პარტიის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მოსკოვში შალვა ნათელაშვილის სამუშაო ვიზიტი რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მიწვევით განხორციელდა, რომლის დროსაც შეხვედრები ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებთან გაიმართა. ნათელაშვილი მოსკოვში წლეულს გაზაფხულზეც იმყოფებოდა.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# უკრაინა სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტს პროვოკაციაში ადანაშაულებს

**უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო პროვოკაციულად მიიჩნევს თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომელიც აღნიშნავდა, რომ საჭიროა კიევის წინააღმდეგ სანქციების შემოღება, რადგან იგი იარაღს აწვდის საქართველოს. ეს განაცხადა უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ხელმძღვანელის მოადგილემ დიმიტრი სვისტკოვმა.**

სვისტკოვმა აღნიშნა, რომ უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს არ მიაჩნია საჭიროდ, კომენტარი გაუკეთოს სამხრეთ ოსეთის ლიდერის განცხადებას, რადგან მას „აქვს წმინდა პოპულისტური ხასიათი და ეს სხვა არაფერია თუ არა პროვოკაცია, რომელიც მიზნად ისახავს ვითარების გამწვავებას სამხრეთ ოსეთში, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ ამ რეგიონში კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გეგმის ჩაშლას, აგრეთვე, საქართველოსადმი მეგობრულად განწყობილი სახელმწიფოების საერთაშორისო ავტორიტეტის შელახვას".

სვისტკოვმა ასევე განაცხადა, რომ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანასთან უკრაინის სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარება ხორციელდება საექსპორტო კონტროლის რეჟიმის ფარგლებში უკრაინის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა თანახმად, აგრეთვე, იმ მოქმედი საერთაშორისო სანქციების მკაცრი დაცვით, რომლებიც დააწესა გაეროს უშიშროების საბჭომ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სამხედრო საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით.

„ამ შემთხვევაში არ არსებობს არანაირი ისეთი საერთაშორისო შეზღუდვა, რომელიც აკრძალავდა საქართველოსთვის სამხედრო დანიშნულების საქონლის მიწოდებას, ხოლო საკუთარი შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება არის ყოველი იმ ქვეყნის სუვერენული უფლება, რომელიც მოქმედებს გაეროს ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად", — დასძინა უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ.

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კოკოითიმ მოუწოდა მსოფლიო გაერთიანებას, დააწესოს სანქციები უკრაინის, პოლონეთისა და ბულგარეთის წინააღმდეგ, რადგან ეს ქვეყნები აწვდიან შეიარაღებას საქართველოს. კოკოითიმ თავისი მოწოდება დაასაბუთა იმით, რომ თბილისი, შეიარაღების შესყიდვით, ემზადება აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საკითხების ძალის გამოყენებით გადაწყვეტისთვის.

**„უნიან" საინფორმაციო სააგენტო (უკრაინა).**

ერიჰაა!

# პრეზიდენტის პრინციპულ სიტყვასაც არაფრად ვაგდებთ?!

**ამ დღეებში რედაქციამ მიიღო 350 აღშფოთებული ოჯახის მინიმუმ 800 მცხოვრების ხელმოწერით დამოწმებული წერილი საქართველოს პრეზიდენტის ბატონ მიხეილ სააკაშვილის სახელზე. მასში ნათქვამია:**

ბატონო პრეზიდენტო! ამ რამდენიმე დღის წინათ თქვენ მთელი ჩვენი საზოგადოებისათვის მისაბაძი გადაწყვეტილება მიიღეთ, როცა სამხედრო რწმუნებულის ხალხში გასვლა და მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების გათავისება დაავალეთ. დაახლოებით იგივე მოსთხოვეთ ჩვენს მინისტრებს და დედაქალაქის მერს [illegible] მთავრობის სხდომაზე.

დავალება ძალიან კარგია, მაგრამ... თქვენს პრინციპულ, სამართლიან მითითებებს [illegible], ბატონო პრეზიდენტო, [illegible]

ბატონო პრეზიდენტო, მაღალი რანგის ჩინოვნიკები [illegible]

ამის მკაფიო მაგალითი [illegible] რილი თქვენდამი, რომელშიც დაწვრილებით იყო მოთხრობილი ქალაქის ამ პრესტიჟულ უბანში გაჩაღებული უკანონო მშენებლობების და მათი მფარველების შესახებ.

ეს იმიტომ ხდება, რომ ადგილობრივი, „დედაქალაქის რანგის" ჩინოვნიკები არაფრად დაგიდევენ საზოგადოებრივ აზრს და ფეხქვეშ თელავენ თბილისელთა ინტერესებს.

დღეს კიდევ ერთი აღმაშფოთებელი ფაქტის შესახებ მოგითხრობთ.

რამდენიმე წლის წინათ, როცა თქვენ ვაკის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ბრძანდებოდით, მოსახლეობის თხოვნით მობრძანდით ჭავჭავაძის გამზირის № 46-48, ფალიაშვილის ქუჩის № 39-41 და თაქთაქიშვილის ქუჩის № 2, 4, 6 სახლების პაწია, ერთი ხელისგულისოდენა ეზოში, სადაც უკანონო, მრავალსართულიანი (შვიდსართულიანი) სახლის მშენებლობა წამოიწყეს. მაშინ ამ ქუჩების მცხოვრებლებმა, მინიმუმ 800-მა კაცმა, კოლექტიური წერილები ვაფრინეთ სათანადო ინსტანციებში და მოვითხოვეთ მშენებლობის შეჩერება. არაფერი გამოგვივიდა. ყალბი დოკუმენტებით გულდამშვიდებული ვაიმშენებლები უტიფრად აგრძელებდნენ საქმეს.

მხოლოდ თქვენი, როგორც დეპუტატის, პრინციპული ჩარევის შემდეგ [illegible] მშენებლობა. „აქ არავითარი შენობა არ აიგება, მე ვიქნები ამის გარანტი. ჩვენ აქ ბავშვთა სათამაშო მოედანს მოვაწყობთ!" — თქვით თქვენ და [illegible]



ადვილად ჩვენს პატარა ეზოს ვერავინ წაგვართმევდა და თბილისში ასე გახშირებულ უკანონო მშენებლობებს ბოლო მოეღებოდა.

მწარედ მოვტყუვდით!

კვლავ მოგვადგნენ მოძალადე მშენებლები, ახლა უკვე პარლამენტისა და მთავრობის მაღალჩინოსანთა მხარდაჭერით შეგულიანებულნი. არავინ უსმენს მოსახლეობის სამართლიან მოთხოვნას და ჩქარი ტემპით აგრძელებენ ხიმინჯების ჩარჭობას. ჩვენ ხელთა გვაქვს სასამართლოს გადაწყვეტილებაც მშენებლობის შეჩერების შესახებ, მაგრამ, ამასაც არად დაგიდევენ. მოდი და ნუ გაოცდები, ხალხის ასე აბუჩად აგდება, პრეზიდენტის პრინციპული გადაწყვეტილების ასე იგნორირება გაგონილა?

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეზოში ფუნქციონირებს ბავშვთა უნიკალური პოლიკლინიკა, რომლის ორსართულიანი, ნათელი შენობა მშენებლებმა მარწუხებში მოაქციეს და ყოველგვარი ძალადობის ნორმას (თუ ასეთი არსებობს!) მრავალგზის გადააჭარბეს.

ეზოშივე დგას მაღალი ძაბვის ელექტროქვესადგური, სამი ძალოვანი ტრანსფორმატორით. ამ სტრატეგიულ, ხანძარსაშიშ სადგურსაც ზედ [illegible] ახალი, უკანონო [illegible]თ-ერთი კედელი. [illegible]მთხვევაში ვერაფ[illegible] აქ სახანძრო [illegible]რტოოდენ ამ ფაქ[illegible] [illegible]ათვალისწინები[illegible] [illegible]ძლებოდა მითითე[illegible] [illegible]რთზე მშენებლო[illegible]ა.

[illegible]თი კურიოზი: არ[illegible] საქალაქო სამსა[illegible] [illegible]რთვით, პროექტი დაამტკიცეს და მშენებლობა დაიწყეს არარსებულ შოვის ქუჩაზე (№ 3). ეს ქუჩა გაუქმდა ჯერ კიდევ 1946 წელს ვაკის რაიონის რეკონსტრუქციის მოთხოვნილებისამებრ. ამ უბნის მთლიანი გარდაქმნის შემდეგ, ძველ მისამართზე დარჩა ერთი პატარა ქოხი, რომელშიც თავს აფარებდა ვინმე გრიგორიანი ოჯახთან ერთად. მალე ეს ქოხი დაანგრიეს და მის პატრონს კეთილმოწყობილი ბინა (სულადობის მიხედვით, — ბინები) მისცეს! გამონთავისუფლებული ნაკვეთი კი ქალაქის მაშინდელი საბჭოს გადაწყვეტილებით (არსებობს სათანადო დოკუმენტი) ეზოს შეუერთდა.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩვენს ბედკრულ ქვეყანაში გამეფებული განუკითხაობით ისარგებლა გრიგორიანმა და ძველი, პატარა ეზოს ნაკვეთის „პრიხვატიზაცია" მოახერხა! მაინც, როგორ? — აშკარა სიყალბით, ქრთამით! ამაზე მეტყველებენ სათანადო დოკუმენტები, მაგრამ... ვინ ჩაიხედა ამ დოკუმენტებში? ვის არ მივმართეთ, სად არ დავაგზავნეთ მიმართვები (მათ შორის პრეზიდენტის სახელზეც), მაგრამ კაციშვილმა თავი არ შეიწუხა.

მშენებლებიც აფრიალებენ აშკარად ყალბ დოკუმენტებს, — დახეთ, მშენებლობის უფლება გვაქვსო და ცინიკურად გვიმზერენ... თუმცაღა, როგორც ვთქვით, მათ უკან მაღალი რანგის ჩინოვნიკები რომ არ იდგნენ, ასე აშკარა სიყალბეზე, უკანონობასა და ძალადობაზე ვერ წავიდოდნენ.

ერთადერთი, ვინც ჩვენი გულისტკივილი გაიზიარა, ჟურნალისტები აღმოჩნდნენ. მათ სამართლიანი მოკვლევა ჩაატარეს და საზოგადოებას მოძალადე მშენებლებისა და მათი მფარველების შესახებ აუწყეს.

არც ამან გასჭრა. „წერეთ და იკითხეთო!" — შემოგვითვალეს.

ბატონო პრეზიდენტო, პირდაპირ მოგახსენებთ: საზოგადოებაში უკვე მწიფდება აზრი იმის შესახებ, რომ ბევრ სფეროში (მათ შორის ყბადაღებულ უკანონო მშენებლობაში) კვლავ მეფობს განუკითხაობა და უზნეობა, კორუფცია და დაუსჯელობის სინდრომი.

იქნებ, ახლა მაინც, ბატონო პრეზიდენტო, ყურად იღოთ ჩვენი წუხილი და აღშფოთება. უმორჩილესად გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ თქვენი პირადი წარმომადგენელი, რომელიც კანონიერად შეისწავლის ამ ეზოში არსებულ ვითარებას და სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს, — ზუსტად ისე, როგორც თქვენ რამდენიმე წლის წინათ გააკეთეთ.

ნუ წაგვართმევთ იმედსა და რწმენას, ბატონო პრეზიდენტო!

**ჭავჭავაძის გამზირის (№ 46-48), თაქთაქიშვილის ქუჩის (№ 2, 4, 6), ფალიაშვილის ქუჩის (№ 39-41) მცხოვრებთა სახელით –**

**რუსუდან ჭიაურელი, იოსებ ხარატიშვილი, შოთა გორგოძე, ანზორ მოწონელიძე, მიხეილ ანთაძე, ნაირა სარჯველაძე, მარინე შიხაშვილი, მარიკა ქარქაშაძე, ნიკოლოზ გაჩეჩილაძე, ზვიად სულაბერიძე**

**და სხვა, სულ 800 ხელმოწერა.**



**ჟურნალისტის კომენტარი: ნებისმიერი გონიერი ხელისუფლება მასმედიას ხალხთან ჯანსაღი, ორმხრივ სასარგებლო ურთიერთობისთვის იყენებს. „ვარდების რევოლუციის" წინარე დღეებს თუ გავიხსენებთ, ეს არც ჩვენს „ძლიერთა ამა ქვეყნისათა" ეშლებათ, მაგრამ... ბოლო ხანს ქართულ ბეჭდვით მედიაში გამოქვეყნებული იმდენი კრიტიკული, ჭეშმარიტად სახალხო პუბლიკაცია დარჩა რეაგირების გარეშე, გაოცდები კაცი, — პრესის ჯანსაღი შენიშვნების, სურვილების, წინადადებების იგნორირება, წაყრუება იმ ტოტის მოჭრას ჰგავს, რომელზეც ვსხედვართ...**

**ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე ქვეყნის პრეზიდენტის ავტორიტეტს ეხება. მაინც, რა გახდა ეს უკანონო მშენებლობები, უფრო ზუსტად, „კანონიერი" უკანონო მშენებლობები?!**

როცა ლამის მთელი უბანი, 800 კაცი ერთსულოვნად გარწმუნებთ, — ბატონო პრეზიდენტო, თქვენს სიტყვას არაფრად აგდებენ, რწმენა გვეკარგებაო, გაცილებით უფრო ცუდად არის საქმე, ვიდრე ჩანს...

გუშინ კიდევ ერთხელ მოვინახულე აღნიშნული მშენებლობა და საბოლოოდ დავრწმუნდი: იმ ეზოში საცხოვრებელი სახლის ჩაკვეხება აშკარა მავნებლობაა. მართლაც, ძალიან საინტერესოა, ვინ და ვისი მფარველობით კადრულობს ამას?

ჩვენი რედაქცია კონტროლზე აიყვანს ვაკელების გასაჭირს და მკითხველს დროდადრო გააცნობს, თუ რა შედეგი მოჰყვება ამ ღია წერილს მისი უდიდებულესობა საქართველოს პრეზიდენტისადმი.

**სპარტაკ ქოზულია**

გენერალისიმუსის გზა

# კოჩკენ საქტანოვი: მოგესალმებით ყირგიზეთიდან

**აკი თავადვე ამბობდა, რომ დრო და ადამიანები სამართლიანად თუ უსამართლოდ ბევრ სიბინძურეს დააყრიდნენ მის საფლავს, მაგრამ ისტორიის სწორად განმსჯელი ქარი დროთა განმავლობაში გაფანტავდა ამ სიბინძურეს. ეს დრო, რასაკვირველია, ჯერ არ დამდგარა, ეს უფრო მომავლის საქმეა, მაგრამ, ცხადია, რომ ჩვენი უახლოესი წარსულის ანალიზის ცდა უკვე დაწყებულია. ერთ-ერთ ასეთ ცდას წარმოადგენს თვალსაჩინო ყირგიზი მწერლის კოჩკენ საქტანოვის წიგნი — „სტალინის შემდეგ".**

საქტანოვი კოჩკენ მიდინ უულუ დაიბადა 1942 წელს ოშის ოლქში, ალაის რაიონში, მოსამსახურის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ყირგიზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის მერე მუშაობდა ყირგიზეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიაში, ყირგიზეთის საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარ რედაქციაში უფროს მეცნიერ რედაქტორად, შემდეგ ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტში, მერე ყირგიზეთის სსრ მწერალთა კავშირის მიწვევით ჟურნალ „ალა-თოოს" რედაქტორად. 1983 წლიდან „ყირგიზფილმის" სასცენარო კოლეგიის რედაქციაშია. 1992 წლიდან საბჭოთა კავშირის დაშლის, ე.ი. „ყირგიზფილმის" გაკოტრების შემდეგ მუშაობს ტოქტოგულის სახელობის ყირგიზეთის ფილარმონიის ლიტერატურული ნაწილის გამგედ.

ყირგიზი ავტორის წიგნს სხვადასხვა მკითხველი, ბუნებრივია, სხვადასხვაგვარად აღიქვამს. ჩვენი პუბლიკაციის ერთ-ერთი მიზანი ის არის, რომ მკითხველს გავაცნოთ ერთ-ერთი საბჭოელი ავტორისმიერი ანალიზის ცდა.

ჩვენმა რედაქციამ სთხოვა ბატონ საქტანოვს, რომ თავისი წიგნის სპეციალური ვარიანტი მოემზადებინა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე გამოსაქვეყნებლად და მიემართა ქართველი მკითხველისთვის. ბატონმა საქტანოვმა სიამოვნებით შეასრულა რედაქციის თხოვნა.

**მოგესალმებით ყირგიზეთიდან!.. ძვირფასო „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია!**

**გიძღვნით დიდ სალამს მზიური ყირგიზსტანიდან!**

**ნება მიბოძეთ, გამოვთქვა ჩემი პატივისცემა და ყოველივე საუკეთესო ვუსურვო თქვენს კოლექტივს მუხლჩაუხრელ შრომასა და კეთილშობილურ საქმეში — საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეში.**

**ყირგიზი ხალხის სახელით გისურვებთ ყველა აწინდელი ოცნებისა და ნატვრის ახდენას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი კულტურის, ხელოვნების, ტრადიციების, წეს-ჩვეულებების აღორძინებას და, საბოლოო ანგარიშით, ჩვენ შორის ჭეშმარიტი მეგობრობის განმტკიცებას.**

**1991 წელს დავწერე სტალინის ეპოქის რომანი (პირველი ნაწილი), რომელიც ყირგიზსტანში გამოქვეყნდა ყირგიზულ და რუსულ ენებზე, აგრეთვე რესპუბლიკურ გაზეთებში გაგრძელებებით. დიდი სტალინის ხსოვნას დიდ პატივს მივაგებთ ჩვენ და ჩვენი ხალხი.**

**მე, როგორც მწერალსა და სტალინელს, ძალიან მინდა, რომ ამ რომანს კითხულობდნენ არა მარტო ყირგიზები, უზბეკები, ყაზახები და რუსები, არამედ სტალინის სამშობლოშიც — საქართველოში!**

**1997 წელს დაისტამბა წიგნის — „სტალინის" პირველი ნაწილი 5 ათასი ტირაჟით რუსულ ენაზე. ტაშკენტელმა და ალმაათელმა სტალინისტებმა 2 ათასი ეგზემპლარი შეიძინეს. ახლახან ტაშკენტი-**



**დან გვთხოვეს, რომ გავუგზავნოთ დამატებითი რაოდენობით, მაგრამ არ ძალმიძს. ასე რომ, მაპატიონ არაკადნიერებისთვის. მე სტალინისტი ვარ არა მარტო საქართველოსა და ყირგიზეთში, არამედ ცენტრალურ აზიაშიც.**

**შარშან გახლდით საქართველოში, ძალიან კარგად შემხვდნენ. აზერბაიჯანისა და საქართველოს საზღვარზე პოლიციელებმა გამომართვეს წიგნის „სტალინის შემდეგ" ეგზემპლარები, მთხოვეს ავტოგრაფები, გამატარეს უპრობლემოდ და ტაქსში ჩამსვეს. საქართველოში ჩემი მასპინძელი გახლდათ პოეტი, დიდად პატივცემული ხუტა ბერულავა, რომელთანაც ერთად გორში ვეწვიე სტალინის მუზეუმს.**

**საქართველო ძალიან მომეწონა. თქვენი ქვეყანა ყირგიზეთივით მთიანია. ხშირად ვიხსენებ თბილისს, რადგან მან მეტად მომხიბლა. ასევე მომეწონა ბაგრატიონის ძეგლი მტკვრის სანაპიროზე და, რა თქმა უნდა, ქართველი ადამიანები. ქართველები მეტად ამაყი, კეთილი და ჭკვიანი ხალხია. ღმერთმა ინებოს, თქვენი ამაყი მთიანი რესპუბლიკა კვლავაც და კვლავაც ჰყვაოდეს მიხეილ სააკაშვილთან ერთად.**

**რატომ დავიწყე წერა სტალინზე? სტალინი სამი ათეული წელი ეწეოდა სოციალიზმის გუთანს. ამ ხნის მანძილზე საქართველოს, ყირგიზსტანის, ყაზახსტანისა და სხვა პატარა ხალხებმა დიდი პატივისცემა დაიმსახურეს.**

**მე მუდამ მზადა ვარ, მივუჯდე „მრგვალ" მაგიდას იმ „კატებთან" ერთად, რომლებსაც თავი მოაქვთ გმირებად „ლომის" გვამის წინაშე. ქართველი ხალხის შვილმა აამაღლა რუსი ხალხის ავტორიტეტი და დიდება შეასხა მას, ხოლო მოყოლებული ხრუშჩოვით და დამთავრებული ახლანდელი ვაი-ბელადებით, ამ უკანასკნელთ ძირს დასცეს, დაამცირეს ხალხი.**

**სტალინი საბჭოთა კავშირის დიდი შვილია. მე, როგორც ყირგიზი, რატომ უნდა ვდუმდე, როდესაც, ბოდიში ამ გამოთქმისთვის, დემოკრატიის ქოფაკებმა, განსაკუთრებით სიონისტმა ნაგაზებმა, უსირცხვილოდ, დაუსაბუთებლად, დაიწყეს, მარჯვნივ და მარცხნივ მისი გინება და შეურაცხყოფა. ის, რასაც ახლა მასზე ლაპარაკობენ, — სატყუარაა ბრიყვებისთვის, რომლებიც ყოველთვის იყვნენ, არიან და იქნებიან ჩვენს შორის და რომელთაც ყველაფრისა სჯერათ, ხალხს, ჭკვიან ინტელიგენტ ადამიანებს კი — არასოდეს!**

**კოჩკენ საქტანოვი,**
**ყირგიზეთი, ბიშკეკი,**
**2005 წლის 1 ნოემბერი.**

ინფორმაცია

## რად გვინდა სამხედრო სასწავლებელი!..

**საქართველოს** უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი აღარ ექნება. სამხედრო აკადემიის მეორე და მესამე კურსის სტუდენტებს კი შესაძლებლობა ექნებათ, სწავლა სხვა უმაღლეს სასწავლებელში გააგრძელონ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გუშინ პარლამენტის განათლების კომიტეტისა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეებმა პრესკონფერენცია გამართეს.

როგორც პრესკონფერენციაზე განათლების კომიტეტის თავმჯდომარემ ნოდარ გრიგალაშვილმა აღნიშნა, პარლამენტში თავდაცვის აკადემიის კურსანტების პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით, საკონსულტაციო საბჭო და საკონსულტაციო ჯგუფი შეიქმნა, რომლებმაც კონკრეტული გადაწყვეტილებები მიიღეს. გადაწყვეტილებების შესაბამისად, სამხედრო აკადემიის სტუდენტებს უფლება აქვთ, თავიანთი შეხედულებისამებრ სხვა უმაღლეს სასწავლებლებში გადავიდნენ. გადაყვანა განხორციელდება სააკრედიტაციო საბჭოს მიერ დადგენილი კვოტების ფარგლებში.

## არუთინიანის რეაქცია გარკვეულ ეჭვებს ბადებს

**თავისუფლების** მოედანზე 10 მაისს აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის სიტყვით გამოსვლისას მომხდარ ინციდენტში ბრალდებულ ვლადიმერ არუთინიანის საქმე პროკურატურამ განსახილველად სასამართლოს გადასცა.

როგორც ინტერპრესნიუსს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში განუცხადეს, არუთინიანის საქმეს თბილისის საქალაქო სასამართლო განიხილავს. საქმე შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა გამოიძია და ამ დღეებში გამოძიებაზე ზედამხედველ ორგანოს, გენერალურ პროკურატურას გადასცა, რომელმაც თავის მხრივ, საქმე არსებითი განხილვისთვის სასამართლოში გადააგზავნა.

დაკავებულის ადვოკატ ზაზა შანავას განცხადებით, იგი გამწესრიგებელ სხდომაზე არუთინიანისთვის ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებას მოითხოვს, რადგან, გამოძიებამ აღნიშნულ შუამდგომლობაზე უარი უკვე ორჯერ განაცხადა. შანავას თქმით, ვინაიდან სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით არუთინიანის რეაქცია გარკვეულ ეჭვებს ბადებს, დაცვის მხარეს ექსპერტიზის ჩატარება მიზანშეწონილად მიაჩნია.

## აბაშიძეები სასამართლოში ჩივიან...

**საქართველოს** საკონსტიტუციო სასამართლოში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი ხელმძღვანელის ასლან აბაშიძისა და მისი ოჯახის წევრების ადვოკატებმა სარჩელი შეიტანეს.

როგორც ინტერპრესნიუსს საკონსტიტუციო სასამართლოში განუცხადეს, სარჩელი ასლან, დიანა, გიორგი, ირაკლი და მაია აბაშიძეების ადვოკატებმა იოსებ ბარათაშვილმა, შალვა შავგულიძემ და ალექსანდრე ბარამიძემ შეიტანეს.

მოსარჩელეები „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის" და „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის" იმ ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას მოითხოვენ, რომლითაც „უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების" ჩამორთმევის პროცედურაა განსაზღვრული.

ადვოკატების არგუმენტებით, სადავო ნორმები საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ საკუთრების უფლებას, უდანაშაულობის პრეზუმფციას და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპებს ეწინააღმდეგება.

საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნული სარჩელის წარმოებაში მიღება-არმიღების საკითხს უახლოეს ხანში გადაწყვეტს.

ინტერპრესნიუსი

ფერმერი

# საქმის ცოდნასა და მონდომებას თავისი გააქვს...

**გასული საუკუნის ოთხმოცდააათიანი წლების ცნობილმა მოვლენებმა ლამის განადგურების პირას მიიყვანა მეცხოველეობა. ეს პროცესი განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა სამეგრელოში, რომელიც ოდითგანვე იყო განთქმული მეკამეჩეობით, მეცხენეობით, მეძროხეობით, თხების არვეთი, კოლტით, მეფუტკრეობით, მეაბრეშუმეობით... ხელახლა გახდა შესაქმნელი მეურნეობები, რომლებსაც დღეს ინდივიდუალურ-ფერმერულს ვეძახით.**

**და სწორედ იმ ძნელბედობის ჟამს აბაშელმა არკადი და რომან კიზირიებმა შექმნეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სიხიტი". მალე ლამის დაქცევის პირას მისული ადგილობრივი მეცხოველეობის ფერმის შენობაც შეიძინეს და...**

**თუმცა სჯობს, ამის შესახებ თვით აღნიშნული შპს-ს ერთ-ერთ დამფუძნებელს არკადი კიზირიას მოვუსმინოთ:**

— 1990 წელს შევიძინეთ სოფელ ნაესაკოვოში მეცხოველეობის ფერმის გაპარტახებული შენობა. იჯარით ავიღეთ 34 ჰექტარი სახნავ-სათესი და საძოვარი მიწებიც. თავიდან 17 სული კამეჩი და ძროხა გვყავდა, დღეისთვის კი მათმა ოდენობამ 70 სულს გადააჭარბა.

***— რით კვებავთ პირუტყვს?***

— ძირითადად, ბალახით, ზამთრის პერიოდში კი ჩალით, ასევე უმთავრესად ჩვენს მიერ მოწეული სიმინდისა და სოიოსგან ადგილზევე დამზადებული ყუათიანი საკვებით.

***— რა ღონისძიებებს ახორციელებთ იმისათვის, რომ არ დაიკარგოს კამეჩების და ძროხების ადგილობრივი ტრადიციული ჯიში, მათი მაღალპროდუქტიულობის, ასევე ადგილობრივი პირობებისადმი შეგუებისა და ამტანიანობის შესანარჩუნებლად? რა კეთდება სიმინდის ტრადიციულად არსებული საუკეთესო ჯიშის — „აბაშის ყვითელის" აღსადგენად?***

— ჩვენი ძირითადი მიზანი იმთავითვე როგორც მეცხოველეობაში, ისე მესიმინდეობაში ტრადიციული, დარაიონებული ჯიშების აღდგენა-შენარჩუნება და, ამის საფუძველზე — ეკოლოგიურად სუფთა, მაღალი ხარისხის პროდუქტების წარმოება იყო. ამ მიზნის პრაქტიკულად განხორციელებისთვის განზრახული გვაქვს და ვცდილობთ ოდითგანვე ცნობილი კვარაცხელიას ჯიშის პირუტყვის აღდგენა-შენარჩუნებას, რაც ძალიან რთული პროცესია. სხვადასხვა რაიონში ძველი მეჯოგეების დახმარებით და ადგილზე არსებული მწირი წყაროების გამოყენებით, თანდათანობით თავს ვუყრით და ვინარჩუნებთ ამ ძროხებს. ჯერჯერობით, სამწუხაროდ, მხოლოდ 10 ასეთი გვყავს, მაგრამ ოთხ-ხუთ წელიწადში, ვფიქრობთ, რომ რეპროდუქციის გზით, ფერმას მთლიანად ამ ჯიშის პირუტყვით დავაკომპლექტებთ. იგი კარგად არის შეგუებული კოლხეთის ბუნებრივ პირობებს და დაავადებებსაც იოლად იტანს. მას ურთულეს ეკოლოგიურ პირობებშიც შეუძლია ბუნებრივი საკვების მოპოვება, რაც მის შენახვას აიაფებს, და რაც მთავარია, რაკი ისინი, ძირითადად, ბუნებრივ საკვებზე არიან დამოკიდებული, მათი პროდუქციაც ეკოლოგიურად სუფთაა. თანაც მაღალი ცხიმიანობის გამო სხვა ჯიშის პირუტყვთან შედარებით 25-30 პროცენტით მეტია რძიდან ყველის გამოსავლიანობა, რის გამოც მისი სულუგუნი მაღალი გემოვნებით გამოირჩევა.

ჩვენს მიერ აღებული საძოვარი ფართობები მდინარე ნოღელასა და რიონის შესართავთან მდებარეობს. არის ჭაობიანი ადგილები, რაც ხელს უწყობს მეკამეჩეობის განვითარებას. კამეჩი ძალზედ მომგებიანია ასეთ პირობებში. სამი წლის პირუტყვი 400-500 კილოგრამზე მეტს იწონის, მისი რძიდან ორჯერ მეტი გამოსავლიანობაა, ვიდრე ძროხის რძიდან, რადგანაც ორჯერ უფრო ცხიმიანია. ამიტომაც კამეჩის მაწონსა და ყველზე განსაკუთრებული მოთხოვნაა...



რაც შეეხება „აბაშურ ყვითელს", ჩვენი სათესი ფართობების გარკვეულ ნაწილზე უკვე აღვადგინეთ თითქმის გადაშენების პირას მისული ეს კულტურა სწავლული აგრონომების და სპეციალისტების: კარლო გუგუშვილის, ედუარდ ნოდიას და სოსო ნადარეიშვილის, ასევე სოფელ ძველ აბაშაში მცხოვრებ ედიშერ გამსახურდიას აქტიური დახმარებით, რომელსაც ტრადიციულად მოყავს ეს კულტურა, ამ საქმეს თავი დაედგა. დიდი მადლობა მათ.

წლეულს „აბაშის ყვითელი" 1,5 ჰექტარზე გვქონდა დათესილი. გაისისთვის კი წლევანდელი მოსავალი სათესლედ გვეყოფა და მთელ ჩვენს ფართობებზე მას დავთესავთ.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენს პირობებში „აბაშის ყვითელს" აქვს შემდეგი უპირატესობა: ის არის ჯიში და არა ჰიბრიდი, დარაიონებულია და აპრობირებულია ათეული წლების მანძილზე. ვეგეტაციის ვადა „აბაშის ყვითელს", სიმინდის სხვა ჯიშებთან შედარებით, 15-20 დღით მოკლე აქვს. რის გამოც იგი ტაროში დამარცვლიანებას აგვისტოს ცხელი ქარების დადგომამდე ასწრებს და მოსავალი სექტემბრის ბოლოს და ოქტომბრის პირველ ნახევარში აიღება, როცა კოლ-



ხეთში, ძირითადად, უნალექო ამინდებია. იგი სტაბილურ მოსავალს მინერალური სასუქებისა და ჰერბიციდების გარეშე იძლევა. „აბაშის ყვითელი" საკვები ღირებულებით 20 პროცენტით აღემატება ყველა დღემდე არსებულ ჯიშს. ცნობილია, რომ პედიატრიაში „აბაშის ყვითელი" გამოიყენებოდა ჩვილი ბავშვების საკვებად და, საერთოდ, სასურსათო დანიშნულებით. განსაკუთრებით მაღალყუათიანია მისი ჩალა მეცხოველეობის საკვებად, ვიდრე სხვა ნებისმიერი მარცვლეული კულტურების ნარჩენები, ნამჯა და სხვა.

სამწუხაროდ, რასაც დღეს „აბაშის ყვითელს" ეძახიან, ის ან ჰიბრიდია ან კიდევ სხვა ნარევია.

ამჟამად ჩვენზე გაპიროვნებული მიწის სავარგულები (სახნავი, საძოვარი) იმდენი გვაქვს და მსხვილფეხა პირუტყვიც იმდენი გვყავს, რომ ნაკვეთებიდან მიღებული საკვები საკმარისია მეცხოველეობისთვის. სხვა საკვების შემოტანა არ გვჭირდება, ხოლო პირუტყვის ნაკელი სრულიად საკმარისია არსებული ფართობების ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლებისთვის. ჩვენი დევიზია — „მინდორი — ფერმას", „ფერმა — მინდორს".

***— სად და როგორ ყიდით თქვენს პროდუქციას, ქალაქში ხომ არ აპირებთ ფერმის საკუთარი სავაჭრო ობიექტის გახსნას?***

— პროდუქციის რეალიზაცია ჩვენთვის პრობლემა არ არის. ადგილზევე ვყიდით და ყველა მსურველის მოთხოვნებსაც ვერ ვაკმაყოფილებთ. ამიტომ ქალაქში საკუთარ მაღაზიას ვერ ვხსნით.

***— რამდენი კაცი ემსახურება თქვენს ფერმას?***

— 7 კაცი, მათი ხელფასი თვეში 150-180 ლარია. თავიანთ მოვალეობას პირნათლად და დაუზარებლად ასრულებენ მწყემსები — ბადრი მიმინოშვილი, გოგი დიხამინჯია, მწველავები — ცოლ-ქმარი გოგუცა და ნუკრი გეგენავები, მექანიზატორი ზურაბ კიზირია. ძალიან გვიწყობენ ხელს რაიონისა და სოფლის ხელმძღვანელები, რომლებიც ყოველთვის მზად არიან და გვეხმარებიან ჩვენს მიერ დასმული საკითხების დროულად მოგვარებაში. ჩვენი მხრით მუდამ პირნათელი ვართ ბიუჯეტთან.

***— როგორია თქვენი პერსპექტივები, რას ფიქრობთ სამომავლოდ პირუტყვის სულადობის გაზრდისა და პროდუქტიულობის ამაღლებისათვის?..***

— განზრახული გვაქვს უახლოეს სამ წელიწადში საკუთარი წარმოების გზით ორჯერ გავზარდოთ პირუტყვის სულადობაც და მისი პროდუქტიულობაც.

**იოსებ გოგეჩია,**
**„სრ" საკ. კორ.**

**სურათებზე: ფერმის ერთ-ერთი დამფუძნებელი არკადი კიზირია. ფერმის „ბინადარნი".**

# [illegible] საქართველოში დილეტანტიზმის ზეობა და პიროვნული თვითრეალიზების უდიდესი დეფიციტი

## გვესაუბრება ფიქრია ყუშიტაშვილი



**არის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დ. ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ასზე მეტი თეატრალური რეცენზიის, ესესა და სტატიის, აგრეთვე, არაერთი სატელევიზიო თუ რადიოგადაცემის ავტორი.**

**თანამშრომლობს თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრთან. მისი რეჟისორობით და ავტორობით განხორციელდა სპექტაკლები.**

**1999 წელს მისმა მოთხრობამ „ერთხელ აქ, ამერიკაში“ თბილისის მერიის, ახალგაზრდობის საქმეთა სამმართველოს და წიგნის მოყვარულთა კავშირ „ბესტსელერის“ ლიტერატურულ კონკურსზე მესამე პრემია მოიპოვა, ხოლო 2006 წელს გამოვიდა მოთხრობების კრებული „ერთხელ აქ, ამერიკაში“.**

**მინიჭებული აქვს წლის საუკეთესო თეატრმცოდნის პროფესიული პრემია.**

**ჰყავს მეუღლე, მსახიობი ვანო იანტბელიძე და ორი შვილი: თამთა და ერეკლე.**

*1. რას ფიქრობთ 21-ე საუკუნის ქართულ ლიტერატურულ ტენდენციებზე?*
*2. გამართლებულია თუ არა წიგნის გადაქცევა კომერციისა და ბიზნესის საგნად? როგორ წიგნს ეყოლება მკითხველი მომავალში?*
*3. რა მიგაჩნიათ არსებით პრობლემად საქართველოსთვის?*
*4. როგორ აფასებთ ტრადიციულ კლასიკურ მწერლობას? რა შეგძინათ თქვენ, როგორც მწერალს? რომელია თქვენი სამაგიდო წიგნი?*
*5. რას ფიქრობთ ქართული ენის მიმართ მწერლის დამოკიდებულებაზე?*
*6. რაზე მუშაობთ ამჟამად?*

●**ტენდენციები** საინტერესო და მრავალფეროვანია, ვისურვებდი მხოლოდ, ხარისხი სჭარბობდეს რაოდენობას.

●**საქართველოში** ყველა და ყველაფერი იყიდება (და შეუძლებელია კაცს არ გაგახსენდეს ნიკო ლორთქიფანიძის გენიალური მინიატიურა!), არ არის გასაკვირი, წიგნიც კომერციული და ბიზნეს-ინტერესის საგანი გახდეს.

არსებულმა რეალობამ გამოკვეთა ორი გზა — ერთი მხრივ, ვთქვათ, „ბაკურ სულაკაურისა“ და „დიოგენეს“ საგამომცემლო საქმიანობა და ლიტერატურულ კაფეთა ქსელის ნაყოფიერი მოღვაწეობა, და იმავდროულად, მრავალრიცხოვანი და ჭრელი ბულვარული ლიტერატურა, ავანტიურული ყდის დიზაინითა და სათაურებით, რამაც წიგნის ბაზარი წალეკა. ჩემთვის, მკითხველისთვის და მწერლობასთან შეთამამებული ავტორისთვის პირველი გზა არის მისაღები და კიდევ უფრო განსავითარებელი.

ვფიქრობ, ქართველი მკითხველი მომავალში მოელის, იმგვარი ვითარების შექმნას, როცა მკითხველი ახალი წიგნის გამოსვლას დაელოდება და არა პირიქით — გამოსული წიგნი დაელოდება მკითხველს.

●**საქართველოსთვის** არსებით პრობლემად მიმაჩნია დილეტანტიზმის ზეობა და პიროვნული თვითრეალიზების უდიდესი დეფიციტი. სწორედ აქედან იღებს სათავეს ყველა სატკივარი: საზოგადოების ტრაგედიაა, როცა ადამიანური და პროფესიული რესურსი არათუ უნაყოფოდ იხარჯება, არამედ ხშირად სულაც უგულებელყოფილია. ჩემს ირგვლივ პატიოსანი, შრომისმოყვარე და ნიჭიერი პროფესიონალების ლეგიონებია, რომლებიც მხოლოდ იმიტომ არიან ჩრდილში (ან იძულებულნი, აკეთონ არა საკუთარი და საყვარელი საქმე!), რომ არ წავიდნენ საკუთარ სინდისთან და ღირსებასთან კომპრომისზე და არ ირჩიეს კომფორმისტის, ერთი შეხედვით, უზრუნველყოფილი და მომგებიანი მდგომარეობა. ერთ ცნობილ ამერიკულ ფილმში ჩქარი მატარებელი, ეკიპაჟით და მგზავრებითურთ დასაღუპად განწირულია. იგი კოსმიური სიჩქარით მიჰქრის საბედისწერო ხიდისაკენ, რომელიც უთუოდ უნდა აფეთქდეს, რადგან მავანთა ვერდიქტის თანახმად ასეა გადაწყვეტილი. იმ ფილმში მოვლენების ტრაგიკული ჯაჭვი ე.წ. „ჰეფი-ენდით“ სრულდება. ნეტავ რა მოხდება ჩვენს შემთხვევაში?.. როგორც ამბობს ჩვენი თანამედროვე გენიალური პაროდისტი მიხეილ ჟვანეცკი: „Я верю что есть сметь в конце тунели но почему-то этот тунель сука не кончается“.

●**ტრადიციული** კლასიკური მწერლობა იმდენად გენიალური და ამოუწურავია, არ მეგულება ადამიანი, რომელსაც შეუძლია დაბეჯითებით ამტკიცოს მისდამი ბოლომდე და სრულად ზიარება.

რაც შეეხება საყვარელ ავტორებს, ისინი ბევრნი არიან, თუმცა არის გამორჩეულიც — ანტონ პავლეს ძე ჩეხოვი. ქართველები კონკურსგარეშეა!

●**ქართული** ენის მიმართ მწერლის დამოკიდებულებაზე. უკვე თქვეს გენიალურმა ავტორიტეტებმა და მათ სავსებით ვეთანხმები.

●**ამჟამად** ვმუშაობ ორიგინალური ქართული ტელეშოუს სცენარზე, რომელსაც საფუძვლად დაედება ქართული ლიტერატურული, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ფოლკლორი, და ეს იქნება ალტერნატივა — ერთგვარი გამოწვევა ჩვენს საეთერო სივრცეში დღემდე არსებული ტელეთამაშებისა, რომელთაც ერთი ავტორი ჰყავთ — ვსევოლოდ ვილჩეკი.

**ჩაიწერა**
**თამარ შაიშმელაშვილმა.**

## ფიქრია ყუშიტაშვილი

# ქაუნთერა

— **დედიი**, იცი რაა?!.. — ქაუნთერა შუბლს იჭმუხნის და თავს იფხანს, ყოველთვის ასე ემართება, როცა ეძინება ან რაიმეზე ნერვიულობს.

— გისმენ... — დედას პლასტმასის აქაფებული თასიდან სველი წინდების გროვა დასაწურად საბავშვო აბაზანაში გადააქვს და ნარეცხ წყალს უნიტაზის ნიჟარაში მოანთქლევს.

— აი, ორმოცდაათი თეთრი რო მომეცი, ხაჭაპურისა, მოდი რა, სკოლაში არ დავხარჯავ საჭმელზე და გაკვეთილების მერე კომპიუტერზე წავალ...

— არ ვიცი, არაფერი არ ვიცი! — განერვიულებული ქალი მოწყვეტით ჩაჰყრის ხელახლა დასავლებად გამზადებულ წინდებს სუფთა თასში, ხელზე წყალს ივლებს და წინსაფრის კალთით იმშრალებს.



— არც გუშინ მითამაშია, არც იმის წინ, ხვალე კიდე, ცეკვა მაქვს... — ბიჭი მუდარით შეჰყურებს დედას თვალებში...

— კარგი, რაც გინდა, ის ქენი, მაგრამ ეგ კომპიუტერი გაშტერებთ შენცა და მაგ შენ ძმაკაცებსაც... — დედა სარეცხს უბრუნდება და გულში შეკავებული პროტესტი ახლა წინდების გაწურვაში გადააქვს. ქაუნთერა უსიტყვოდ კოცნის დედას, ბედნიერია, რო თანხმობა მიიღო. ეხლა მარტო 5 საათამდე ლოდინიღა დარჩენია.

„არაუშავრა, დღეს ხუთშაბათია: ორი ქართული, ორი მათემატიკა და ერთიც ინგლისური. რუსული შეიძლება გაცდეს — დიანა გიორგევნა თბილისშია და მის ნაცვლად სხვა ან ჩაატარებს და ან — არა. „იეს!“ — 5 საათიდან ბიჭებს ჩამოუვლის და ტურნირს გამართავენ. აი მაშინ ნახავს ის თავგასიებული გიგილო თავის დოყლაპიობას...“

— არ დაგაგვიანდეს, — ფიქრებიდან არკვევს დედის ხმა, დედას გაწურული წინდები აივანზე გაუტანია და თოკზე ჰფენს, კოხტად, სათითაოდ, ჯარისკაცებივით ამწკრივებს. ფერად-ფერადი პლასტმასის პეპელა „შპილკებით“ დამაგრებული წინდები ქარის ოდნავ წამობერვაზე ტოლად ირწევიან, ალაგ-ალაგღა დასდით წვეთები. ქაუნთერა თავისი დიდრონი, ლამაზი ცისფერი თვალებით შეჰყურებს დედის რეცხვისაგან დაწითლებულ ხელებს და გულში უხარია, რომ დედა სულ მალე მამა-შვილის წინდებს ერთმანეთისგან ველარ გაარჩევს.

— ან ნიშანი უნდა დავადო ძაფით, ან არადა სხვადასხვანაირები უნდა გიყიდოთ ხოლმე, — ოხრავს დაღლილი ქალი, — სკოლაში წასვლის დროა, მაგ ფულით რამე იყიდე, მშიერი არ იყო, კომპიუტერის ორმოცდაათ თეთრს მერე მოგცემ..., — ქაუნთერას კიდევ უფრო უხარია...

— ოღონდ იცოდე, მე რომ გავიგო, ეგ ფული რამე სისულელეში დახარჯე..., — კიბეზე სირბილით დაშვებულს ძლივს ეწევა დედის ხმა, რომელსაც მოსახვევში სკოლის ზარი გადაჰფარავს. მერე მთელი გაკვეთილები მდუმარედ ზის და ფიქრობს. მასწავლებელს დაფაზე ქვეშმიწერით გამოჰყავს ხუთნიშნა ციფრთა ჯამი, მაგრამ ბიჭი ვერაფერს ხედავს — თვალში მარტო კომპიუტერის ფერად-ფერადად აციმციმებული მონიტორი და მისიების შემსრულებელი ზორბა ჯეელი ჰყავს, ყოჩაღად რომ დარბის სამიზნეებს შორის და გადაჭრილი „კალაშნიკოვიდან“ სუ კაკანით, დასტა-დასტა ალაგებს თავისნაირ მუტრუკებს.

„... იმ დღესაც დრო გაუთავდა, თორეეე!.. ეჰ, ნეტა სახლში „პენტიუმი“ ჰქონდეს!..“ ერთ ხანობას ფულს აგროვებდა, ოღონდ განა თუ ყულაბაში?!.. დედამ რო ვერაფრით აალებინა წიგნი ხელში, ეშმაკობა მოიგონა: რამდენ წიგნსაც წაიკითხავ, ჯილდოდ ლარს გაჩუქებ, შეაგროვე და იმ ფულით „პენტიუმი“ იყიდეო. ბიჭმაც დაიწყო კითხვა, ჯერ მეფეების ცხოვრება წაიკითხა, მერე რეზო ინანიშვილის პატარა მოთხრობები, მერე... უუჰ, თითო წიგნის წაკითხვაზე თითო ლარს კი შეჰპირდნენ, მაგრამ „პენტიუმი“ ძაან ძვირი ღირს და ეგრე ხო მთელი წელიც არ ეყოფა იმის ფულის გროვებას?!.. ჰოდა, ხვალინდელ ქათამს, ისევ დღევანდელი კვერცხი ამჯობინა, წიგნი გვერდზე გადადო და დროდადრო ორმოცდაათთეთრობით სცანცლის დედას და მაშინვე კომპიუტერებში გარბის.

... ეს ხუთკვადრატულმეტრიანი, მტვრითა და სიგარეტის ბოლით გაბუღული ოთახი კიდევ იმისი ოცნების ჯადოსნური კუნძულია! გაიკეთებს ყურებზე „ნაუშნიკებს“ და „ტინა-ტა-ტა-ტა! ტრა-ტა! ჯუ-ჰაუ! ჯუ-ჰაუ!“.. საუკეთესო ტყვია-წამლითა და პისტოლეტ-ავტომატებით შეიარაღებული, ეკრანზე ურიცხვ ანიმაციურ მტერს დასდევს და „დედას გიტირებთ, დედასა!“ — უკურთხავს გულში.

ყველაზე მაგარი მაინც იმ დღეს იყო — ოთხი ოთხზე ითამაშეს: აქეთ ვასო, „სტოგრამა“, თორნიკე და ლადი იყვნენ, ლადიმ კიდე თამაში სუ ერთი კვირაა რაც ისწავლა, აქეთ თვითონ, ლევანი, ნიკა და ზაზაშვილი. ისინი მენტები იყვნენ, თვითონ პოლიციელები... იარაღები და ბაზები სუ საუკეთესოები აირჩიეს. სუ გოჯ-გოჯ დაალაგეს ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო: ლამის ქვა ქვაზე დაადუღეს!

— მე, დედას ვფიცავარ, „ვარკრავტი“ მირჩევია, ეს „ქაუნთერი“ ბანძობაა, — თავს იმართლებდა ვასო. რო აჯობეს იმიტომ, თორე აბა პირიქით ყოფილიყო, მაშინ კი არ იტყოდა ეგრე.

— სესიკაშვილი! რას უდრის მართკუთხედის პერიმეტრი, თუ... — ჩაესმის მასწავლებლის ხმა და ფიქრთა მონიტორზე კადრი იყინება. ამას კომპიუტერის ენაზე დაპაუზება ჰქვია. ჰოდა, ეკრანზე გარინდებული მენტი მიზანში იღებს სკელეტონს... ცოდო არ არის, მართკუთხედის პერიმეტრის გამო ასეთი მაგარი კაცი მოკლან?! არადა, სკელეტონი ძაან მაგარია. იმის მომრევი არავინ ეგულება — არც ვანდამი და არც ჯეკი ჩანი. ჰა-ჰა, ტერმინატორი გაეჯიბროს ანდა კიდევ, ლევანა ძიას რო უყვარს, ტაისონი.

„ტაისონი რა? დიდი-დიდი ყური მოაჭამოს, თორე ისე ფეხებსაც ვერ მოსჭამს ძირში!“ — ამბობს გიგილო და თავისი ხუმრობა თუ სიტყვების თამაში თითონვე მოსწონს, — თუ გინდა „კაზაკებში“ დამეჯიბრეთ, გინდა ტეკენში!“



— მოდი!

— შენ ვის ირჩევ?

გიგილოს საყვარელი ფალავნები პაული, დოქტორი, ჰეი ჰაჯი და იოშიმიცუა, ქაუნთერას ოგრე, ლეო, ჯინი და ედი უყვარს, ბრაიანსაც არაუშავს, მაგრამ ამათი ილეთები უფრო დამხეცებული აქვს და სუ უგებს გიგილოს. გიგილო კიდე ისე ბრაზდება, ისე ბრაზდება, სიმწრით ტუჩებდაკვნეტილი და ცხვირჩამოშვებული ნელა გაიზლაზნება კარში და ხურდა ფულს აღარც უცდის.

— არა უშავს, შეენახება! — ელიმება საშკას და ქაუნთერას თვალს უკრავს, — ე, ქაუნთერ, ვარჯიშს რატო მიცდენ?

„საშკა მასწი“ რაგბისტია, ბიჭების გუნდი ჰყავს, დიდებისაც, პატარებისაც — პატარები შარშან, სუ კომპიუტერებში მოსიარულე ბალღებიდან შეკრიბა. სტადიონზე თუ კარგად იყოჩაღებენ, „საშკა მასწი“ ნახევარ საათს ჯილდოდ უფასოდ ათამაშებს ხოლმე. თუ ნასვამია და კარგ გუნებაზეა, მაშინ ხო საათს სულაც აღარ უყურებს და გახარებული ბიჭებიც ბდღვირს ადენენ კომპიუტერებს.

— ე, ქაუნთერ, მაიტა, მეთამაშე! — კარებში მიშო დგას და იცინის.

— იცოდე, მოგიგებ!

— მაშ მტყუვნის?!

— ეგრე! — წამში ირჩევს საბრძოლო იარაღსა და პოზიციებს და დამცინავად შეჰყურებს თავისზე ბარე სამჯერ დიდ მეტოქეს, ბავშვობაში კომპიუტერი რომ არც კი გაუგია (არათუ ენახოს ან ეთამაშოს) და ახლა ისრულებს იმ წლების დანაკლისს.

— ე, ბიჭო, დამაცა, ეს ვინა ყოფილა?! — მიშო დინჯად აკეთებს არჩევანს, აქაოდა, განა რო არ ვიცი, უბრალოდ, ამ საქმეს სიჩქარე არ უყვარსო. იხტიბარს არ იტეხს, თორემ ისე მაგრა ნერვიულობს, რადგან იცის, რომ ასიანი მოუგებენ. პატარები დიდებზე მაგრები არიან, გინდა „ჯეტეაში“, გინდა „ვარკრავტში“, გინდა „ქაუნთერში“, გინდა კიდევ „მიტალ ქონორში“. ამერიკაში თურმე ექსპერიმენტი დააყენეს — საბავშვო კომპიუტერული თამაშების ავტორ-პროგრამისტები და ბავშვები დააჯიბრეს და ბავშვებმა მოიგეს!

— მაგ შენ სკელეტონს ყველა მოერევა: თუნდ მეფე ერეკლე და თუნდა ზვიადაური, — ქირქილებს მიშო.

— „ჯეტეას“ და „მოჰას“ კიდე მარტო არიფები თამაშობენ, — იკრიჭება ქაუნთერა და აუღელვებლად აფეთქებს მიშოს ბოლო იმედად ქცეულ საბრძოლო ბაზას. მიშოს კიდე ნებისყოფა აშკარად ღალატობს, სიმწრით კბილებს რაჭუნებს და პულტს ,აბრაზებით აგდებს გვერდზე.

— ხო გეუბნებოდი, მოვიგებ-მეთქი!

— უხ, შენი რა! — მიშო სიყვარულით აიტაცებს ბიჭს ხელში და ცოტა ხანს ჰაერში დააკონწიალებს.

— გამიშვი, ვა!

— რო არ გაგიშვა, რაა რო?

— დამსვი, ვა! — ქაუნთერა გამეტებით იკლაკნება და განთავისუფლებას ლამობს მიშოს მთასავით ღონიერი მარწუხებიდან.

— მაკოცნინე და დაგსვამ!

— დამსვი, ვაა! — ქაუნთერა გაოფლილი და გაწითლებულია, ცრემლით ავსებული თვალებიდან ძლივსღა იყურება, ცოტაც და იტირებს!

— ეეე, აბა შენა ყოფილხარ! მე მაგარი მეგონე! აი, სკელეტონივით მაგარი!.. — მიშო ძირს სვამს და კაცური მზრუნველობით კოცნის. ქაუნთერას კიდე ამაზე უფრო უჩუყდება გული და ახლა მართლა ტირის.

— წამო, წამო, რამეს გიყიდი, წაგება წაგებაა, ძმაო!

გვერდიგვერდ მიდიან. მიშო სიგარეტს ეწევა, ნამტირალევი, მაგრამ კმაყოფილი ქაუნთერა მოგებულ „სპრაიტს“ წრუპავს ბოთლიდან...

**ქ. თელავი.**

---

◉ **ვაჟა ოთარაშვილი — 50**

# პოეტის შუადღე

**დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა თვალსაჩინო ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ვაჟა ოთარაშვილს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:**

ბატონო ვაჟა!

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ შესანიშნავ წარმომადგენელს, ჩინებულ შემოქმედსა და საზოგადო მოღვაწეს, და გილოცავენ დაბადების 50 წლისთავს.

თქვენი მწერლური ნათლობა 1978 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „ცისკრის“ დამატება „ნობათში“ ლექსების ციკლი გამოაქვეყნეთ.

ქართველი მკითხველი გიცნობთ, როგორც ჭეშმარიტ პოეტს, რომლის შემოქმედებაც ქართული მზით, ქართული ცისარტყელებითაა გაცისკროვნებული. თქვენი ლექსების თითოეულ სტროფს ჩვენი დიდი წინაპრების უწმიდესი სისხლით გაპოხილი მიწის სურნელება აქვს და მისი ერთგულებითაა დაღდასმული.

არაერთი მნიშვნელოვანი და საგულისხმო პუბლიცისტური წერილების ავტორი ბრძანდებით. ეწევით ნაყოფიერ მთარგმნელობით საქმიანობასაც.

არ შეიძლება ცალკე არ აღვნიშნოთ თქვენი საზოგადოებრივი საქმიანობა. საქართველოს პარლამენტის წევრი ბრძანდებოდით 1992-1995 წლებში და თქვენი ხელმოწერაც ამშვენებს საქართველოს კონსტიტუციას, რომლის შექმნაშიც აქტიური მონაწილეობა გაქვთ მიღებული, ერთ-ერთი დამფუძნებელი და ვიცე-პრეზიდენტი იყავით ასოციაცია „გულანისა“, ხელმძღვანელობდით ამ ასოციაციის გამომცემლობას, სხვებთან ერთად დააფუძნეთ ალმანახი „პარალელი“. მრავალი წელია ლექციებს კითხულობთ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. 2004 წლიდან საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე და გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ დირექტორი ბრძანდებით და ხმალამოღებული იბრძვით ქართული მწერლობის ინტერესების დასაცავად. ხართ ღირსეული მეუღლე და ოთხი შვილის მამა.

თქვენი ღვაწლი სათანადოდ დაფასდა. მონიჭებული გაქვთ გალაკტიონ ტაბიძის, მწერალთა კავშირის, ასოციაცია „გულანის“, ალმა-ატის პოეზიის ფესტივალის, ბალტიისპირეთის ფესტივალ „პოეტური გაზაფხულის“ პრემიების ლაურეატის წოდება. მონაწილეობდით ევროპის „სამი ზღვის“ აუზის ქვეყნების მწერალთა კავშირების კონგრესის გენერალურ ასამბლეის მუშაობაში კუნძულ როდოსზე (საბერძნეთი).

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას კოლეგას. დღეგრძელობასა და მზეგრძელობას გისურვებთ!

გფარავდეთ ღმერთი!

**საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი**

# ltlbc kjwdf itbcvbyf eafkvf

— **ჩემო ვაჟა...**

დავწერე ეს ორი სიტყვა და შევჩერდი. თურმე არაფერი ისე ძნელი არ ყოფილა. როგორც უახლოეს ადამიანზე წერა.

50 წელი შეგსრულებია. შენ — 50. ჩვენს მეგობრობას — 25. თვალწინ ჩამიქროლა წლებმა... ალმა-ათის ახალგაზრდული ფესტივალი. მოსკოვში, მაიაკოვსკის დარბაზში სტიქიით დაზარალებულ ქართველთა დასახმარებლად გამართული საქველმოქმედო საღამო. პოეზიის ფესტივალი როდოსის კუნძულზე...

ახალგაზრდული ასოციაცია „გულანის“ დაარსება. ვინ ვინ და, ჩვენ კარგად ვიცით, თუ რას ნიშნავდა კომუნისტური ეპოქის მიმწუხრზე პირველი არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნა. 40 ახალგაზრდა მწერლის გაერთიანება, თანადგომა. უმძიმესი წლების ერთად გადატანა. წიგნი „ბედისწერის“ გამოცემა.

უკეთილშობილესმა კაცმა და ნამდვილმა ქველმოქმედმა — გურამ ახრახაძემ ქაღალდი გვაჩუქა. ახალგაზრდები ვიყავით, წიგნის გამოცემას ნატრულნი. მაინც არ დავხარბდით, საკუთარი კრებულების ნაცვლად ჩვენი თაობის უნიჭიერეს ახალგაზრდათა შემოქმედების ანთოლოგია გამოვეცით, იმ ახალგაზრდების, ჩვენს გარშემო დატრიალებულმა ტრაგიკულმა წლებმა რომ შეიწირა.

იცი, რა გამახსენდა? როცა ახალგაზრდულ ასოციაციას ვქმნიდით, პირველად „გულანის“ ნაცვლად „სიყვარული“ ვუწოდეთ. ბატონმა ხუტა ბერულავამ გვკითხა, რატომ „სიყვარულიო?“

— ჩვენ ყველა მეგობრები ვართ ამ ასოციაციაში, ძალიან გვიყვარს ერთმანეთიო, — ვუპასუხეთ.

— თუ 10 წლის მერე, თუნდაც ორი ადამიანი, ამ ასოციაციიდან ერთმანეთის ერთგული დარჩებით, მოდით ჩემს საფლავთან და ჩამომძახეთ. მეც ბედნიერი ვიქნები. ვიტყვი, ამ წამოწყებამ გაამართლაო.

მადლი უფალს, შეგვიძლია იმ კეთილი სულის ადამიანის საფლავთანაც პირნათელნი მივიდეთ, მადლი უფალს, ისევ მეგობრებად და თანამოაზრეებად დავრჩით.

მახსოვს, ალმა-ათის ფესტივალიდან ვბრუნდებოდით. შენი ლექსი ლამის ფესტივალის ჰიმნად იქცა:

**„იმაზე ცოტა მეტი ვარ,**
**შენ რომ გგონია მტერო,**
**შენთვის რომ დედა მეტირა,**
**დღეს იქნებოდი მტვერი“.**

მასპინძლები გამორჩეული ალტაცებით გხვდებოდნენ. ლექსი ლექსად მოგიწონეს, მეგობრობა მეგობრობად. ქერა ქალებმაც არ დაგაკლეს გულის გადაშლა. თვითმფრინავში გამეხუმრე: — დაო, ჩემი ყველა საიდუმლო, ნაკლი თუ ღირსება შენზე უკეთ არავინ იცის, რა კარგად დამიტირებო.



ტირილი ღმერთმა გვაშოროს, მაგრამ გულით მინდა ღირსეულად დავხატო 50 წლის ბიჭის პორტრეტი.

შენი დადნაფიცი ხომ ვარ, მაგრამ, მას მერე, რაც დედა გავხდი, შენი „წერილი დედას“ უფრო მტკივა. მინდა ახლა იმ ღვთიური ქალბატონის თვალითაც გიცქირო, საფიცარ ვაჟკაცს ზეციური საქართველოდან რომ გლოცავს. როგორი ხარ მის თვალში, როგორ შეითვისე მისი შეგონებანი?

ძმა ხარ და დედაშენი მეც დედად მერგება. „ჩემო დედილო! როგორსაც ნატრობდით, ისეთია თქვენი ვაჟი. თქვენი ნასწავლი ქართულით უმშვენიერეს ლექსებს წერს. გასულ წელს წიგნისთვის „ცის სარკმელები“ თქვენი სათაყვანო პოეტის გალაკტიონის პრემია მიენიჭა.

თქვენი შვილი ისევ მტერია „უდარდელი სიცრუის“ და ისევ მამულისთვის თავდადებული. პარლამენტარი იყო და სხვებმა თუ სრა-სასახლეები აიშენა, ვაჟა თავისი ოთხი შვილით ისევ ორ პაწაწინა ოთახში ცხოვრობს. ვიცი, სხვა დედას ეს იქნება სწყენოდა კიდეც, მაგრამ თქვენ ხომ „სხვა დედა“ არა ხართ. ეს თქვენ ასწავლეთ შვილს, რომ პოეტი თავის ხალხზე უკეთ არ უნდა ცხოვრობდეს.

„გამოტოვებული თაობაო“, ასე ეძახიან თქვენი შვილების თაობას. ვაჟამ არც თავს მისცა ნება ვინმეს გამოეტოვებინა დროის წიგნიდან და არც თანატოლებს. შეუდრეკელი, მოუსვენარი, ერის მოყვარული:

**დაე, მომკვეთონ მეორე მკლავიც,**
**ოღონდ ერთობა იყოს**
**ქართველთა.**

ალბათ იმასაც დარდობს თქვენი თბილი გული, ჩემი ბიჭი ხომ არ გაჭაღარავდაო? ისევ ვაჟას სიტყვებით გიპასუხებთ:

**„სიყვარული არასოდეს**
**ბერდება,**
**მხოლოდ თოვლი უბერდებათ**
**მწვერვალებს“.**

„ბულა-თურქების“ დრო დადგაო, გულისტკივილით წერს თქვენი ვაჟი. ნურც ეს შეგაკრთობთ. აკი თავადვე ბრძანებს:

**„მზე რისი მზეა, თუ ომიდან**
**ველარ გამოვა,**
**გამარჯვებული, მზის**
**სიმღერას დააგუგუნებს“.**

ჩემო ძვირფასო ქალბატონო! გიხაროდეთ, რომ ვაჟა თქვენი შვილია, რომ ოთხი შვილით გაგამრავლათ, რომ სახელოვანია...

გიხაროდეთ, რომ თქვენი ლოცვა-ვედრება შეისმინა უფალმა.

**მაყვალა გონაშვილი**

# კიდევ ბევრი გაქვს სათქმელი...

**შენი** წიგნი მიდევს — ლექსების სქელტანიანი კრებული. იგი ასე თავდება:

„ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს.
სამოთხეს — უფლის ნათელი...
ღმერთო, მაცოცხლე ხვალამდე,
კიდევ ბევრი მაქვს სათქმელი...“

რაც უკვე გითქვამს — მაღალნიჭიერი, ამაღლებული პოეზიაა.

ხვალამდე კი არა — ახალგაზრდა კაცი ხარ, ხანგრძლივი სიცოცხლე გიწერია, რადგან ღმერთს ნიჭიერი კაცები — უმრავლეს შემთხვევაში — იქამდე არ მიჰყავს, სანამ სათქმელისგან არ დაიცლებიან.

გმადლობ, ჩემო ძმაო, ალმატებული სიყვარულისთვისა და დახვეწილი გემოვნებისთვის. ერთი ორმოცდაათი კიდევ იცოცხლე!

**ჭაბუა ამირეჯიბი**
**26.10.2005.**

## ვაჟა ოთარაშვილი

# შორი ნისლიან

* * *

**(ხალხურ მოტივზე)**

იმაზე ცოტა მეტი ვარ,
შენ რომ გგონია მტერო,
შენთვის რომ დედა მეტირა,
დღეს იქნებოდი მტვერი...
იმაზე ცოტა თბილი ვარ,
შენ რომ გგონია ძმაო...
რა მწარე გაკვეთილია,
არტანუჯი და ტაო...
იმაზე კარგად ვმღერივარ,
შენ რომ გგონია ქალავ,
ლერწამის ორი ღერი ვართ,
გვწვავს სიყვარულის ძალა...
ქარი ვარ შარახვეტია,
გზები რომ აგიმტვერო,
იმაზე ცოტა მეტი ვარ,
შენ რომ გგონია მეტრო...

## გურამ მღებრიშვილის გახსენება

გაიელვა ქეიფების კოცონმა,
ჩაიქროლეს მოთარეშე ქარებმა,
მოგონება მუცალივით მოცოცდა
და ძმაკაცის ლანდი მემუდარება...
ქვათახევში, გახსოვს, როგორ დავთვერით,
რამდენ ლამაზს ავურიეთ თავგზა და...
მერე წყვილი რომ დავანთეთ სანთელი,
ბაღდადურით ღამის ბნელი გაზავდა...
მომენატრა სიჭაბუკის დღეები —
ჩხუბითა და ტრფობით სავსე ყოჩები...
ღვინოსა ვსვამ, სევდით განახელები,
თქვენთან მოვალ, სიცოცხლეს
რომ მოვრჩები...
კვლავ მარტო ვარ და ვერ მიგებს
ვერავინ,
სიყვარულის შხამ-ტკბილსა ვცლი ფიალას...
ბარათაშვილს გამოექცა მერანი
და ზედ გულზედ დარდად გადმიარა...

## წერილი მეგობარს

ამ ნასესხებმა ამინდები არივ-დარია,
ასათიანის აბასთუმანს ცისმარე ვნატრობ...
ო, ღვთიურ ქვითინს ვინ უწოდა
„ავე მარია“
თუ ქარიშხლებმა ვარსკვლავები
მოგლიჯეს ტატნობს...
როგორ მაკლიხარ, როგორ მსურხარ,
როგორ მწყურიხარ,
შენამდე მოსვლა დღეს არ არის, ვიცი,
მარტივი...
დედაქალაქის ქაოსიდან და სიმწუხრიდან,
გიგზავნი წერილს, კვლავ წვიმების
რეჩიტატივით...
აბასთუმანში შეეჩეხე ლადოს, სიცხიანს?
ან ჭლექიანი თუ შემოგხვდა
შალვა კარმელი...
თუ „ტრავიატა“ და „კარმენი“
გვერდით გიწყვია,
დედათ სავანეს მიაშურე: სადაც არ მელი...
აქ ნასესხებმა ამინდები არივ-დარია
და დიდი ლადოს აბასთუმანს ცისმარე
ვნატრობ...
ო, ღვთიურ ქვითინს ვინ უწოდა
„ავე მარია“
თუ ქარიშხლებმა ვარსკვლავები
მოსწყვიტეს ტატნობს...

## ლოცვა ლექსებით

ჩემი ლექსებით
შენზედ ვლოცულობ,
ჩემო ენავ და ჩემო მამულო!
რწმენავ, იესოს ჯვარით მოსულო
და ნინოს ცრემლით გადანამულო...
ჩემი სიტყვები ჩირაღდნებია,
რომ მტრის შემოსვლა გამცნოთ კოშკიდან...
ხანჯლით რითმაში მივარდებიან,
მემუქრებიან რჯულის მოშლითა...
უნდა ამჩეხონ ბგერა-ბგერა და
სიტყვის სეტყვებით სისხლი მადინონ...
მტერთან და თანაც ასე ვერაგთან,
უნდა ვიმარჯვო და ვიქადილო...
არ მეშინია!
ჩემი ლექსებით
შენზედ ვლოცულობ ივერთ მამულო!
რწმენავ — იესოს ჯვარით მოსულო

◎ გლობუსი

# რას რამ გააღიზიანა ირანი?

**ერთ კვირაზე მეტია, მსოფლიოს პოლიტიკური წრეების ყურადღების ცენტრშია ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის მაჰმუდ აჰმადინეჯადის უკიდურესად რადიკალური განცხადება ისრაელის, როგორც სახელმწიფოს განადგურებასთან დაკავშირებით. პრეზიდენტის ნათქვამის ფრაზა — „ისრაელი უნდა წაიშალოს მსოფლიო რუკიდან" გაისმა იმ გამოსვლაში ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროში შეკრებილი მრავალი ათასი სტუდენტის წინაშე. ოქტომბერ-ნოემბერში ირანის ისლამური სტუდენტური ასოციაცია ტრადიციულად ატარებს კონფერენციას და პროტესტების აქციებს ლოზუნგებით: „სიკვდილი სიონიზმს ბარიერს", „სიკვდილი ამერიკას ბარიერს". მსგავსი კონფერენციები ნათლად ასახავს ირანში არსებულ სულისკვეთებას ამერიკისა და ისრაელის მიმართ. ლოზუნგები და მოწოდებები ყურს ჭრის და აღიზიანებს საერთაშორისო საზოგადოებრიობას, განსაკუთრებით აშშ-ს, ევროპის სახელმწიფოებსა და ისრაელს, მაგრამ ჩვეულებრივია ირანისთვის.**

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში პრეზიდენტი მნიშვნელოვანი ფიგურაა, მაგრამ — არა გადამწყვეტი. ფაქტობრივი ძალაუფლება თავმოყრილია ქვეყნის სულიერი ლიდერის აიათოლა ჰამენეის და მის დაქვემდე-



ბარებაში არსებული დამცველების საბჭოს ხელში. სულიერი ლიდერების დამოკიდებულება კი ამერიკის მიმართ ყოველთვის იყო აგრესიული. ირანის ისლამური რესპუბლიკის დამაარსებელი აიათოლა ჰომეინის ეკუთვნის ის ცნობილი გამონათქვამი „ისრაელი უნდა წაიშალოს მსოფლიო რუკიდან", რომელიც 49 წლის ახალმა პრეზიდენტმა აჰმადინეჯადმა წარმოთქვა ირანის საგარეო უწყებაში გამართულ კონფერენციაზე. აჰმადინეჯადი ლოგიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით თავის თვალით წარსულისა და დღევანდელი სულიერი მამების თანამოაზრეა. ამდენად, ირანში არავის გაუკვირდა, როდესაც მან, თავის გამოსვლაში ციტირება გაუკეთა აიათოლა ჰომეინის სიტყვებს და თავის მხრივ ისიც დაუმატა, რომ ღმერთის წყალობით მალე აღარ იარსებებს აშშ და სიონიზმი.

მსგავსი სულისკვეთების გამომხატველი იყო სამხედრო პარადი, რომელიც ამას წინათ გაიმართა თეირანში, ირან-ერაყის ომში გამარჯვების აღსანიშნავად. თეირანის მთავარ მოედანზე აღმართული ხალხით სავსე ტრიბუნების წინ, აღტაცებული მაყურებლის შეძახილების თანხლებით ჩაიარეს საბრძოლო რაკეტებმა წარწერით — „ჩვენ გავსრესთ ამერიკას". სპეციალისტების აზრით, ბოლო დროს ირანის მიერ მწვავე განცხადებების გაკეთება გამოწვეულია იმ პრესინგის გამო, რასაც აშშ-ის დავალებით ახორციელებს ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია და ბირთვული ენერგიის საერთაშორისო სააგენტო ამ ქვეყნის მიმართ. პრესინგი შეიცავს მუქარას ირანის ბირთვული დოსიეს გაეროს უშიშროების საბჭოს განსახილველად გადაცემასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნულ სამხედრო პარადში მონაწილეობას ღებულობდა მძიმე სამხედრო ტექნიკა, მათ შორის ტანკები და რეაქტიული თვითმფრინავები, მაგრამ მთავარი მაინც ბალისტიკური რაკეტების „შაჰაბ-3"-ს გამოჩენა იყო. სწორედ ეს რაკეტები აღიზიანებს აშშ-სა და ისრაელს. ამ რაკეტებით სრულიად თავისუფლად შეიძლება სპარსეთის ყურეში არსებული ამერიკული სამხედრო ბაზების, აგრეთვე ისრაელის და ევროპის ქვეყნების დაბომბვა. სამხედრო პარადზე ირანის პრეზიდენტმა მკაცრი განცხადება გააკეთა: „ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ გვინდა მშვიდობიანი ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან, მაგრამ ვინც შეეცდება ჩვენი ქვეყნის თავმოყვარეობის შელახვას, დაიმსახურებს სახალხო ზიზღსა და განადგურებას. თუ ამერიკა და მისი დამქაშები გაბედავენ ირანზე თავდასხმას, ჩვენ ამ რაკეტებით გავანადგურებთ მათ".

აშშ და ისრაელი დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ რაკეტებით (მათი მოქმედების რადიუსი 1700 კილომეტრს აჭარბებს) ირანს შეუძლია საკუთარი წარმოების ბირთვული ქობინების სამიზნემდე გატყორცნა. მართალია ირანის საბრძოლო შესაძლებლობების განვითარება აშშ-ს აშფოთებს, მაგრამ ის ცდილობს მაქსიმალურად შეინარჩუნოს თავშეკავება და მეტი ყურადღება დაუთმოს დიპლომატიას, მაგრამ ირანის პრეზიდენტის ბოლო განცხადებამ შეიძლება აშშ-ს შეაცვლევინოს პოზიცია, რასაც მოჰყვება გაეროს უშიშროების საბჭოსთვის ირანის ბირთვული დოსიეს გადაცემის დაჩქარებული პროცედურა.

ირანის ბირთვული პროგრამა დიდი ხანია საერთაშორისო საზოგადოების ეპიცენტრშია. ასევე დიდი ხანია, ირანი ირწმუნება, რომ პროგრამა სამშვიდობო ხასიათისაა და არ ითვალისწინებს ბირთვული იარაღის შექმნას. დასავლეთსა და საერთაშორისო ბირთვული ენერგიის სააგენტოს არ სჯერათ ირანის გულწრფელობის. უნდობლობის ფაქტორის განეიტრალებას ვერც ირანის რელიგიური ლიდერების სპეციალური დოკუმენტის გამოცემამ უშველა. აღნიშნული დოკუმენტით ირანში იკრძალება ბირთვული იარაღის გამოყენება.

განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩევა აშშ. თუმცა ეს ქვეყანა იყო პირველი, ვინც საფუძველი ჩაუყარა ირანის ბირთვული ენერგიის შექმნის პროგრამას, მაგრამ ეს იყო ირანის შაჰის რეზა ფეჰლევის დროს. მაშინ ირანი ამ რეგიონში აშშ-ს უპირველეს მოკავშირედ ითვლებოდა. სწორედ ამერიკელთა მხარდაჭერით და დახმარებით დაარსდა თეირანის უნივერსიტეტში ბირთვული ენერგიის ცენტრი. პროგრამის ძირითადი მიზანი იყო ირანის ბირთვული ენერგიით მომარაგება. ამისთვის კი ირანს ყველა საფუძველი გააჩნია. ირანის წიაღი მდიდარია ურანით, რაც აუცილებელია ბირთვული ენერგიისთვის. ირანი ასევე მდიდარია ნავთობით, მაგრამ ქვეყნის ხელისუფალთ მიაჩნიათ, რომ ნავთობის სწრაფმა ექსპორტმა რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ირანი შესაძლოა ნავთობის იმპორტიორ ქვეყნად აქციოს.

ენერგიის წარმოების სრული ციკლის შესაქმნელად ბირთვული ობიექტები შენდება არდაკანში, ნანტაზში, არაკში და ისპაჰანში. რუსეთის დახმარებით აშენდა ბუშერის ბირთვული ელექტროსადგურის პირველი ბლოკი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამერიკისა და ევროპის ნეგატიური დამოკიდებულებისა, რუსეთს არ სურს შეწყვიტოს ირანთან თანამშრომლობა „მშვიდობიანი ატომის" დარგში.



ბუშერის ირგვლივ შექმნილი ვითარება მკვეთრად გაუარესდა, მას შემდეგ, რაც ზოგიერთმა დასავლურმა წყარომ აღნიშნა ბირთვული ბომბის შექმნასთან ირანის მიახლოება. ბრიტანული პრესის მიხედვით თეირანს 37 ტონა ურანის კონცენტრატი აქვს, საიდანაც 5 ბირთვული ბომბის დამზადება არის შესაძლებელი. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული დასავლეთი არ ენდობა ირანს, ხოლო აშშ თვლის მას ტერორისტულ სახელმწიფოდ და არ სურს მასთან აწარმოოს პირდაპირი მოლაპარაკება. თეირანი კი თავის მხრივ მოითხოვს მსოფლიომ აღიაროს, რომ ბირთვული იარაღის გაუვრცობლობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მისი ბირთვული პროგრამა მშვიდობიანია, გარდა ამისა მას უფლება აქვს გაამდიდროს ურანი.

ირანის პრეზიდენტის რადიკალური განცხადება საერთაშორისო ბირთვული ენერგიის სააგენტოს გენერალური ასამბლეის მოქმედებითაც იყო გამოწვეული. ასამბლეამ მიიღო ევროპის სამეულის — დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და გერმანიის მიერ შემუშავებული ერთობლივი რეზოლუცია. მას მხარი დაუჭირა 22 ქვეყანამ, ერთი (ვენესუელა) წავიდა წინააღმდეგი. 12 ქვეყანამ, მათ შორის რუსეთმა და ჩინეთმა თავი შეიკავა. რეზოლუცია ითვალისწინებს „ირანის საკითხის" გაეროს უშიშროების საბჭოსთვის განსახილველად გადაცემას, აგრეთვე ირანში ურანის გამდიდრებისთვის საჭირო სამუშაოების შეჩერებას. რეზოლუციით მოუწოდეს ირანის პარლამენტს — მეჯლისს რატიფიკაცია გაუკეთოს ბირთვული იარაღის გაუვრცობლობის დამატებით ოქმს, რაც შესაძლებლობას მისცემს საერთაშორისო ბირთვული ენერგიის სააგენტოს ინსპექტორებს, აწარმოონ ირანის ბირთვული ობიექტების ინტენსიური და მოულოდნელი შემოწმება, აგრეთვე, მათი დროებით შეჩერება. საერთაშორისო ბირთვული ენერგიის გენერალურ ასამბლეაზე ემოციურად გამოვიდა ირანის ვიცე-პრეზიდენტი რეზა ალაზადე. ის იმავდროულად არის ეროვნული ბირთვული პროგრამის ხელმძღვანელი. „საერთაშორისო ბირთვული ენერგიის" სააგენტოს გაეროს ყარაულ ძაღლად მიიჩნევენ, მაგრამ ის არ იყურება სწორი მიმართულებით. ირანი არ არღვევს საერთაშორისო ვალდებულებებს. ამ



პრობლემაში გაეროს უშიშროების საბჭოს მონაწილეობა მიუღებელია ჩვენთვის", — განაცხადა რეზა ალაზადემ. ირანის მეჯლისმა დაავალა მთავრობას, გადახედოს ურთიერთობებს იმ ქვეყნებთან, რომლებმაც მხარი დაუჭირეს რეზოლუციას. ირანის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის ალი ლარიჯანის განცხადებით ირანი არ აპირებს გამოვიდეს ბირთვული იარაღის გაუვრცობლობის ხელშეკრულებიდან, მაგრამ თუ აშშ და სხვა ქვეყნები ძალით შეეცდებიან თავს მოახვიონ ირანს თავიანთი გადაწყვეტილება, მაშინ ირანი გადახედავს თავის პოზიციებს.

აშშ-ის და რუსეთის ინტერესები ირანთან დაკავშირებით ერთობ განსხვავებულია. 90-იანი წლებიდან დამყარებული რუსეთ-ირანს შორის არსებობს მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა. მოსკოვი ირანის ბირთვულ პროგრამას ამერიკისგან განსხვავებით სხვა პრიზმიდან უყურებს. მოსკოვისა და ვაშინგტონის პოზიციები შეძლებისდაგვარად უნდა დაუახლოვდეს ერთმანეთს და თუ ეს ამ ეტაპზე შეუძლებელია, განსხვავებულმა აზრმა არ უნდა გამოიწვიოს საყოველთაო კრიზისი.

დღეს ხშირად ისმის კითხვა ირანის წინააღმდეგ აშშ-ს მხრიდან სამხედრო ოპერაციის წარმოების თაობაზე. თვით ამერიკის ადმინისტრაცია არ გამორიცხავს ამგვარი ოპერაციის ჩატარებას, თუმცა ჯერ-ჯერობით ამის განხორციელება შეუძლებლად მოსჩანს. ამერიკის მოსახლეობა სულ უფრო აქტიურად მოითხოვს საკუთარი ადმინისტრაციისგან ერაყიდან ჯარის გამოყვანას.

შედარებით ნაკლები, მაგრამ მაინც სერიოზულ პრობლემად იქცა ავღანეთიც. ერაყსა და ავღანეთში სამხედრო ოპერაციებში დახარჯული თანხები მილიარდობით დოლარს შეადგენს, რაც მძიმე ტვირთად აწვება ამერიკის ბიუჯეტს. ერაყში დახოცილ ამერიკელ ჯარისკაცთა საკითხი (2 000-ზე მეტი) ამერიკის ადმინისტრაციის წინააღმდეგ ახალი მასობრივი გამოსვლების საწინდარია. თუ აღნიშნულს იმასაც დავუმატებთ, რომ ამერიკის მოკავშირეები ნაკლებ მზადყოფნას გამოხატავენ ირანში ამერიკელთა სამხედრო აქციების მხარდაჭერასთან დაკავშირებით, დღეს ნაკლებად მოსალოდნელია ირანის წინააღმდეგ ამერიკის მხრიდან სამხედრო ოპერაციის განხორციელება, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ისრაელზე. ნიქსონის ცენტრის პრეზიდენტის დიმიტრი საიმსის განცხადებით, ირანის ბირთვული იარაღის საშიშროებას აშშ-ზე მეტად ისრაელი განიცდის და როდესაც საკითხი ეხება ქვეყნის გადარჩენას, აქ არც ერთი ვარიანტი გამორიცხული არ არის. „მე ვთვლი, რომ ისრაელის მხრიდან ირანზე დარტყმა ნაკლებად შესაძლებელია, მაგრამ უფრო მეტად დასაშვებია, ვიდრე ამერიკელთა სამხედრო შეტევა", — ამბობს დიმიტრი საიმსი.

ირანს გარდა ბირთვული პროგრამისა, ნავთობის სახით არანაკლები იარაღი გააჩნია. მას შეუძლია შეამციროს ნავთობის ექსპორტი მსოფლიო ბაზარზე, რაც გამოიწვევს ისედაც გაზრდილი ნავთობის ფასების კატასტროფულ მატებას.

კასპიის ზღვა ირანს, აშშ-სა და რუსეთს შორის დაპირისპირების კიდევ ერთი არენაა. ევროპაში ნატოს ძალების მთავარსარდლის გენერალ ჯეიმს ჯონსის განცხადებით, აშშ-ში აწარმოებენ აქტიურ მუშაობას აზერბაიჯანში სპეციალური დანიშნულების ძალების და სამხედრო ბაზების შექმნისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ მშვიდობასა და უსაფრთხოებას კასპიის რეგიონში. სწრაფი რეაგირების ძალები „კასპიის გუშაგის" სახელწოდებით განახორციელებს პოლიციურ ზედამხედველობას რეგიონში. ეს კონცეფცია 2003 წელს შეიქმნა პენტაგონის წიაღში. ის გულისხმობს სპეციალური დანიშნულების და პოლიციური ძალების ქსელის შექმნას კასპიისპირა სახელმწიფოებში. მათი დანიშნულებაა საგანგებო სიტუაციებზე სწრაფი რეაგირება, ტერორისტების თავდასხმისაგან ნავთობის ობიექტების და ნავთობსადენის დაცვა. „კასპიის გუშაგი" არის ევროპაში აშშ-ს სარდლობის მოწინავე პოსტი, რომლის შტაბ-ბინა იქნება შტუტჰარტში. გაზეთ „უოლ-სტრიდ ჯორნელის" განმარტებით „კასპიის გუშაგის" სამეთაურო ცენტრი აღიჭურვება თანამედროვე ტექნიკით და უახლესი რადარული სისტემით ბაქოში. გაზეთის მტკიცებით ბაქო არ არის წინააღმდეგი განალაგოს სწრაფი რეაგირების ძალები ქვეყნის ტერიტორიაზე. რუსეთის სამხედრო ანალიტიკოსთა მიხედვით ვაშინგტონს სურს ამ რეგიონში შექმნას სამთა კავშირი ამერიკის, აზერბაიჯანისა და ყაზახეთის შემადგენლობით. შემდგომში მათ შეიძლება დაემატოთ თურქმენეთი, უზბეკეთი და თურქეთი. „კაპიის გუშაგის" ძირითადი მიზანია ბირთვული სურვილების და ამბიციების მქონე სახელმწიფოებთან ბრძოლა. ცხადია აქ ირანი იგულისხმება, კერძოდ იდგმება ირანის ალყაში მოქცევის ნაბიჯი.

ცხადია, ასეთი გეგმა რუსეთსაც აღიზიანებს არა მარტო იმიტომ, რომ ის წარმატებით თანამშრომლობს ირანთან, არამედ რუსეთისთვის კასპიის ზღვა ტრადიციული გავლენის ზონად ითვლება. ამერიკელთა შეჭრა კასპიის ზღვაში საფრთხეს უქმნის რუსეთის უსაფრთხოების ინტერესებს ურალის მიმართულებით, რომელიც შუაგულ რუსეთში მდებარეობს. კავკასია-კასპიის და ცენტრალური აზიის რეგიონებზე ამერიკის კონტროლის განხორციელება ერთპოლუსიანი მსოფლიოს კიდევ ერთი დამადასტურებელი მაგალითია, რაც ნაკლებად ხიბლავს როგორც რუსეთს, ისე ირანის ისლამურ რესპუბლიკას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ირანის ხელისუფლება ყველა ხერხს იყენებს, ხშირად მიუღებელსაც, საკუთარი ინტერესების დაცვისთვის.



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

◎ ინფორმაცია თემაში

### თეირანიდან ელჩები განდევნეს

**ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა ქვეყანაში აკრედიტაცია გაუუქმა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და გერმანიის ელჩებს. აგრეთვე, გამოიხმო 18 ირანელი დიპლომატი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.**

**უცხო ქვეყნების დიპლომატები „დაზარალდნენ" ირანის მეთაურის მიერ გაკეთებული ანტისემიტური ხასიათის განცხადებების კრიტიკის გამო, თვით ირანელი ელჩები კი იმისთვის, რომ ვერ შეძლეს აჰმადინეჯადის დაცვა საერთაშორისო გაერთიანების წინაშე.**



# პარიზის გარეუბნებში ასამდე ავტომანქანა გადაწვეს

**პარიზის გარეუბნებში უკვე მეშვიდე დღეა გრძელდება ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებიდან ჩამოსული იმიგრანტების შეტაკება პოლიციასთან.**

ოლნე-სუ-ბუაში გაძარცვეს პოლიციის დახურული უბანი; ღამით კი მისთვის ცეცხლის წაკიდებაც სცადეს. ქალაქ კურნიოვში პოლიციელებს ცეცხლი გაუხსნეს.

როგორც ფრანს პრესის სააგენტო იტყობინებოდა, დილის 3 საათისთვის უწესრიგობა შეწყდა. პო-



ლიციელთა მონაცემებით დაპატიმრებულია 15 კაცი; შეტაკებების დროს გადაწვეს ასამდე ავტომანქანა.

ოთხშაბათს ღამით საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ნიკოლა სარკოზიმ გამართა სამუშაო შეხვედრა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებთან.

„რეიტერის" სააგენტოსთან საუბრისას, პოლიციელთა პროფკავშირის თავმჯდომარემ მომხდარ ამბავს „სამოქალაქო ომი" უწოდა. მან მოუწოდა შინაგან საქმეთა მინისტრს შემოიღოს კომენდანტის საათი იმ რაიონებში, რომლებშიც მოხდა შეტაკებები.

ყველაზე დიდი პრობლემები შეიქმნა ოლნე-სუ-ბუაში. დაახლოებით შუაღამისთვის, ნიღბიან ახალგაზრდათა ჯგუფმა მანქანიდან ძალდატანებით გადმოიყვანა „ფრანს-2" ტელეარხის სამი ჟურნალისტი. ამის შემდეგ მათ მანქანას ცეცხლი წაუკიდეს.

ხანძრის შედეგად ასევე მთლიანად განადგურდა საავტომობილო კომპანიის „რენოს" დილერთა ცენტრი; შემთხვევის ადგილზე მეხანძრეები რამდენიმე საათის განმავლობაში ებრძოდნენ ხანძარს.

ოლნე-სუ-ბუაში ასევე ცეცხლი წაუკიდეს ორი დაწყებითი სკოლის შენობას.

ოთხშაბათ საღამოს ნიღბიან ახალგაზრდათა ჯგუფმა დაარბია ბობინის სავაჭრო ცენტრი. იმავე დღეს კლიში-სუ-ბუაში შეტაკებების დროს დაკავებულ ორ პირს ქალაქის სასამართლომ ერთიდან სამ თვემდე ვადის პატიმრობა მიუსაჯა.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა ოთხშაბათს განაცხადა, რომ ყოველივე ეს პარიზს ემუქრება „ვითარების საშიში გამწვავებით", და მან მოუწოდა მოსახლეობას გამოიჩინოს მეტი სიმტკიცე და თავშეკავება.

პრეზიდენტი გამოვიდა მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე, რომელზეც განიხილეს პარიზის გარეუბნებსა და დედაქალაქის მახლობლად მდებარე დასახლებულ პუნქტებში ვითარების სტაბილიზაციისთვის გამიზნული ღონისძიებები.

# მოლაპარაკება განახლდება

**ერთწლიანი შესვენების შემდეგ იაპონიამ და ჩრდილოეთ კორეამ პეკინში განაახლეს მოლაპარაკება ორმხრივი ურთიერთობის ნორმალიზაციის თაობაზე.**

დღის წესრიგის ერთ-ერთი მთავარი საკითხი ეძღვნება იმ იაპონელი მოქალაქეების ბედს, რომლებიც ჩრდილოეთ კორეის სპეცსამსახურებმა გაიტაცეს 1970-80-იან წლებში.

ტოკიოს მტკიცებით, ამ მოქალაქეებს იყენებდნენ ჩრდილოკორეელი აგენტებისთვის იაპონური ენის და ეთიკეტის მასწავლებელთა სახით.

შეხვედრის დაწყების წინ იაპონიის დელეგაციის მეთაურმა განაცხადა: თუ პროგრესი ვერ იქნება მიღწეული, შეუძლებელი გახდება ორმხრივი ურთიერთობის ნორმალიზაცია. ასეთ შემთხვევაში იაპონია, შესაძლოა, იძულებული გახდეს გადასინჯოს თავისი პოლიტიკა ფხენიანის მიმართ.

კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას, თავის მხრივ, იმედი აქვს, რომ შეხვედრაზე იაპონიის მხარესთან განიხილავს საკითხს იმ ფულადი კომპენსაციის შესახებ, რომელიც იაპონიამ უნდა გადაუხადოს ფხენიანს მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში კორეის ოკუპაციის გამო.

მოლაპარაკების წინა რაუნდი ერთი წლის წინ დასრულდა ისე, რომ მხარეებმა ვერ მიაღწიეს ვერანაირ შეთანხმებას გატაცებული იაპონიის მოქალაქეების საკითხის მოგვარების შესახებ.



## მოკლედ

**„დემოკრატი ინდექს-2005"** გამოკითხვის თანახმად, ისრაელის მოსახლეობის 84 პროცენტს მიაჩნია, რომ ქვეყანაში შეიძლება მოხდეს ახალი პოლიტიკური მკვლელობა პალესტინელებთან განმიჯვნის გეგმის განხორციელების ტალღაზე. აღსანიშნავია, რომ 10 წლის წინათ იცხაკ რაბინი მოკლეს სწორედ იმის გამო, რომ ჩაშლილიყო საზავო მორიგების მიღწევა პალესტინელებთან.

* * *

**ინტერნეტის** ერთ-ერთი საიტი, რომლითაც ჩვეულებრივ სარგებლობს „ალ-კაიდა" თავისი განცხადებების გამოსაქვეყნებლად, იტყობინებოდა, რომ ერაყში 20 ოქტომბერს გატაცებულ მაროკოს საელჩოს ორ თანამშრომელს სიკვდილით დასჯიან. „ალ-კაიდამ" მაროკოელები აბდელრა-




ჰიმ ბუალამი და აბდელქერიმ ელმუჰაფიდიმი „გაასამართლა" სამშაბათს. ჯერჯერობით შეუძლებელია შემოწმდეს, თუ რამდენად სარწმუნოა ეს ინფორმაცია.

* * *

**უკრაინის** უზენაესი რადა დათანხმდა ალექსანდრე მედვედკოს ქვეყნის გენერალური პროკურორის პოსტზე დანიშვნას. დარბაზში რეგისტრირებული 395 დეპუტატიდან ამ გადაწყვეტილებას ხმა მისცა 303 პარლამენტარმა. ალექსანდრე მედვედკოს 2004 წლის დეკემბრიდან ეკავა გენერალური პროკურორის მოადგილის პოსტი.

* * *

**ვაშინგტონის** სასამართლო ოფიციალურად გამოაცხადებს შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის აპარატის ყოფილი მეთაურის ლიუის ლიბისთვის წაყენებულ ბრალდებას. ლიბის საქმეს გაუძღვება მოსამართლე რეჯი უოლტონი, რომელიც ამ თანამდებობაზე 2001 წლის ოქტომბერში დანიშნა შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშ-უფროსმა.

* * *

**ტაილანდში** 2 ადამიანი გარდაიცვალა „ფრინველის გრიპის" სიმპტომებით. ანალიზების შედეგები ჯერჯერობით არ არის მიღებული. სულ კი აზიაში უკვე დაავადებულია 100 კაცი, რომელთაგან 60 გარდაიცვალა.



**ბრაზილიაშიც** აღინიშნა „ფრინველის გრიპის" სიმპტომებით დაავადების პირველი შემთხვევა. დასნეულებული ქათამი მოკვდა სან-პაულუს შტატის ქალაქ მარილიას ერთ-ერთ კერძო მეფრინველეობის ფერმაში. კარანტინის სამსახურს ფრინველი დიაგნოზის დასამტკიცებლად სან-პაულუში გადაჰყავდა.

* * *

**გერმანიაში** პარალიზებულ ინვალიდს სასამართლომ ჩამოართვა სპეციალური ეტლი მთვრალ მდგომარეობაში მისი მართვის გამო. უნდა აღინიშნოს, რომ პოლიციას პირველად როდი ჰქონდა პრეტენზიები ამ ადამიანის მიმართ, რადგან იგი ხშირად მართავდა ინვალიდის ეტლს არაფხიზელ მდგომარეობაში. სასამართლოს განაჩენი საკმაოდ მკაცრი იყო: 1950 ევროს გადახდა ჯარიმის სახით და ელექტროეტლის მართვის აკრძალვა სამი თვის ვადით.

* * *

**ჟურნალმა New Scientist** გამოაქვეყნა მკითხველების მიერ დასმული კითხვების და მათზე გაცემული პასუხების შენარჩევი რუბრიკით „ბოლო სიტყვა", რომლის მასალებიც ზოგჯერ ძალზე უცნაურ ამბებს ეხება. მაგალითად, მკითხველებს აინტერესებდათ „განიცდის თუ არა ადამიანი ტკივილს, როცა მას თავს კვეთენ?", ან „რომელი ცხოველები ჭამენ კრაზანებს?".

**განცხადება**

**სულხან-საბა ორბელიანის** სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებლად.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ პედაგოგიური უნივერსიტეტის კადრების განყოფილებას (ი. ჭავჭავაძის გამზირი № 32. ტელეფონი: 22 15 60). აგრეთვე იხილეთ პედაგოგიური უნივერსიტეტის ვებ-გვერდი:

**www.saba.edu.ge**

**კონკურსში მონაწილეთა საბუთები მიიღება 2005 წლის 7 ნოემბრიდან 7 დეკემბრის ჩათვლით.**

სააქციო საზოგადოება „ბაგას" აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება გაიმართება მიმდინარე წლის 30 ნოემბერს.

**დღის წესრიგი**

**1) სააქციო საზოგადოების დირექტორის ანგარიში ჩასატარებელი სამუშაოს შესახებ; 2) სამეთვალყურეო საბჭოში ცვლილებების შესახებ; 3) სხვადასხვა.**

კრება გაიმართება სააქციო საზოგადოების შენობაში **ქ. ქუთაისი, ზ. გამსახურდიას გამზირი 60.**

**სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის"** სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების სააღრიცხვო თარიღად დადგენილია **2005 წლის 14 ნოემბერი.**

◎ ისტორია

# მემორიალი, რომელიც სხვაგვარ სვეს იმსახურებს

## ნასაკირალის ბრძოლის 100 წლისთავი

**ერთი საუკუნის წინათ საქართველოში მომხდარი 1905 წლის რევოლუცია, ბევრმა მკვლევარმა შეაფასა, მაგრამ ისე ორიგინალურად, როგორც ეს აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა მოგვცა, არავის არც უცდია და არც გაუკეთებია. საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერის აზრით, ეს რევოლუცია ჩვენმა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავისებური გაგრძელება იყო და სხვა არაფერი, რომ ეს იყო ქართველი გლეხობის ბრძოლა დამპყრობელი მტრის — რუსეთის ცარიზმისა და მისი ხელისუფლების წინააღმდეგ. ქართველი გლეხობის ეს თავდადებული ბრძოლა ნასაკირალთან, ოქროს ასოებით ჩაიწერება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, ისე როგორც ქართველთა მიერ გადახდილი ბევრი სხვა ბრძოლა.**



2005 წლის 4 ნოემბერს 100 წელი სრულდება ნასაკირალის ბრძოლიდან, რომელიც საქართველოს ახალი ისტორიის ერთ-ერთი გამორჩეული ფურცელია.

XIX საუკუნის დამდეგიდან ქართველი ხალხი მრავალჯერ დაუპირისპირდა დამპყრობელ ცარისტულ რუსეთს, მაგრამ არც ერთხელ არ მოუპოვებია ისე შთამბეჭდავი წარმატება, როგორც ეს ნასაკირალის შეტაკებაში მიაღწია.

დაპირისპირებული ძალები არც ისე მრავალრიცხოვანი იყვნენ, მაგრამ ამას სრულიად არ შეუშლია ხელი იმისათვის, რომ ნასაკირალის ეპოპეა ოქროს ასოებით აღბეჭდილიყო ჩვენს ისტორიაში.

სამწუხაროდ, ნასაკირალის დაუვიწყარი შეტაკების ამგვარი გაცნობიერება ჯერ კიდევ არაა სასურველი სისრულით ხალხთან მიტანილი.

რუსეთის ცარიზმის საქართველოში შემოსვლის შემდეგ ჩვენში არ მომხდარა რომელიმე სხვა შეტაკება დამპყრობლის შეიარაღებულ ძალასთან, რომელსაც ისე დიდი რეზონანსი ჰქონოდა, როგორც ეს ნასაკირალის შეტაკებას ერგო.

ნასაკირალის ბრძოლის ხმამ რუსეთის არა მარტო განაპირა რაიონებს მიაღწია, არამედ შუა რუსეთიც მოიცვა და იმპერიის დედაქალაქიც კი შეაზანზარა.

დღეს, როდესაც ასე მძიმე და შეჭირვებული ჟამი უდგას ჩვენს ქვეყანას, ნასაკირალის ეგზომ მრავალმეტყველი ეპოპეა განა შეიძლება არ ახსოვდეს ხალხს, რომელიც ასეა გათანგული იმ უთანასწორო ბრძოლით, რომელიც ასე აწუხებს.

ნასაკირალი მწვერვალი იყო იმ ბრძოლისა, რომელსაც საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ქართველი ხალხი საოცარი მამაცობით ეწეოდა რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

XX საუკუნის დამდეგს ეს ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა, ხოლო 1905 წელს არნახულ გაქანებას მიაღწია.

მალე მდგომარეობა ოზურგეთის მაზრასა და კინტრიშის უბანშიც (ქობულეთის მხარე) გართულდა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ხელისუფლებამ ოზურგეთის მაზრა ქუთაისის გუბერნიიდან გამოჰყო, ხოლო კინტრიშის უბანი ბათუმის ოლქიდან და ეს ადმინისტრაციული ერთეულები საგანგებო სამხედრო რეჟიმს დაუქვემდებარა.

ერთგან და მეორეგანაც მთავრობის დადგენილების განხორციელება გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მიენდო და ისიც თავისი დამსჯელი რაზმით ნატანებში შევიდა.

ამ გარემოებამ კიდევ უფრო დაძაბა ვითარება და უკიდურესად ალაშფოთა ხალხი.

ახლა მთავრობამ სხვა გზა აირჩია და გურიას მეფის საბჭოს წევრი, სულთან კრიმ-გირეი მიავლინა ვითომდა გასაჭირის გამოსარკვევად, ხოლო შიდა ქართლსა და დუშეთის მხარეში — მეფისნაცვლის ადმინისტრაციის ასევე გამორჩენილი პიროვნება ევგენი ვეიდენბაუმი.

ამ პირებმა მთავრობის დავალება ასე თუ ისე შეასრულეს, მაგრამ ვერც ამან გაამართლა ხელისუფლების იმედები. დაამთავრა თუ არა კრიმ-გირეიმ თავისი ტურნე გურიაში, მაშინ აზვირთდა ანტისამთავრობო გამოსვლები.

ასევე იყო მომდევნო თვეებშიც (ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი) განსაკუთრებით შედეგიანი გამოდგა ჩოხატაურის საპოლიციო საგუშაგოსა და ფოსტაზე თავდასხმები 1905 წლის 16 ოქტომბერს. მალე ჩოხატაური არსებითად მეამბოხეთა ხელში გადავიდა. ამას, რა თქმა უნდა, ვერ შეურიგდებოდა სამაზრო მმართველობა და 18 ოქტომბერს მაზრის უფროსი ლაზარენკო დიდი რაზმით ჩოხატაურისაკენ დაიძრა წესრიგის აღსადგენად.

სამაზრო მთავრობის ამ ღონისძიებამ არა მარტო ჩოხატაურის უბნის მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია, არამედ მთელი გურია ფეხზე დადგა.

მოვლენები ისე სწრაფად განვითარდა, რომ ჩოხატაურში დამსჯელი ღონისძიებებით გართულმა მაზრის უფროსმა სიტუაციის უკიდურესი გამწვავება ჯეროვნად ვერ გათვალა და 20 ოქტომბერს საღამოს ზემო გურიის გადაწვითა და აოხრებით გულმოჯერებული მაზრის უფროსი და მისი კბილებამდე შეიარაღებული რაზმი ნასაკირალის ხეობის შესასვლელში აჯანყებულთა მარჯვედ დაგებულ ხაფანგში გაება.

ვიდრე ლაზარენკო ჩოხატაურში ტრიალებდა (18-20 ოქტომბერი) შურის საძიებლად ამდგარმა ძალებმა ნასაკირალის შესასვლელთან მანამდე არნახული რაოდენობის მებრძოლებს მოუყარეს თავი.

საოცარია, რომ ორ დღეში მათ არა მარტო ზემო და შუა გურიის შემოკრება შესძლეს, არამედ მის ფარგლებს გარეთაც საკმაოდ გავიდნენ. იმ ისტორიულ საღამოს ნასაკირალთან საბრძოლველად მზად იყვნენ შეტაკებებში ნაცადი ქობულეთელი და ბათუმელი მებრძოლებიც. სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის თავმჯდომარის, ფართოდ ცნობილი მემედ აბაშიძის უმცროსი ძმის მემედ გოგიბერიძის მეთაურობით. ნასაკირალთან იმ დროს აფხაზთა რაზმიც მდგარა.

ბრძოლაში სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

თვითმპყრობელობის ძალებზე ამგვარი სერიოზული მომზადების სული და გული იყო იმ დროინდელი გურიის თავკაცი, აზნაური ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილი, რომელსაც მხარში ედგა ისეთი სახელმოხვეჭილი პიროვნება, როგორიც ნესტორ ერქომაიშვილი ბრძანდებოდა.

ცალკეულ რაზმებს მეთაურობდნენ აზნაური დავით (დათიკო) ჩხიკვიშვილი, აზნაური კიკია მამულაიშვილი, სეფე ცინცაძე და სხვები.

ლაზარენკოს რაზმის წინააღმდეგ ამხედრებულთა უმრავლესობა ძველი ქართული თოფებით („მაჭახელა", „ნალფარა", „ფილთა" და სხვა) იყო შეიარაღებული, მაგრამ ზოგიერთს შაშხანებიც ჰქონდათ.

ბენია ჩხიკვიშვილის მზვერავები ფხიზლად ადევნებდნენ თვალს მაზრის უფროსის რაზმის მოძრაობას და შესაშური აკურატულობით აცნობებდნენ აჯანყებულთა შტაბს.

ამასობაში მზეც „ჩაიძირა ზღვაში" და ბინდ-ბუნდში ლაზარენკოს რაზმის მეწინავეებიც გამოჩნდა.

ნასაკირალის მიდამოებში ჩასაფრებულნი გასაოცარ სიმშვიდეს იჩენდნენ და მოწინააღმდეგის ხეობაში შესვლამდე ბრძოლის დაწყებას არ აპირებდნენ.

და აი მეწინავენიც შეუდგნენ ხეობის აღმართს. უკვე ბნელოდა, მაგრამ ლაზარენკოს ჯარისკაცთა და ოფიცერთა სილუეტები მაინც იკვეთებოდა.

ის იყო მაზრის უფროსის რაზმელები ღრმად შევიდნენ ხეობაში და ცხავათის გორიდან ყუმბარების ცვენა და თოფების გრიალი ატყდა. სროლა სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა, ყუმბარებიც წამდაუწუმ სკდებოდა და ხეობა ერთბაშად ნამდვილ ჯოჯოხეთად გადაიქცა. ყველაზე უფრო თავდამსხმელთა შუა ნაწილი დაზიანდა. შუაღამისას უკვე მტერი არსებითად დაძლეულ იქნა, მაგრამ კანტი-კუნტი ბრძოლები დილამდე გრძელდებოდა.

ლაზარენკოს რაზმმა მნიშვნელოვანი ზარალი ნახა: იყვნენ მოკლულები, უფრო მეტად კი — დაჭრილები.

**სამწუხაროდ**, ამ უნიკალური ბრძოლის ნიკო ბერძენიშვილისეულ გააზრებას დღემდე არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება.

დროა ისტორიის ამ უნიკალურ ბრძოლასაც ჩამოსცილდეს გაუგებრობით გამოწვეული ბურუსი და ისიც მკვიდრად ჩადგეს ქართველი ხალხის სახელოვან ბრძოლათა ნუსხაში.

როდესაც ეს მოხდება, მაშინ მემორიალიც არ იქნება ისე გასაცოდავებული, როგორადაც დღეს გამოიყურება.

**იური სიხარულიძე,**
**დურმიშხან ცინცაძე.**

◎ კრიმინალი

### ქუჩაში მშვიდობიან ხალხს ესვრიან

**ბოროტმოქმედები იარაღის გამოყენებას მშვიდობიანი მოქალაქეების მიმართაც არ ერიდებიან. ნასვამი გიორგი კუტიბაშვილი ტოვსტონოგოვის ქუჩაზე „სეირნობდა", თურქეთის მოქალაქე აშიკ ჰასან-ოღლი „თვალში არ მოუვიდა". იგი ჯერ სიტყვიერად „დამოძღვრა", შემდეგ კი ცეცხლსასროლი იარაღით ფეხში დაჭრა. პოლიციამ კუტიბაშვილი შემთხვევის ადგილზე დააკავა.**

არც ლილოს დასახლებაში მცხოვრებ ნაზიმ კაზუმოვს და მასთან სტუმრად მყოფ ელდარ ბაირამოვს მოეწონათ ქუჩაში მოსიარულე იოსებ ასლანოვი.

ნაქეიფარი მეგობრების თქმით ასლანოვმა მათ ტყუილუბრალოდ კამათი გაუბა, რის გამოც „ნერვებმა უმტყუნათ" და იგი დანით გულმკერდის არეში დაჭრეს.

ბოროტმოქმედებმა დოლიძის ქუჩაზე მჯდომი მათხოვარიც კი გაიმეტეს. მოხუცი, რომლის ვინაობა ჯერ კიდევ დაუდგენელია, მოქალაქეებმა სისხლში ამოსვრილი ნახეს. ის დანით გულმკერდის არეში იყო დაჭრილი და სისხლისგან იცლებოდა. სასწრაფო დახმარებამ იგი საავადმყოფოში უგონო მდგომარეობაში გადაიყვანა.

### მკვლელი 5 წელიწადს იმალებოდა

**ლევან მარცვალაძემ 2000 წლის აგვისტოში კობა ჯავახიას დანით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა. ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს. დამნაშავემ ამ დრომდე მიმალვა მოახერხა. ის ყალბი პირადობის მოწმობით, რომელშიც მისი ფოტოსურათი იყო ჩაკრული და მამუკა ჯანიაშვილის სახელზე იყო გაცემული, თავისუფლად დადიოდა. ახლა მას სასამართლოსთვის მკვლელობის მოტივთან ერთად იმის ახსნაც მოუწევს, ვისი დახმარებით შეძლო ყალბი მოწმობის აღება.**

მკვლელობის გამო დააკავა პოლიციამ ყვარლელი არჩილ პავლიაშვილიც, რომელმაც ახლახანს მეზობელი გიორგი თაგვაშვილი სანადირო თოფით მოკლა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. რაიონის პოლიციამ იგი აიყვანა და განზრახ მკვლელობის მუხლიც წაუყენა.

არც სოფელ ულიანოვკაში მცხოვრები მეზობლები ინდობენ ერთმანეთს. აქ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ივანე ჩიჩოვი სანადირო თოფით ცდილობდა არჩილ ჩანგულაშვილის მოკვლას, საბედნიეროდ, პოლიციამ ეს ცდა დროულად აღკვეთა და ჩხუბი უსისხლოდ დასრულდა.

**ლელა მანაველიშვილი**

◎ ისმინე, სწავლის მძებნელო!..

# საგამოცდო პროგრამა საქართველოს ისტორიასა და საზოგადოებრივ მეცნიერებებში

**ზემოთ მოყვანილი ფაქტობრივი მასალა (ქრონოლოგიურად დალაგებული) შესაძლოა შესწავლილი იყოს შემდეგი თემატური პრინციპით:**

I. ისტორიული წელთაღრიცხვის სისტემები (დასაბამიდან, ქორონიკონი, ძველი წელთაღრიცხვა — ქრისტეს შობამდე, ახალი წელთაღრიცხვა — ქრისტეს შობიდან).

II. საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა.

III. საქართველო უძველესი დროიდან ელინისტურ ხანამდე (ქვისა და ბრინჯაოს ხანა; დიაოხი და კოლხა).

IV. ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბება და გაძლიერება-განმტკიცება (ფარნავაზი, ვახტანგ გორგასალი, დავით კურაპალატი, ბაგრატ III, ბაგრატ IV, დავით აღმაშენებელი, დემეტრე I, გიორგი III, თამარი, გიორგი V, ალექსანდრე I).

V. ცალკეული სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბება საქართველოს ტერიტორიაზე (ლეონ II; აშოტ ბაგრატიონი; კახეთის საქორეპისკოპოსო, ჰერეთის სამეფო და თბილისის საამირო; კახეთის, ქართლის, იმერეთის სამეფოები და სამცხის სამთავრო).

VI. ბრძოლა სამეფო ხელისუფლებისათვის (შეთქმულებები დემეტრე I-ის წინააღმდეგ, დემნა უფლისწულისა და ორბელთა აჯანყება გიორგი III-ის წინააღმდეგ, დავით VI ნარინისა და დავით VII ულუს დაპირისპირება, შეთქმულება ერეკლე II-ის წინააღმდეგ, აჯანყება სოლომონ I-ის წინააღმდეგ).

VII. საქართველოში, ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში განხორციელებული სახელმწიფოებრივი რეფორმები, ცვლილებები, სახელმწიფო მმართველობის სისტემა და მისი შეცვლის მცდელობები (ფარნავაზის ადმინისტრაციული რეფორმა და დამწერლობის შექმნის საკითხი; ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმა; მეფობის გაუქმება ქართლში და ერისმთავრობის დაწესება; დავით აღმაშენებლის რეფორმები; ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა; დარბაზი, სავაზირო, ერისთავები; ერეკლე II-ის მიერ „მორიგე ჯარის" შექმნა).

VIII. საქართველო და გარე სამყარო:

1. საქართველო და კავკასიის სხვა ხალხები (ვახტანგ გორგასლი, დავით აღმაშენებელი, გიორგი III, თამარი, ერეკლე II, ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი — „ოზაკომი", ამიერკავკასიის კომისარიატი და სეიმი).

2. საქართველო და ანტიკური სამყარო (შავი ზღვის ბერძნული კოლონიზაცია, პომპეუსის ლაშქრობა, ფარსმან ქველის ურთიერთობა რომთან).

3. საქართველო და ბიზანტია („დიდი ომიანობა", ჰერაკლე კეისრისა და ხაზართა ლაშქრობა, აშოტ ბაგრატიონი, დავით კურაპალატი, ბაგრატ III, გიორგი I, ბაგრატ IV, დავით აღმაშენებელი, თამარი).

4. საქართველო და დასავლეთ ევროპა (გიორგი V, ალექსანდრე I, გიორგი VIII, ნიკიფორე ირბახი, სულხან-საბა ორბელიანი, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობა გერმანიასთან, ინგლისთან, „ერთა ლიგასთან" 1918-1921 წლებში; საქართველოს ურთიერთობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან, აშშ-სთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში).

5. საქართველო და არაბები („დაცვის სიგელი", მურვან-ყრუს ლაშქრობა, ბუღა-თურქის ლაშქრობა).

6. საქართველო და შუა და ცენტრალური აზია (ურთიერთობა თურქ-სელჩუკებთან — ბაგრატ IV, გიორგი II, დავით აღმაშენებელი; ურთიერთობა მონღოლებთან — გიორგი IV, რუსუდანი, შეთქმულება კოხტასთავს, დავით VII ულუ, დემეტრე II, გიორგი V; ჯალალ ად-დინისა და თემურლენგის ლაშქრობები).

7. საქართველო და ყიზილბაშური ირანი (ლუარსაბ I, სვიმონ I, კახეთის მეფე ალექსანდრე II, შაჰ-აბასის ლაშქრობები, მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლები, თეიმურაზ I, როსტომ ხანი, ბახტრიონის აჯანყება, ვახტანგ VI, თეიმურაზ II, ერეკლე II).



8. საქართველო და ოსმალეთი (იმერეთის მეფე ბაგრატ III, ლუარსაბ I, სვიმონ I, ტაშისკარის ბრძოლა, სოლომონ I).

9. საქართველო და რუსეთი (კახეთის მეფე ალექსანდრე II, თეიმურაზ I, ვახტანგ VI, თეიმურაზ II, ერეკლე II, გიორგი XII, სოლომონ I, სოლომონ II).

IX. საქართველო რუსეთის იმპერიისა და სსრკ-ის შემადგენლობაში (რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში, 1804, 1812, 1819-1820 წლების აჯანყებები; 1832 წლის შეთქმულება; 1806-1812, 1828-1829, 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომები და საქართველო; გურიის, სამეგრელოს, სვანეთისა და აფხაზეთის სამთავროების გაუქმება; ბატონყმობის გაუქმება საქართველოში და 60-70-იანი წლების რეფორმები; თერგდალეულთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი და კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა; პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება; პირველი მსოფლიო ომი და საქართველო; საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია; ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა 1922-1924 წლებში და 1924 წლის აჯანყება; ქართველების მონაწილეობა მეორე მსოფლიო ომში; ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XX საუკუნის 70-80-იან წლებში და სსრკ-ის დაშლა).

X. საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა XX საუკუნესა და XXI საუკუნის დასაწყისში (საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება 1918 წლის 26 მაისს; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობა; ბრძოლა ტერიტორიული ერთიანობის შენარჩუნებისა-თვის 1918-1921 წლებში; 1990 წლის საპარლამენტო არჩევნები; საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1991 წლის 9 აპრილს; თანამედროვე საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება (პარლამენტი, პრეზიდენტი, მთავრობა); საქართველოს სასამართლო ორგანოები; სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები).

XI. სოფელი და ქალაქი (მეურნეობის ტრადიციული დარგები, საქალაქო ცხოვრება, სოციალური ურთიერთობები, მოსახლეობის სოციალური კატეგორიები)

XII. რელიგია, კულტურა და საზოგადოებრივი აზროვნება საქართველოში

1. რელიგია: ქართული წარმართული პანთეონი (არმაზი, გაცი, გაიმ), ქრისტიანობის გავრცელება (მოციქულების და წმიდა ნინოს მოღვაწეობა).

2. ქართული ლიტერატურა (იაკობ ცურტაველი, იოანე საბანისძე, გიორგი მერჩულე, გიორგი მთაწმინდელი, მოსე ხონელი, შოთა რუსთაველი, თეიმურაზ I, მეფე არჩილი, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ბესიკი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, გალაკტიონ ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია).

3. საისტორიო მწერლობა („მოქცევაი ქართლისაი", ლეონტი მროველი, ჯუანშერი, სუმბატ დავითის ძე, „მატიანე ქართლისაი", დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, თამარ მეფის ისტორიკოსები, ჟამთააღმწერელი, ავგაროზ ბანდაისძე, ფარსადან გორგიჯანიძე, ვახუშტი ბატონიშვილი).

4. კანონმდებლობა („ხელმწიფის კარის გარიგება", „ძეგლის დადება", „დასტურლამალი", ვახტანგ VI-ის სამართალი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია; თანამედროვე საქართველოს კონსტიტუცია).

5. კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები, განათლება და მეცნიერება (ათონის ქართველთა მონასტერი, პეტრიწონის მონასტერი, იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, გელათის აკადემია, თბილისისა და თელავის სასულიერო სემინარიები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; პეტრე იბერი, გიორგი მთაწმინდელი, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი, ანტონ I, თეიმურაზ ბაგრატიონი, მარი ბროსე, ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, ივანე თარხნიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი).

6. თეატრი, კინო, მხატვრობა, ქანდაკება, მუსიკა (ქართული თეატრის დაარსება 1850 წელს, დრამატული საზოგადოების შექმნა და ქართული თეატრი XIX საუკუნის 80-90-იან წლებში; პირველი ქართული დოკუმენტური და მხატვრული ფილმები; ნიკო ფიროსმანი, გიგო გაბაშვილი, ლადო გუდიაშვილი, დავით კაკაბაძე იაკობ ნიკოლაძე; ზაქარია ფალიაშვილი, ვიქტორ დოლიძე, დიმიტრი არაყიშვილი).

7. ხუროთმოძღვრება (ბოლნისის სიონი, თბილისის ანჩისხატი, მცხეთის ჯვარი, უჯარმა, ციხე-გოჯი, ბანა, იშხანი, გურჯაანის ყველაწმინდა, ბედია, ბაგრატის ტაძარი, ალავერდი, სვეტიცხოველი, სამთავისი, ნიკორწმინდა, გელათი, იკორთა, ბეთანია, ვარძია, ვაჰანის ქვაბები, საფარა, ზარზმა, ჭულე, გერგეტის სამება, ახალი შუამთა, გრემი, ანანური).

8. ოქრომჭედლობა (ბედიის ბარძიმი, ბექა და ბეშქენ ოპიზრები, ხახულის ხატი, ანჩისხატის კარედი).

გეგმის, რუკისა (საქართველოს, კავკასიის და მსოფლიოს ფიზიკურ-გეოგრაფიული და პოლიტიკური რუკები) და ატლასის გამოყენება: ლეგენდის საშუალებით მათი კითხვა, ორიენტირება, საჭირო ობიექტის მოძიება და მოვლენის გავრცელების განსაზღვრა, საჭირო ინფორმაციის მოძიება და ინტერპრეტაცია, მასშტაბის გამოყენებით გაზომვების ჩატარება, გეოგრაფიული კოორდინატების განსაზღვრა, სავარჯიშოების შესრულება ადგილის გეგმის გამოყენებით, მოცემული ინფორმაციის სხვა სახით (განსხვავებულ ფორმატში) გამოხატვა.

სხვადასხვა ტიპის გეოგრაფიული საშუალებების (ცხრილები, დიაგრამები, გრაფიკები) გამოყენება, ინფორმაციის ანალიზი (ინფორმაციის წაკითხვა, საჭირო ინფორმაციის მოძიება, ინფორმაციის ტრანსფორმაცია, ინფორმაციის შედარება) და მარტივი ანალოგების შექმნა.

გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი.

საქართველოს და კავკასიის ტერიტორია, საზღვრები, ზოგადგეოგრაფიული მდებარეობა, სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა, გეოპოლიტიკური მდებარეობა, ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა, ფიზიკურ-გეოგრაფიული დაყოფა, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფა. ევროპა-აზიას შორის საზღვრის გატარების პრობლემები, საქართველო მსოფლიოს ფონზე (ფართობი, მდებარეობა, მოსახლეობა, საზღვრები);

საქართველოსა და მსოფლიოს ფიზიკურ-გეოგრაფიული ნომენკლატურა — რელიეფის ძირითადი ფორმები, შიდა წყლები, საქართველოს ძირითადი ფიზიკურ-გეოგრაფიული ნაწილები; საქართველოს გეოგრაფიული რეკორდები (რეპერები).

საქართველოს ბუნების კომპონენტები — რელიეფის ძირითადი ფორმები და ტიპები, რელიეფთან დაკავშირებული პრობლემები, ატმოსფეროს ცირკულაციის ძირითადი თავისებურებები, ჰავის ძირითადი ელემენტები, ჰავის ტიპები, შიდა წყლები, ფლორა და ფაუნა, ნიადაგები;

საქართველოს ძირითადი ბუნებრივი ლანდშაფტები — ტიპები, გეოგრაფია და შედარება ძირითადი მახასიათებლების მიხედვით (მდებარეობა, რელიეფი, ჰავა, ნიადაგები, მცენარეულობა, ათვისება);

საქართველოს დამახასიათებელი ბუნებრივ-კატასტროფული მოვლენები და გარემოსდაცვითი პრობლემები — მიწისძვრა, ზვავი, მეწყერი, ღვარცოფი, ეროზია, ქვათაცვენა, ტყეებთან დაკავშირებული პრობლემები, კლიმატი და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პრობლემები, გარემოსდაცვითი პრობლემები, დაცული ტერიტორიები, წითელი წიგნი.

საქართველოს ტერიტორიის ფორმირება: საქართველოს ტერიტორია უძველესი დროიდან ახ. წ. V საუკუნემდე; საქართველოს ტერიტორია VI-XII საუკუნეებში; საქართველოს ტერიტორია XIII-XVIII საუკუნეებში; საქართველოს ტერიტორია XIX-XX საუკუნეებში.

საქართველოს მეურნეობის სტრუქტურა და პოლიტიკური მოწყობა (ადმინისტრაციული-ტერიტორიული მოწყობა, მმართველობის ფორმა). ქვეყნების კლასიფიკაცია მმართველობის ფორმების და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მიხედვით. სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები (ერთიანი ეროვნული პროდუქტი, ერთიანი შიდა პროდუქტი, სამომხმარებლო კალათა და საარსებო მინიმუმი, ცხოვრების დონე);

საქართველოს ბუნებრივი რესურსები: ბუნებრივი რესურსების კლასიფიკაცია და გეოგრაფია; საქართველოს მნიშვნელოვანი რესურსები (სათბობ-ენერგეტიკული, შავი და ფერადი ლითონები, სამთო-ქიმიური რესურსები, არამადნეული წიაღისეული, საშენი მასალები, ზედაპირული, მიწისქვეშა მინერალური და თერმული წყლები, ენერგიის არატრადიციული სახეები, ბიოლოგიური რესურსები, მიწის რესურსები).

საქართველოს მოსახლეობის გეოგრაფია: მოსახლეობის რაოდენობა, ტერიტორიული განლაგება და დინამიკა; ქალაქებისა და სოფლების გეოგრაფია; ურბანიზაცია; დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესები; მოსახლეობის სტრუქტურა (სქესობრივ-ასაკობრივი, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური, სოციალური, დასაქმებისა და სხვა.).

საქართველოს ეკონომიკა XIX საუკუნეში; საქართველოს ეკონომიკა XX საუკუნის დასაწყისში; საქართველოს ეკონომიკა სოციალიზმის პერიოდში; საქართველოს ეკონომიკა თანამედროვე ეპოქაში (სტრუქტურა, გეოგრაფია, პრობლემები, პერსპექტივები). სოციალური გეოგრაფიის სტრუქტურა.

საქართველო და საერთაშორისო ორგანიზაციები. საერთაშორისო ორგანიზაციების ფუნქციები, მიზნები და ამოცანები;

საქართველოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფა, რეგიონები (თბილისი, კახეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, შიდა ქართლი, გურია აჭარა, აფხაზეთი), მდებარეობა, ტერიტორია, საზღვრები, ბუნებრივი პირობები და რესურსები, მოსახლეობა, ეკონომიკა, ღირსშესანიშნაობები, პრობლემები და განვითარების პერსპექტივები.

**დასასრული. დასაწყისი**
**იხ. „სრ" № 255.**

## პარასკევი, 4 ნოემბერი

**07.30** "ადრე" **10.00** სერიალი "**ანასტასია**" **11.00** დოკ. ფილმი "ბრწყინვალე სოული" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმ. ფ. "მედელაინი" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "**სიკვდილის ოთახები**" **15.00** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.45** მულტსერიალი "მუმეზას კოვბოები" **16.15** სერიალი "ბონანათლიმამას ისტორია" **17.00** დოკ. ფილმი "ჰავაი" **18.00** "მთავარი" **18.30** დოკ. ფილმი "სიჩქარე" **19.00** დოკ. ფილმი "დღე, როცა ფიქრი ვისწავლეთ" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "**ანასტასია**" **22.00** მუსიკა – ჯგუფი "ში" და რენდი ბრეკერი **23.10** მხ. ფილმი "**ჰოლივუდის პალმები**" (12) **00.50** საინფორმაციო გამოშვება

**19.00** "ბაბილინა" **19.15** მულტსერიალი "ტენტენის თავგადასავალი" **19.40** სიცილის ოთახი **19.50** ქართული ფოლკლორი **20.00** აფხაზეთის ტელევიზია **20.40** სპექტაკლი "**ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს**"

**07.30** დილა **08.00** მულტფილმი "ადამიანი-ობობა" **10.00** სერ. "**ოცნების კოშკები**" **11.00** სერ. "**სიცრუის უდაბნო**" **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.55** კურიერი **12.20** სერიალი "**გრძნობათა ტყვეობაში**" **13.30** "ჯეობარი" **15.25** მულტფილმი "ადამიანი-ობობა" **16.00** სერ. "**მეამბოხე სული**" **16.50** სერ. "**ოცნების კოშკები**" **18.30** პატრული **19.00** სერ. "**მეამბოხე სულები**" **19.50** სერიალი "**გრძნობათა ტყვეობაში**" **22.00** ღამის შოუ **23.00** "ჯეობარი" **00.00** მხ.ფ. "**სიყვარული იარაღია**" (18) (ე. რობერტსი) **02.20** პატრული **02.45** მხ. ფილმი "**ლიფტი**" (18)

**07.00** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **10.00** სერიალი "**ჩემი შეყვარებული**" **11.15** სერ. "**საბრალო ნასტია**" **12.25, 16.15, 17.10, 04.45** იმედის მელოდიები **12.40, 16.25** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "**ამერიკელი ქალიშვილი**" **15.00, 17.00, 19.00, 20.00, 23.00, 04.35** ქრონიკა **15.20** სერიალი "**მოჯადოება**" **16.40** დოკ. სერიალი "შეხვედრები წყალქვეშ" **17.30** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი "**ჩემი შეყვარებული**" **19.05** სერიალი "**მოჯადოება**" **20.30** "რეაქცია" **22.30** "ათასიდან ერთი შანსი" **23.30** უცნობი საქართველო **00.05** მხ. ფილმი "**სულების სახლი**" (15) (მ. სტრიპი) **03.05** მხ. ფილმი "**მოკალი ეგ ქალი ხომ ფრანგია**" (12)

**08.30** საინფორმაციო კოლაჟი **08.35** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** სერ. "**ქვეყნის კიდეზე**" **10.30** მხ. ფილმი "**ესპანელი ჯენტლმენი**" (U) **12.05** "სამყაროს უთვალავი ფერები" **12.35** "ფოკუსის ისტორია" **13.00** საფეხბურთო მიმოხილვა - ინგლისი **14.00** საფეხბურთო მიმოხილვა - ესპანეთი **14.50** სერ. "**ტაქსის მძღოლი**" **15.40** სერიალი "**კარაბინერები**" **16.40** სერიალი "**დაკარგული ქვეყანა**" **17.30** "სამყაროს უთვალავი ფერები" **18.30** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.00** "მზერა-ჰედლაინი" **19.15** სერ. "**ქვეყნის კიდეზე**" **20.00** "მზერა" **20.45** სერიალი "**კარაბინერები**" **21.45** "რუსთა ველი" **22.15** კრიმ. სერიალი "CSI" **22.30** საინფორმაციო კოლაჟი **23.00** მხ.ფ. "**ერთად მოვკვდებით**" (U)(ჩ. ბერლინგი) **00.45** მხ.ფ. "**სიამოვნების ქუჩა**" (18)(ლეტიცია კასტა)

**10.00** "ტვ-შოპი" **11.00, 13.00, 17.20, 23.00, 01.30** Style-TV **12.45** მხ. ფილმი "**დაბრუნება ტაოში**" (U) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** სპექტრი **22.00** მხ. ფ. "**ჯადოქრები**" (U) **00.30** "ტვ-შოპი"

**08.00** "შესანიშნავი შვიდეული" **08.30** "ახალი ამბები" **08.45** კომ. "**გიჟური რბოლები**" **10.30** ფანტასტიკა "**დროის გამჩერებელნი**" **12.20** სათავგადასავლო ფილმი "**სიჩქარის წყურვილი**" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** "ახალი ამბები" **14.45** ბოევიკი "**მძევლები 2**" **16.40** მულტსერიალი **18.30** "ნოვოსტი" **18.45** "მეცხვარის ნაბადი" **19.10** "ხელხვავი" **20.00** "შესანიშნავი შვიდეული" **21.15** ინდური ფილმი "ჯადოსნური თილისმა" **00.15** თრილერი "მოწყალება"

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# ვიქტორ ალქსნისს მიაჩნია, რომ ყველა მოკავშირე რესპუბლიკა ვალშია რუსეთთან

**ყოფილი მოძმე რესპუბლიკების ნაწილმა დაიანგარიშა ის ზარალი, რომელიც მათ მიაყენა „საბჭოთა ოკუპაციამ“. მაგრამ, როგორი ანგარიში შეუძლია წარუდგინოს მათ თვით რუსეთმა? ამ საკითხის თაობაზე თავის მოსაზრებებს გვთავაზობს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ვიქტორ ალქსნისი.**

— დეპუტატებმა მიიღეს კონტროლის პალატიდან გამოგზავნილი შეფასება. აუდიტორებმა მოიპოვეს მონაცემები მხოლოდ სსრ კავშირის საგარეო ვალში ბალტიისპირეთის რესპუბლიკების წილის (3,06 მილიარდი დოლარი, პროცენტების გარეშე) და საბჭოთა არმიის იმ ქონების შესახებ, რომელიც დარჩა ბალტიისპირეთში (32,3 მილიარდი მანეთი 1991 წლის ფასებით, გარდა ამისა, კიდევ 5 მილიარდი მანეთის გაღება მოუწია რუსეთს თავის ტერიტორიაზე გამოყვანილი საჯარისო ნაწილების განლაგებისთვის). შეგახსენებთ, რომ 1991 წელს 1 საბჭოთა მანეთის ფასი სავარაუდოდ 1 დოლარს უტოლდებოდა.

ეს, რა თქმა უნდა, საკმაოდ დიდი თანხებია, მაგრამ მთავარი ეს არ არის. საბჭოთა კავშირის დროს რუსეთი იყო ყველაზე მტაცებლური და ცინიკური ექსპლოატაციის ობიექტი. სსრ კავშირის ბიუჯეტი 75 პროცენტით შედგებოდა რსფსრ-ს ანარიცხებისგან. ეს ფული ხმარდებოდა კავკასიის, შუა აზიის და ბალტიისპირეთის ეკონომიკის აღმავლობას.

ბალტიის ქვეყნები ყოველთვის იყვნენ ერთ-ერთ პირველ ადგილზე ინვესტიციათა მიხედვით. იქ აბანდებდნენ მილიარდობით მანეთს, რომელიც მაშინ დოლარს უტოლდებოდა. თანამედროვე ფულით, ეს სულ ცოტა 220 მილიარდი დოლარია.

და ბოლოს, აზერბაიჯანში ნავთობის მოპოვება პირველმა დაიწყო რუსმა ვაჭარმა. მანამდე კი ბაქო იყო პატარა საგუშაგო ციხესიმაგრე. სხვათა შორის, კოშკურებზე იქ საბჭოთა პერიოდის დროსაც ძირითადად არააზერბაიჯანელები მუშაობდნენ.

გარდა ამისა, გამოყენებული იყო რუსი ხალხის ექსპლუატაციის სხვა მექანიზმიც. მაგალითად, 1950-იან წლებში სმოლენსკის ოლქის მცხოვრებს ყოველ შრომადღეზე შეეძლო მიეღო დაახლოებით 900 გრამი ხორბალი და 15 კაპიკი, მაშინ, როცა ესტონელი იღებდა 1,85 კილოგრამ მარცვლეულს და 1,5 მანეთს. ტაჯიკეთში კი ერთ შრომადღეზე იძლეოდნენ 2,5 კილოგრამ ხორბალს და 10 მანეთს!

სად იქნებოდა დღეს ყველა ეს ქვეყანა, თავის დროზე რუსეთს რომ არ მოეხდინა მათი „ოკუპაცია“? და კიდევ ერთი კითხვა: სად გაქრა სსრ კავშირის დაშლის შემდეგ კავკასიასა და შუა აზიაში არსებული სამრეწველო სიმძლავრეები? ინფრასტრუქტურა, რომელიც მემკვიდრეობით ერგოთ სსრ კავშირისგან, მათ უბრალოდ, გაანადგურეს და ფულის საშოვნელად კვლავ რუსეთს მოაშურეს — მშენებლობებზე სამუშაოდ და ბაზრებში სავაჭროდ.

უფრო მეტიც, დღემდე მოძმე რესპუბლიკები ელექტროენერგიას, ნავთობს და გაზს შეღავათიანი ფასებით იღებენ. ამავე დროს კი, ბალტიის სახელმწიფოები, რომლებიც ევროკავშირის წევრები გახდნენ, დაჟინებით მოითხოვენ, რომ რუსეთმა მათი საქონელი ევროკავშირის ფასებით იყიდოს, თანაც, რუსული ელექტროშემცველების ტრანზიტისთვის ჩვენს ქვეყანას ისინი ფულს ევროპული ტარიფებით ახდევინებენ. ექსპერტების შე-



საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე განეთავსებინა ელიტური, უნიკალური, მაღალტექნოლოგიური საწარმოები. 1940-1991 წლების პერიოდში იქ მთლიანად შეიქმნა მთელი ინფრასტრუქტურა: ააშენეს ელექტროსადგურები, გაიყვანეს გაზსადენები და ნავთობსადენები, აშენდა ნავსადგურები, იქმნებოდა ფლოტი. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დამაკავშირებელი საბორნე გადასასვლელი სავარაუდოდ, 3 მილიარდი დოლარი დაჯდა, შაულიაის მახლობლად მდებარე აეროპორტი კი, რომელზეც ახლა ნატოს ბომბდამშენებია დაბანაკებული — 1 მილიარდი დოლარი.

1935-1975 წლების პერიოდში საქართველოს ეკონომიკაში დაბანდებული იყო 28,3 მილიარდი მანეთი. ფულის ნაკადი ომის დროსაც კი არ წყდებოდა. გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, 1975 წლისთვის საქართველოს ჩაის მრეწველობა წელიწადში აწარმოებდა 82,5 ათას ტონა ჩაის, რომლის სმასაც მაშინ მთელ საბჭოთა ხალხს აიძულებდნენ.

სომხეთი, რომელიც, საქართველოსავით, ამჟამად დროდადრო ელექტროენერგიის გარეშე რჩება, 1975 წელს სულ მოსახლეზე წარმოებული ელექტროენერგიის მაჩვენებლის მიხედვით უსწრებდა იტალიას. საიდან გაჩნდა ელექტროენერგია ქვეყანაში, რომელსაც არანაირი სასარგებლო წიაღისეული არ გააჩნია? და სად გაქრა ახლა ყოველივე ეს?

ყოველმა მოსწავლემ იცის, თუ რა დიდძალი თანხები დააბანდა რუსეთმა ყაზახეთის ყამირის ალორძინებაში. 1966 წელს მიწისძვრამ გაანადგურა უზბეკეთის დედაქალაქი ტაშკენტი. რამდენიმე წლის შემდეგ აზიური აურის ადგილას წამოიჭიმა ქალაქი-ბაღნარი. რუსეთმა იქ ააშენა 664,8 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, უკრაინამ და ბელორუსიამ — 190-190 ათასი, ყაზახეთმა — 28,3 ათასი, საქართველომ — 22,8 ათასი კვადრატული მეტრი და ა. შ.

ფასებით, ლატვიის ბიუჯეტის დაახლოებით 40 პროცენტი ყალიბდება რუსული ტვირთების ტრანზიტის ხარჯზე. რისთვის ჭირდება ჩვენს ქვეყანას ყოველივე ეს?

თავის დროზე საბჭოთა კავშირი იქმნებოდა რუსეთის ირგვლივ — რუსეთს არ დაუპყრია მეზობელი ქვეყნები, იგი სსრ კავშირის ისეთივე ნამსხვრევია, როგორც სხვა რესპუბლიკები. შესაძლოა, რუსეთი სხვებზე მეტადაც კი დაზარალდა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ სსრ კავშირში უზარმაზარი ტირაჟებით გამოიცემოდა წიგნები, რომლებიც ასახავდნენ, მაგალითად, ყაზახი ხალხის როლს დიდ სამამულო ომში და ეს ხდებოდა მაშინ, როცა რუსი ხალხის როლის შესახებ არაფერი არ დაწერილა.

სსრ კავშირის დაშლამდე რუსეთს არ ჰქონდა თავისი აწმყო: არ არსებობდა მეცნიერებათა აკადემია, კომპარტიის განყოფილება, თვით ინსტიტუტებიც კი, რომლებიც შეისწავლიდნენ რუსულ ენას, რუსეთის ისტორიას. ელიტას გზავნიდნენ პერიფერიებში, მოძმე სახელმწიფოების დასახმარებლად. რუსეთის სოფლებში იხურებოდა სკოლები, რადგან მასწავლებლების გაგზავნა იყო საჭირო უზბეკეთში, ყაზახეთში და ა. შ. სსრ კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუდენტები, რომლებიც რუსეთში სწავლობდნენ და შრომითი სემესტრის დროს კარტოფილს იღებდნენ, გაოცებას ვერ მალავდნენ: რუსეთის სოფლებში უბრალო ადამიანები ხომ გაცილებით უარესად ცხოვრობდნენ, ვიდრე შორეულ ცენტრალურ აზიაში.

ერთი სიტყვით, ყველა ეგრეთ წოდებულ დემოკრატიულ სახელმწიფოს, ოდესღაც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს თუ ვაიძულებთ დააბრუნონ რუსეთის მიერ მათი განვითარებისთვის დაბანდებული სახსრები, თანაც, ამას დავუმატოთ სსრ კავშირის ვალების ის ნაწილიც, რომლებსაც დღემდე მათ ნაცვლად იხდის თანამედროვე რუსეთი, მივიღებთ არა მილიარდებს, არამედ 2 ტრილიონზე მეტ დოლარს.

**„არგუმენტი ი ფაქტი“.**

**ძვირფასი სტუმარი**

# პირველი არგენტინელი საქართველოში

**დღეს საქართველოს კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და საქმიანი ურთიერთობების საერთაშორისო ფონდის თავმჯდომარის ნიკო პატარქალიშვილის მოწვევით თბილისში საქმიანი ვიზიტით ჩამოდის არგენტინის ფეხბურთელთა უმაღლესი მომზადების ცენტრის მთავარი მწვრთნელი, პროექტ „საქართველო — არგენტინა 2010-2014“-ის ხელმძღვანელი ედუარდო დელგადო. საპატიო სტუმრის მასპინძლობის პატივი უშუალო ინიციატორთან ერთად მუხიანის წმინდა მირიანისა და ნანას სახელობის ეკლესიის დეკანოზს, ფეხბურთის დიდ მოტრფიალეს იოანე მამულაშვილს ხვდა წილად. თუ რატომ, შემოთავაზებული ინტერვიუდან შეიტყობთ, სადაც, ვფიქრობთ, სხვა არანაკლებ საინტერესო ინფორმაციებსაც გაეცნობით.**

***— მამაო იოანე, ბატონმა ნიკო პატარქალიშვილმა გვამცნო, რომ თქვენც უმასპინძლებთ ედუარდო დელგადოს.***

— ღმერთის წყალობით, პატივი მაქვს ვუმასპინძლო ედუარდო დელგადოს, „სანლორენსოს“, „ველეს სარსფილდის“, „როსარიო სენტრალის“ ყოფილ ფეხბურთელს, რომელსაც დიეგო მარადონას, ბასკო ოლარტიკოეჩეას, სერხიო ბატისტასა და სხვა ცნობილი ფეხბურთელების გვერდით უთამაშია არგენტინის ახალგაზრდულ ნაკრებში.



***— რა ურთიერთობა გაკავშირებთ ნიკო პატარქალიშვილთან და, საერთოდ, ქართულ საფეხბურთო წრეებთან?***

— ნიკო პატარქალიშვილთან 20-წლიანი მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს. ცოტა ხნის წინათ იგი ტელეფონით დამიკავშირდა და მთხოვა შევხვედროდი. ერთი მხრივ, ნიკოს უნდა ვუსაყვედურო, რადგან სამი კვირის წინათ დაბრუნდა არგენტინიდან და არ მეწვია. ამ დღეებში შევხვდით წმიდა მირიანის და ნანას ეკლესიაში. მისგან შევიტყვე ედუარდო დელგადოს ჩამოსვლის შესახებ. მთხოვა, დამელოცა მისი საქმიანი ვიზიტი საქართველოში და მასპინძლობაც გამეწია.

რაც შეეხება ქართული ფეხბურთის წარმომადგენლებთან კავშირს, გასული საუკუნის 80-იან წლებში ვმსახურობდი სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში, სადაც ხშირად მოდიოდა დიდი ნოდარ ახალკაცი. ის ტაძარში მარტო არასდროს მოსულა — ყოველთვის თან ახლდნენ უახლოესი მეგობრები. გავიხსენებ, ერთხელ, როდესაც ტაძარი იკეტებოდა, მომიახლოვდა ბატონი ნოდარი, მომიბოდიშა და მაცნობა, რომ დაპატიჟებული ყოფილა ერთ-ერთ ქართულ ოჯახში სადილზე. თურმე გაუგრძელდათ სუფრა და იქ გადაწყვეტილა, რომ ბატონი ნოდარი უნდა გამხდარიყო ერთ-ერთი თანამეინახის ნათლია. მეც რას მოვიმოქმედებდი? ამ დიდ პიროვნებას მოვემსახურე და შევუსრულე თხოვნა.

***— მამაო იოანე, ბატონი ნიკო გამცნობდათ ედუარდო დელგადოს საქართველოში ვიზიტის მიზანს, ამაზე რა აზრის ბრძანდებით?***

— უპირველესად, ედუარდოს გზას დავულოცავ და ვუსურვებ მშვიდობით ჩამოსულიყოს საქართველოში. ღმერთის წყალობით, მისი ვიზიტი უკავშირდება საქართველოსა და არგენტინას შორის ურთიერთთანამშრომლობის განვითარებას ფეხბურთში. ედუარდო დელგადო მზადაა თავისი წვლილი შეიტანოს ქართველი ფეხბურთელების არგენტინაში მომზადების საქმეში. მან ერთი ქართველი ფეხბურთელი, 1985 წელს დაბადებული თეიმურაზ მჟავანაძე უკვე მოამზადა ფეხბურთელთა უმაღლესი მომზადების ცენტრში და ის უკვე მიიწვიეს არგენტინის კლუბ „დეპორტივო მერლოს“ პროფესიულ გუნდში. ამჟამად 1985 წელს დაბადებულ კობა შამათავას ავარჯიშებს, რომელსაც დიდი შანსები აქვს ერთ-ერთ არგენტინულ პროფესიულ გუნდში გადასვლაზე. დასაწყისი, რა თქმა უნდა, კარგია. ნიკომ ასევე მიამბო, „საქართველო-არგენტინა 2010-2014“ პროექტის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს ქართული კლუბებისა და სანაკრებო გუნდებისათვის საერთაშორისო დონეზე ქართველი ფეხბურთელების მომზადებას არგენტინაში, საქართველოში არგენტინული საფეხბურთო სკოლების დაფუძნებასა და ცნობილი, კვალიფიციური მწვრთნელების მოწვევას. ამის შესახებ, ნიკოს უცნობებია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ბატონ ნოდარ ახალკაცისთვის და წერილობით მიუმართავს საქართველოს პრეზიდენტ, ბატონ მიხეილ სააკაშვილისთვის.

***— მაინც, რაში გამოიხატება ედუარდო დელგადოსადმი თქვენი მასპინძლობა?***

— სტუმარი ღვთისაა. უცხოელი სტუმრის ვიზიტი ქართული ოჯახისათვის კი, დამეთანხმებით დიდი სიხარულის მომგვრელია. თანაც, არგენტინელი დიეგო მარადონასა და სხვა ცნობილი ფეხბურთელების მეგობარია. ედუარდოს გავაცნობ მცხეთის ღირსშესანიშნაობებს, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარს, ჯვრის მონასტერს, შიო მღვიმის მონასტერსა და სხვ. იგი ჩემს ოჯახში დააგემოვნებს ქართულ კერძებს, გავაცნობ ქართული სუფრის ტრადიციებს და დავაჭაშნიკებინებ ქართულ ღვინოებსაც.

***— მამაო იოანე, ბევრს აღარ შეგაწუხებთ. მხოლოდ ეს გვითხარით — მაინცდამაინც თქვენ რატომ მოგმართათ ბატონმა ნიკომ დელგადოს მასპინძლობისთვის?***

— ნიკომ მომმართა, ერთის მხრივ, როგორც მეგობარს და, მეორეს მხრივ, მთხოვა, რომ დამელოცა ახალი წამოწყებული საქმე, რომელიც იქნება დიდი წარმატებების მომტანი ჩვენი ქვეყნისათვის.

**„სრ“ სპორტის რედაქცია**

**სურათზე:** ნიკო პატარქალიშვილი და დეკანოზი იოანე მამულაშვილი.

**ჭადრაკი**

# ზედიზედ ორი მარცხი

**ისრაელის ქალაქ ბეერ-შევაში დაიწყო მოჭადრაკე ვაჟთა გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც 9 ნაკრები მონაწილეობს, მათ შორის — საქართველოს გუნდიც. პირველ ტურში ჩვენი დიდოსტატები ამერიკელებთან 1,5:2,5 დამარცხდნენ. ბაადურ ჯობავა ალექსანდრ ონიშჩუკს დაუზავდა, ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ გია გიორგაძე და ბორის გულკო, მიხეილ მჭედლიშვილი და იგორ ნოვიკოვი. ლევან ფანცულაიამ ილდარ იბრაგიმოვთან წააგო.**

ქართველი მოჭადრაკეები მეორე ტურშიც დამარცხდნენ, ამჯერად — სომხებთან. ზურაბ აზმაიფარაშვილმა და ლევონ არონიანმა, მიხეილ მჭედლიშვილმა და კარენ ასრიანმა ქულები გაიყვეს, ხოლო ბაადურ ჯობავა და მერაბ გაგუნაშვილი, შესაბამისად, ვლადიმერ აკოფიანს და აშოტ ანასტასიანს დანებდნენ.

ორი ტურის შემდეგ რუსებს 5,5 ქულა აქვს. სომხები მათ ნახევარი ქულით ჩამორჩებიან. ჩინელები და კუბელები 4-4 ქულით მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფენ.

**ლექსო ცინცაძე**

**მეზობლებთან**

# მთავარი მწვრთნელის პოსტს მილუტინოვიჩს სთავაზობენ

**მრავალრიცხოვანი ექსპერტების რჩევით რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვიტალი მუტკო აპირებს ქვეყნის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი განთქმულ სერბ სპეციალისტს ბორა მილუტინოვიჩს შესთავაზოს.**

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში განცდილი დიდი მარცხის შემდეგ მწვრთნელ იური სიომინს ნაკრებში მუშაობა აღარ სურს, თუმცა იგი ჯერ ოფიციალურად არ გადამდგარა. ამასობაში საფეხბურთო აგენტებმა შეაგროვეს და პრეზიდენტ მუტკოს გადასცეს ყველა საჭირო მასალა ბორა მილუტინოვიჩის მუშაობის შესახებ. მილუტინოვიჩს უდიდესი წარმატება ჰქონდა ისეთ, არცთუ დიდი სახელის მქონე ნაკრებებში, როგორიც აშშ-ის, კოსტა-რიკის, მექსიკისა და ჩინეთის გუნდებია, ახლა კი თავად გამოთქვამს რუსეთში მუშაობის სურვილს. იგი კარგად ლაპარაკობს რუსულად და აქტიურად ერევა ხოლმე ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრებების მუშაობაში.

**გივი თორელი**

**მემორიალი**

# გვახსოვხარ, ირაკლი



**ახლახან ოლიმპიური ჩემპიონის ვაჟა კაჭარავას სახელობის სპორტულმა დარბაზმა აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული ახალგაზრდა ფრენბურთელის, საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრის ირაკლი ამირეჯიბის მეორე მემორიალს უმასპინძლა. გაუწყებთ გადამწყვეტი მატჩების შედეგებს:**

ფინალი. თბილისი — ცაგერი 3:1. შეხვედრა მესამე ადგილისათვის. ქუთაისი — თბილისელი ვეტერანები 3:1.

ხსოვნის ტურნირის ორგანიზატორის — დედაქალაქის მერიის ტურიზმისა და სპორტის სამსახურის უფროსის გიორგი უდესიანის განცხადებით, აღნიშნული ასპარეზობა გაისად საერთაშორისო გახდება და ჩვენებურებთან ერთად სარბიელზე აზერბაიჯანისა და სომხეთის გუნდებიც გამოვლენ.



**შოთა ბოკერია**

**სურათებზე:** მემორიალის ფინალისტები; გადამწყვეტი მატჩის ეპიზოდი.
**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

**ფეხბურთი**

# რაღა დროს პრაგმატიზმია?!

**ჩემპიონთა ლიგის მთელმა რიგმა ბობოლებმა ცალი ფეხით (ზოგიერთმა — ორივეთი) უკვე შეაბიჯეს მერვედფინალში, მაგრამ პრაგმატული ფეხბურთის თამაშს მაინც არ კადრულობენ. ასეა, სადაც საქმეს პროფესიონალები უძღვებიან და არც გულშემატკივარს ივიწყებენ, იქ დაუვიწყარი სანახაობებიც იდგმება (თითო-ოროლა გამონაკლისი აქ რა მოსატანია). ასეთი შესავალი ოთხშაბათის რაუნდის პერიპეტიებმა გვიკარნახა.**

### „ა“ ჯგუფი

**„იუვენტუსი“ — „ბაიერნი“ 2:1.**
**გოლები: ტრეზეგე (2); დაისლერი.**
**„ბრიუგე“ — „რაპიდი“ 3:2.**

ვერ გეტყვით, რამ გამოიწვია სიხალვათე „დელე ალპის“ ტრიბუნებზე, მაგრამ ვინც მივიდა, დარწმუნებულნი ვართ, კმაყოფილმა დატოვა სტადიონი. ეს, უპირველესად მასპინძელთა ბრძენი მწვრთნელის ფაბიო კაპელოს დამსახურებაა, რომელმაც შედარებით უფერული პირველი ტაიმის შემდეგ განხორციელებული ცვლილებებით შეხვედრაც გამოაცოცხლა და თავის გუნდს რევანშიც აალებინა.

**„იუვენტუსი“, „ბაიერნი“ — 9-9, „ბრიუგე“ — 6, „რაპიდი“ — 0 ქულა.**

**შემდეგი ტური: „ბაიერნი“ — „რაპიდი“, „ბრიუგე“ — „იუვენტუსი“.**



### „ბ“ ჯგუფი

**„არსენალი“ — „სპარტა“ 3:0**
**გოლები: ანრი, ვან პერსი (2).**
**„თუნი“ — „აიაქსი“ 2:4.**

ფავორიტებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს საკუთარი ამბიციების საფუძვლიანობა, თუმცა ქებას შვეიცარიული კლუბიც იმსახურებს, რომელმაც ორჯერ გაუთანაბრა ანგარიში ამსტერდამელებს, მაგრამ ბოლო წუთებზე მაინც დამარცხდა.

**„არსენალი“ — 12, „აიაქსი“ — 7, „თუნი“ — 3, „სპარტა“ — 1 ქულა.**

**შემდეგი ტური: „თუნი“ — „არსენალი“, „აიაქსი“ — „სპარტა“.**

### „გ“ ჯგუფი

**„ბარსელონა“ — „პანათინაიკოსი“ 5:0.**
**გოლები: ვან ბომელი, ეტოო (3), მესი.**
**„ვერდერი“ — „უდინეზე“ 4:3.**
**გოლები: კლოზე, ბაუმანი, მიკუ (2); დი ნატალე (2), შულცი (საკუთარ კარში).**

რა უჭირთ კატალონიელებს — ფრანკ რაიკაარდის გაწვრთნილი ბიჭები ერთმანეთზე უფრო შთამბეჭდავი შედევრებით ანებივრებენ თავიანთ მრავალრიცხოვან ქომაგებს. ამჯერად მათი მსხვერპლი პირველივე ტაიმში დაჩოქებული ბერძნული კლუბი აღმოჩნდა, რომელმაც წინა ტურში მრისხანე მეტოქესთან ფრეს მიაღწია.

რაც შეეხება მეორე წყვილს, მათ დუელში მოვლენები მართლაც რომ ტრილერის სცენარით განვითარდა — სტუმრებმა 10 წუთის განმავლობაში სამბურთიანი ჩამორჩენა აღმოფხვრეს, თუმცა საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ.

**„ბარსელონა“ — 10, „უდინეზე“, „ვერდერი“, „პანათინაიკოსი“ — 4-4 ქულა.**

**შემდეგი ტური: „ბარსელონა“ — „ვერდერი“, „პანათინაიკოსი“ — „უდინეზე“.**

### „დ“ ჯგუფი

**„ლილი“ — „მანჩესტერი“ 1:0.**
**გოლი: აჩიმოვიჩი.**
**„ბენფიკა“ — „ვილიარეალი“ 0:1.**
**გოლი: სენა.**
**„ვილიარეალი“ — 6, „ლილი“, „მანჩესტერი“ — 5-5, „ბენფიკა“ — 4 ქულა.**

**შემდეგი ტური: „მანჩესტერი“ — „ვილიარეალი“, „ლილი“ — „ბენფიკა“.**

**სპორტულ ორბიტაზე**



## თუკი ლუჟკოვი დაჰპირდათ

**მოსკოვში ხოდინკაზე ახალი ყინულის სასახლის საძირკველში სამახსოვრო კაფსულის ჩადების ცერემონიაზე ქალაქის მერი იური ლუჟკოვი შეკრებილთ დაჰპირდა, რომ 2007 წელს მოსკოვი უმასპინძლებს ჰოკეიში მსოფლიო ჩემპიონატს, რომელიც იქ 1993 წლის შემდეგ აღარ გამართულა.**

მერმა ისიც განაცხადა, რომ ყინულის სასახლე, რომელიც 14 ათას მაყურებელს დაიტევს, მხოლოდ ჰოკეისთვის არ იქნება განკუთვნილი. ის მრავალასპექტიანი, მრავალფუნქციური კომპლექსი იქნებაო. „ამ კომპლექსში ყველაფერი მაღალ დონეზე იქნება“, — აღუთქვა მერმა მოსკოველებს.

როგორც რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა განაცხადა, ლუჟკოვი სიტყვის კაცია და ის თავის დანაპირებს შეასრულებს.

ახალი ყინულის სასახლის საერთო ფართობი 45 ათასი კვადრატული მეტრი იქნება, სასახლის ცენტრში განთავსდება ყინულის მოედანი (60 მX30 მეტრზე). მშენებლობა 2006 წლის სექტემბრისთვის დამთავრდება.

## ტოპალოვ-ფიშერის მატჩი არ შედგება

**თუმცა ცოტა ხნის წინათ ფიდეს ახალი მსოფლიო ჩემპიონის, ბულგარელი დიდოსტატის ვესელინ ტოპალოვის მენეჯერმა სილვიო დანაილოვმა ხმამაღლა გამოაცხადა, რომ გაიმართება ახალბედა ჩემპიონის მატჩი ჭადრაკში მე-11 მსოფლიო ჩემპიონთან რობერტ ფიშერთან, მაგრამ როგორც სპორტული საინფორმაციო სააგენტო „მთელი სპორტი“ ისლანდიის ჭადრაკის ფედერაციაზე დაყრდნობით იუწყება, ამჟამად ისლანდიაში მცხოვრებმა ფიშერმა განაცხადა, რომ სავარაუდო მატჩის შესახებ არაფერი იცის, თანაც ჯერჯერობით მზად არ არის ამ საკითხის განსახილველად.**

როგორც ამ ინფორმაციის წყარო აღნიშნავს, მისი დიდი მეგობრის ფიგურის მეშვეობით ბევრს უნდა მიიზიდოს საზოგადოებრივი ყურადღება. ტოპალოვსაც, კრამნიკსაც და კარპოვსაც, თვით კასპაროვსაც კი უნდოდათ ფიშერთან თამაში, მაგრამ ის არ ფიქრობს, რომ მას ახლა ეს სჭირდებოდეს“.

## ვიქტორია ამერიკისკენ მიისწრაფის



**ალბათ დღეც კი არ გავა, რომ რაღაც არ დაიწეროს საქვეყნოდ აღიარებული წყვილის — დევიდ და ვიქტორია ბექჰემების შესახებ. თუმცა ასეთი პოპულარობა ზოგჯერ ამ წყვილის საზიანოცაა.**

მაგალითად, როდესაც ფეხბურთისა და ესტრადის ეს ვარსკვლავები ინგლისში ცხოვრობდნენ, მათი საცხოვრებელი სახლის ღობეს ვიღაც მამაკაცმა გაზოლინი გადაასხა და ცეცხლი წაუკიდა. სახლში მხოლოდ ვიქტორია იყო თავის ვაჟიშვილებთან ბრუკლინთან და რომეოსთან ერთად. დევიდი ამ დროს ესპანეთში, მადრიდის „რეალთან“ ერთად ახალი სეზონისთვის ემზადებოდა.

ესპანეთში ვარსკვლავთა წყვილს გაცილებით ჰუმანურად ეპყრობიან. თუმცა ამ წყვილის პოპულარობას მაინც თავისი უარყოფითი შედეგებიც მოაქვს. თანაც ბოლო ხანებში მომღერალ ვიქტორიას ძალზე უნდა სცენაზე დაბრუნება. ამ მიზნის განსახორციელებლად მას სხვაგან გამგზავრებაც სურს.

Ananova-ს ინფორმაციით, პოში, როგორც ვიქტორიას ეძახიან, აპირებს ამერიკაში გამგზავრებას, რათა ლოსანჯელესში შეიძინოს და მოაწყოს სახლი. მისი აზრით, „აშშ-ში ისედაც ბევრი ვარსკვლავია. ამიტომაც მათ ფონზე ბექჰემებს ნაკლებ ყურადღებას მიაქცევენ“. თავიანთ პოტენციურ საცხოვრებლად პოშმა დაასახელა მალიბუ და ჰოლივუდის გორაკები.

## ყოფილი ქმრის მემკვიდრე?

**„ოლიმპიური ბალი“ ბევრ ქვეყანაში იმართება, მათ შორის გერმანიაშიც. ამ დღეებში მაინის ფრანკფურტის ძველმა ოპერამ უმასპინძლა 24-ე ყოველწლიურ წვეულებას, რომელზეც 180-ე მეტი სპორტსმენი იყო მიწვეული, ძირითადად ყოფილი თუ ახლანდელი მსოფლიო და ევროპის, აგრეთვე ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები.**

ცერემონიას უძღვებოდნენ ცნობილი საფეხბურთო მსაჯი მარკუს მერკი და მოცურავე ფრანცისკა ვან ალმსიკი. ამ უკანასკნელმა არა მარტო თავისი მომხიბვლელობით, არამედ კაბის ჭრილიდან გამომზირალი ახალი სვირინგებითაც მიიქცია საზოგადოების ყურადღება. სვირინგებისადმი მიდრეკილება ალბათ ყოფილი ქმრისგან — ხელბურთელ შტეფან კრეჩმარისგან დარჩა მემკვიდრეობად — შტეფანს ხომ პრაქტიკულად მთელი სხეული აქვს მოსვირინგებული.



⊙ შენ, სისხლო ჩემო!..

# ოცნებაში ზღაპრულ ქვეყნად ჩახატული საქართველო

## 11 წლის დემეტრე გამსახურდიამ სამშობლოს რუკა ზეპირად დახატა

**11 წლის დემეტრემ ირა ბებიას საქართველოს ფერადი რუკა ზეპირად დაუხატა. ეს იყო შვეიცარიაში, ქ. დორნახში, სადაც ცოლ-ქმარი ნინო ბარდაველიძე და კონსტანტინე ზ. გამსახურდია 1992 წლიდან ცხოვრობენ. დემეტრე უცხოეთში 3 წლისა წაიყვანეს, მისი ძმა ზვიადი კი იქ დაიბადა და საქართველო დღემდე არ ენახა.**

ვანა თბილისში. 17 წლის დემეტრე და 13 წლის ზვიადი, რომლებიც წმინდა, შეურყვნელი ქართულით მეტყველებენ, ყველაფერს ყურადღებით და ინტერესით აკვირდებოდნენ. დედაქალაქში ყოფნის აპოთეოზი კი 8 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში მათ მიერ გამართული კონცერტი იყო. დე-



დედ-მამამ უცხოეთში შვილებს საოცრად დახვეწილი და საქართველოსადმი უწმინდესი და უნაზესი სიყვარულით აღსავსე გარემო შეუქმნეს. იმის თქმა, რომ ოჯახში ყველა ქართულად ლაპარაკობს, ცოტაა. მშობლებმა ბავშვებს ქართული გალობანი და სიმღერები შეასწავლეს, თბილისიდან ბებიას და ბაბუას — ირა ისაკაძისა და ჯონდო ბარდაველიძის გაგზავნილ ქართულ კინოფილმებს უყურებდნენ, ქართულ ხალხურ ზღაპრებს და მრავალნაირ საყმაწვილო ქართულ ლიტერატურას კითხულობდნენ და ოცნებაში საქართველო ზღაპრულ ქვეყნად ჩაიხატეს.

ბებია და ბაბუა ყოველ მეორე ან მესამე წელს შვეიცარიაში მიემგზავრებოდნენ და დაბრუნებულები მორიგ წასვლამდე ქ. დორნახიდან ჩამოტანილი ვიდეოკასეტებით სულდგმულობდნენ, შვილებისა და შვილიშვილების გალობა-სიმღერებით და სხვა ოჯახური სცენებით ტკბებოდნენ.

მე, როგორც სტუდენტობის წლებიდან მათი განუყრელი მეგობარი, ყოველივე ამის უშუალო მოწმე ვიყავი. მაშინაც მიმაჩნდა და დღესაც იმავე აზრისა ვარ, რომ აქ, საქართველოში, არ მეგულება მეორე ოჯახი, სადაც ბავშვებს მშობლიური ქვეყნისადმი ამგვარი უზადო სიყვარულით ზრდიდნენ (ცხადია, ალბად, შესაბამისი მოტივაციის უქონლობის გამო).

სულ ახლახან ბატონმა კონსტანტინემ ბავშვები პირველად ჩამოიყვანა თბილისში.

მეტრემ ფორტეპიანოზე, ხოლო ზვიადმა ვიოლინოზე ბრამსის, რაველის, პროკოფიევის, მესიანისა და ვინიავსკის, აგრეთვე ორი — საკუთრივ დემეტრეს ნაწარმოებები შეასრულეს.

მე მუსიკოსი არ გახლავართ და არც მათი ოსტატობის შეფასების პრეტენზია მაქვს, მაგრამ მსმენელებით გადაჭედილი დარბაზის ხანგრძლივი ოვაცია ამ ახალგაზრდა მუსიკოსების დიდი წარმატების მაუწყებელი გახლდათ.

მჯერა, რომ შვილიშვილების ასეთი ტრიუმფი ზეცაში ჩემი მეგობრის, ბავშვების ბაბუის — ჯონდო ბარდაველიძის სულსაც მისწვდა. ჯონდო ექვსი წლის წინათ გარდაიცვალა. სიკვდილის წინ, ავტომანქანით სახლში რომ ბრუნდებოდა, ჯონდო მძღოლს თურმე დემეტრესა და ზვიადის ფოტოსურათებს უჩვენებდა და მათზე ელაპარაკებოდა. მეორე წუთში კი...

ჯონდოს გულმა უმტყუნა.. „სიკვდილის გზა არრა არის, ვარდისფერ გზის გარდა" — ამბობს გალაკტიონი. მართლაც!...

მაგრამ მაინც ბედნიერებაა, რომ წინაპართა იმედებსა და ოცნებებს შვილები და შვილიშვილები აღასრულებენ.

**ამირან გაბისონია**

**P. S. რუკაზე მარჯვნივ, ქვედა კუთხეში წარწერაა: „ირა ბებიას. დემეტრე გამსახურდია. დავამთავრე 22.5.2000. ვარ 11 წლის. ზეპირად დახატულია ეს რუკა".**

**ა. გ.**

⊙ ცოტაც გავიცინოთ...

**ადამი** და ევა მართლაც სამოთხეში ცხოვრობდნენ! წარმოგიდგენიათ? — არც სიდედრი ჰყავდათ და არც — დედამთილი!

* * *

**განცხადება:** „კარგ ოჯახს, სრული ჰარმონიისთვის, ესაჭიროება მახინჯი."

* * *



— ეს რა თუთიყუში მომყიდეთ, — კაპასობს ქალი ზოომაღაზიაში, — ერთი მოგასმენინათ, რეებს ლაპარაკობს! უბრალოდ, წარმოუდგენელია!

— გეთანხმებით, ქალბატონო, მართლაც უზრდელი ჩიტია, მაგრამ, სამაგიეროდ, არც ეწევა და არც სვამს!

* * *

— თუ შეიძლება, მითხარით, სად ვარ? — ენის ბორძიკით ეკითხება გალეწილი მთვრალი შემხვედრს.

— გურამიშვილის ქუჩაზე, მეორე ჩიხთან.

— რა ჯანდაბად მინდა ამდენი წვრილმანი. რომელ ქალაქში ვარ?

* * *

**როდესაც** ლუდის კათხაში ბუზს აღმოაჩენენ, მაშინ:

ამერიკელი ლუდს გადაღვრის და ახალს შეუკვეთავს.

ინგლისელი ფულს გადაიხდის, ლუდს არც მიეკარება და მიდის.

ფრანგი ოფიციანტს მოიხმობს და ლუდის ხელახლა ჩამოსხმას მოითხოვს.

იტალიელი ბუზს ამოიღებს და ლუდს დალევს.

აფრიკელი ლუდს ბუზიანად დალევს.

ჩინელი ჯერ ბუზს შეჭამს და მერე ლუდს დალევს.

ბულგარელი ლუდს დალევს, სკანდალს ატეხავს და არაფერს არ გადაიხდის.

რუსი ბუზს დაიჭერს, ლუდს დალევს, ცარიელ კათხაში ბუზს ჩააგდებს და ლუდის ხელახლა ჩამოსხმას მოითხოვს.

⊙ ლარის კურსი

**4 ნოემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,1939 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,8000 ლარი |
| ევრო | 1 | 2,1695 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0630 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0,3915 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,3982 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,5658 ლარი. |

⊙ გამოიცა

# ქალაქის ლამაზი ზღაპარი ბავშვებისათვის

**გაიხსნა ცა და აქ ჩვენს, ცოდვებით დამცირებულ, სიყვარულისგან და სიკეთისგან თითქმის დაცლილ ქვეყანაზე გადმოვიდა ფერია. გადმოვიდა ლამაზი წიგნით ხელში, რომელსაც ერქვა „ქალაქური ზღაპარი" და მიგვიპატიჟა იმ ბედნიერ სამყაროში, რომელშიც მხოლოდ ბავშვური გულწრფელობა და სუფთა ურთიერთობა სუფევს, სადაც ბოროტება მარცხდება და სიკეთე ზეობს ყოველთვის.**

ქალაქში მისი აღმატებულება ზღაპარი შემობრძანდა და ჩვენც ამ დღეს, შეიძლება, სულ ცოტა ხნით, მაგრამ მაინც დავბრუნდით ჩვენს ბავშვობაში, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების მოწმენდილი ცის და ოცნებების ხანაში.

ეს სასწაული ქალბატონმა ევა ბაბალაშვილ-ხუხაშვილმა გვაჩუქა, რომელიც ეს-ესაა მშვენიერ წიგნად გამოიცა — „ქალაქური ზღაპარი".

**„აქ შეხვდებით პრინცესადქცეულ კონკიას და თოვლის ფანტელივით მსუბუქ და მომხიბვლელ ფიფქრიას, კეთილ გოლიათს — ჯინს და ადამიანის სამსახურში ჩამდგარ ქალთევზას, დათვის ბელს, კაის და მათ მეგობრებს, რომლებიც „ქალაქური ზღაპრის" გმირებთან — თქვენს თანამედროვეებთან — ბედიასთან და ნატალისთან ერთად გადადიან ზღაპრიდან ზღაპარში და მიზნად მხოლოდ სიკეთის ქმნა დაუსახავთ",** — ასე წერია წიგნის წინათქმაში და ენდეთ, გაყევით მოთხრობილ ამბავს, რადგან გულწრფელია იგი და მართალი, როგორც თავად სიკეთე — ჩვენი ბავშვების გზამკვლევი.

ეს სასწაული სრულიად მოულოდნელად დაიწყო, სპონტანურად:

— ჩემს ბავშვებს ძილის წინ ზღაპრებს ვუყვებოდი. ასეა ყველა დედა და ბებია. მაგრამ არასოდეს — ერთსა და იმავეს. მერე ეს ზღაპრები იკარგებოდა. აღარავის ახსოვდა. გული მტკიოდა უგზო-უკვლოდ რომ ქრებოდა. და ერთხელ, თითქოს განგების ნებითა და სურვილით დავიწყე წერა. სრულიად მოულოდნელად. მაგრამ, ეტყობა, ამ მოულოდნელობისთვის შინაგანად მზად ვიყავი. ადრე ჩემთვის პატარა ნოველებს ვწერდი — ჩემთვის და სხვა არავისთვის. ახლა კი, რომ გითხრათ გავბედე-მეთქი საქვეყნოდ გამოტანა, სწორი არ ვიქნები. ყველაფერი თავისით მოხდა, ზეგარდმო კარნახით.

თქვენ ხვდებით, რომ ეს მონოლოგი ქალბატონ ევას ეკუთვნის.





სწორედ ასე უპასუხა მან ჩემს ერთადერთ შეკითხვას, რომელი მეზღაპრე ფერია ესტუმრა ეს სიკეთე რომ ჩააგონა მას, განათლებით ბიოლოგს, საზოგადოებრივი საქმიანობით უაღრესად დაკავებულ ქალბატონს (იქ — მსოფლიო ქართველ ებრაელ ქალთა ასოციაციის პრეზიდენტია) და ზღაპრის დაწერა შთააგონა?

— მუსიკასავით იწერებოდა, ისე, როგორც მხატვრული ტილო, როცა ავტორმა არ იცის, ერთ მონახაზს რომელი მოჰყვება, — ესეც ქალბატონმა ევამ მითხრა.

ეტყობა, ეს შემოქმედებითი მუხტი იმდენად ძლიერი გამოდგა, რომ უკვე გაგრძელებას ბეჭდავს თავის კომპიუტერზე. ეს საქმეც კარგად იცის, თუმცა, ჯადოქარ ფერიას ტექნიკის ფლობა სულაც არ ევალება.

ჰო, კიდევ რა მინდოდა მეთქვა: ამ დღეებში, როცა ტირაჟი ჩამოიბეჭდება და წიგნი მზად იქნება, „ქალაქის ზღაპარი" უპატრონო ბავშვთა სახლებს და სკოლა-ინტერნატებს საჩუქრად დაურიგდება. ეს ჟესტიც ზღაპარივით ლამაზია.

დაბოლოს, ხუხაშვილების ოჯახთან, ოცდაათი წელია ვმეგობრობ, — ბატონ ჯამლეტთან და ქალბატონ ევასთან. და, მე მგონი, ერთმანეთისთვის არც არასდროს გვიღალატია, და არავითარ კონიუნქტურულ სიტუაციას არ გაუცუდებია ჩვენი ურთიერთობა. და ეს უკვე ზღაპარი არ არის, სინამდვილეა, სიმართლეა, როგორც ყველაფერი, რაზეც ამ პატარა წერილში გელაპარაკეთ.

**არმაზ სანებლიძე**

⊙ ზრუნვა

# წყნეთში დევნილებისთვის სპორტული კომპლექსი გაიხსნა

**გუშინ დიდი სიხარული სუფევდა წყნეთში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს შორის. აქ საზეიმოდ გაიხსნა სპორტული კომპლექსი.**

წყნეთში ოთხი ათასამდე აფხაზეთიდან დევნილი ცხოვრობს. მათ აქამდე არ ჰქონდათ იმის საშუალება, რომ ჯანსაღად, სპორტულად აღეზარდათ შვილები. ხოლო ბავშვობიდანვე კარგი ფიზიკური წვრთნა რასაც ნიშნავს, ეს ყველასთვის ცნობილია.

... გაისმის საქართველოს ჰიმნი. სახელმწიფო დროშას მაღლა სწევს ჩვენი სახელოვანი ოლიმპიური ჩემპიონი ზვიად ზვიადაური. იქვე დგანან დევნილი მოზარდები და სწორდებიან უკვე შეჩვეული უფროსი მეგობრის, ცნობილი ფალავნის ელდარ კურტანიძის დაძახილზე... თვითონ ელდარიც ხომ აფხაზეთის მკვიდრია!

დევნილ მოსახლეობას მიესალმნენ და სპორტული კომპლექსის გახსნა მიულოცეს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა ეთერ ასტემიროვამ, საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის თავმჯდომარემ კახა გეწაძემ.



სპორტული კომპლექსის რეაბილიტაცია განხორციელდა საერთაშორისო ორგანიზაციის „ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს" მიერ, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან თანამშრომლობით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოში „ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს" წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ულა ბაკლუნდის ღვაწლი ამ პროექტის განხორციელებაში.

ქალბატონ ეთერ ასტემიროვას თქმით, მათმა სამინისტრომ აქტიურად ითანამშრომლა „ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოსთან", რათა ეს კომპლექსი დევნილთა სამსახურში ჩამდგარიყო. მათ რეაბილიტაციისთვის უკვე 35000 აშშ დოლარი გაიღეს: მოაწყვეს საშხაპე და გასახდელები. მომავალში კი კომპლექსის კეთილმოწყობის თვალსაზრისით ისინი კვლავაც აპირებენ დამატებითი თანხის გამოყოფას.

საჭიდაო დარბაზი, რომელიც კარკასულ მდგომარეობაში იყო და რომლის ფართობიც 150 კვ.მ. შეადგენს, თითქმის მთლიანად თავიდან აშენდა. შიგნითა ინტერიერის მოწყობაზე, სპორტული ლეიბების შეძენაზე იზრუნა თვითონ ელდარ კურტანიძემ. გარდა ამისა, კეთილმოეწყო ღია სპორტული მოედანიც, სადაც ბავშვები ფეხბურთს ითამაშებენ.

სპორტული კომპლექსი ელდარ კურტანიძის სახელობისა იქნება. აქ უკვე 70 ბავშვია გაერთიანებული. მათ წვრთნაზე იზრუნებს თვით ელდარის მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში ზურაბ ქალდანი. ბავშვები აქ უფასოდ ივარჯიშებენ.

გუშინ წყნეთში ამ ღონისძიებას ვერ ესწრებოდნენ თვითონ „ნორვეგიის ლტოვილთა საბჭოს" წარმომადგენლები, რადგან ამჟამად საქართველოში არ იმყოფებოდნენ. ისინი თვის ბოლოსთვის ჩამოვლენ, ჩამოიტანენ სათანადო ინვენტარს და ბოლომდე აღჭურავენ სპორტულ კომპლექსს.

კახა გეწაძის თქმით, 2006 წელი ჭიდაობის წელიწადი იქნება და, წყნეთის მსგავსად, სხვაგანაც გაიხსნება საჭიდაო კლუბები.

დევნილი ყმაწვილები: შოთა ჩხვირკია, ზვიად დარცმელია, ამირან კაციტაძე, ლევან ჯოჯუა და სხვები უკვე საჭიდაოდ ემზადებიან...



ჩვენო ელდარ, მრავალი ოლიმპიური ჩემპიონი ალგეზარდოსო, უსურვებდნენ მოწვეული სტუმრები ოლიმპიურ ჩემპიონს.

და აქვე: ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს დევნილებმა ასეთი შეკითხვაც დაუსვეს: მართლა იყიდა თუ არა ვილაც ინვესტორმა წყნეთში მათი საცხოვრებელი კომპლექსი და უპირებენ თუ არა მათ აქედან რაღაც თანხის საფასურად გასახლებას? — რაზეც ეთერ ასტემიროვამ უპასუხა, რომ ეს არის ჭორი და მას ამის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ აქვს. და თუკი ასეთი რამ შეიძლება მოხდეს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დევნილებს საყოფაცხოვრებო პირობები უფრო გაუუმჯობესდებათ. ამ სიტყვებმა ისინი დაამშვიდა და მადლობა გადაუხადეს მინისტრს თანადგომისთვის.

**ლია ჭიღლაძე**

⊙ ინფორმაცია

## „მრეწველების" მესამე ყრილობა

**პოლიტიკური** გაერთიანება „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" 5 ნოემბერს პარტიის რიგით მესამე ყრილობას გამართავს, რომელზეც განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შედეგები შეჯამდება და სამომავლო პრიორიტეტები განისაზღვრება.

როგორც ინტერპრესნიუსს პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ტყემალაძემ განუცხადა, ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას ქვეყნის ყველა რეგიონიდან 750-მდე დელეგატი მიიღებს.

## გერგედავები აქციას მართავენ...

**გუშინ** დილიდან შეზღუდულია ავტომანქანების მოძრაობა მდინარე ენგურის საავტომობილო ხიდზე.

ფინანსური პოლიციის მიერ დაკავებული ერთ-ერთი ქალბატონის ჟუჟუნა გერგედავას ოჯახის წევრები და ახლობლები დილიდან აქციას მართავენ.

მათ გადაკეტეს ენგურის ცენტრალური ხიდის მისადგომები და გალისა და ზუგდიდის რაიონის მიმართულებით გაეროს, რუსეთის სამშვიდობო ძალებისა და ჰუმანიტარული ორგანიზაციების სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანების გატარებაზე უარს აცხადებენ.

რაც შეეხება ქვეითად მოსიარულეებს და დევნილებს, მათ პრობლემები გადაადგილებაში არ შექმნიათ.

გადაადგილებასთან დაკავშირებით, გუშინ პრობლემები შეექმნათ ჭუბურხინჯის ოთხმხრივი შეხვედრის მონაწილეებს, რომლებიც ჭუბურხინჯში შემოვლითი გზით მოხვდნენ

ფინანსურმა პოლიციამ ჟუჟუნა გერგედავა უაქციზო სიგარეტის გალიდან ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე გადმოტანის გამო დაახლოებით ერთი კვირის წინათ დააკავა.

გერგედავას სახლში მცირეწლოვანი შვილი ჰყავს, ხოლო მისი მეუღლე აფხაზეთში საომარი მოქმედებების დროს მიღებული ჭრილობის გამო ინვალიდია.

აქციის მონაწილეები ჟუჟუნა გერგედავასთვის პატიმრობის შეცვლას და მის გათავისუფლებას მოითხოვენ. სასამართლომ მას 30-დღიანი პატიმრობა შეუფარდა.

## აფხაზი ბავშვი მართლმადიდებლური წესით მოინათლა

**ქუთაისის** სამედიცინო ინსტიტუტის ბავშვთა კლინიკიდან დღეს 2 წლის აფხაზი ბავშვი ლეონიდ კვეკვესკირი გაწერეს. იგი ქუთაისის კლინიკაში ათი დღის განმავლობაში კუჭ-ნაწლავის დაავადების დიაგნოზით მკურნალობდა.

ქუთაისში კვეკვესკირი ოჩამჩირედან დედასთან ერთად ზუგდიდელმა ექიმმა ზურაბ უბერმა ჩაიყვანა. გამოჯანმრთელებული ბავშვი გუშინ დედის სურვილით და თხოვნით, მართმადიდებლური წესით მოინათლა. ცერემონია საავადმყოფოს პალატაში ქუთათელ-გაენათის მიტროპოლიტმა მეუფე კალისტრატემ ჩაატარა.

ბავშვს სამი ნათლია ჰყავს, ერთ-ერთი არის ექიმი ზურაბ უბერი.

## ვაჟა ადამიამ „თელასის" თანამშრომელი დაჭრა

**გუშინ** მერაბ კოსტავას საზოგადოების თავმჯდომარემ ვაჟა ადამიამ გუშინ მასთან ელექტროენერგიის ჩასაჭრელად მისული „თელასის" თანამშრომელი დაჭრა.

როგორც ინტერპრესნიუსს კომპანია „თელასში" განუცხადეს, ვაჟა ადამიას საცხოვრებელ სახლში „თელასის" თანამშრომლები ელექტროენერგიის ჩასაჭრელად მივიდნენ, ადამიამ ერთ-ერთი ფეხში დაჭრა, ხოლო მეორეს იარაღი თავში ჩაარტყა.

ამჟამად „თელასის" დაჭრილი თანამშრომელი თბილისის №1 საავადმყოფოშია გადაყვანილი, ხოლო ადამია პოლიციამ დააკავა და იგი ამ დროისთვის პოლიციის განყოფილებაში იმყოფება.

**ინტერპრესნიუსი**

## დღის კალენდარი 4 ნოემბრისთვის

| ☼ | ☽ |
|---|---|
| ამოდის 06.36 | ამოდის 09.19 |
| ჩადის 16.50 | ჩადის 18.06 |

**წლის 308-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 57 დღე.**

### საეკლესიო კალენდარი

**ხსენება მოციქულთა სწორისა ამბერკისა — იერაპოლის ეპისკოპოსისა. საკვირველთმოქმედისა (დაახლ. 167); წმიდა შვიდთა ყრმათა ეფესელთა: მაქსიმილიანესი, იამბლიქოსი, მარტინიანესი, დიონისესი, ანტონინესი, ექსაკუსტოდიანესი (კონსტანტინე) და იოანესი (დაახლ. 250); მოწამეთა: ალექსანდრე ეპისკოპოსის ირაკლი მხედრისა და ოთხთა დედათა: ანნასი, ელისაბედისა, თეოდოტიასი და გლიკერიასი. დღესასწაული ყაზანის ღვთისმშობლის ხატისა.**

### დაიბადნენ:

**1575 — გვიდო რენი,** იტალიელი ფერმწერი.

**1812 — ნინო ჭავჭავაძე,** პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილი და ცნობილი რუსი მწერლისა და დიპლომატის ალექსანდრ გრიბოედოვის მეუღლე.

**1942 — ჟიგმონდ მორიცი,** უნგრელი მწერალი.

### გარდაიცვალნენ:

**1919 — სოფია ტოლსტაია,** ცნობილი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის მეუღლე.

**1924 — გაბრიელ ფორე,** ფრანგი კომპოზიტორი.

**1987 — იცხაკ რაბინი,** ისრაელის პრემიერ-მინისტრი, მოკლა ებრაელმა ექსტრემისტმა.

**2001 — ილია ანთელავა,** საქართველოს ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარი.

### მოვლენები:

**1493 წელი** — ქრისტეფორ კოლუმბის ექსპედიციამ კუნძული გვადელუპა აღმოაჩინა.

**1838 წელი** — სტენდალმა დაიწყო თავისი ცნობილი რომანის „პარმის სავანის" წერა, რომელიც შვიდ კვირაში დაამთავრა.

**1848 წელი** — საფრანგეთის დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საფრანგეთის მეორე რესპუბლიკის კონსტიტუცია.

**1853 წელი** — თურქეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს.

**1879 წელი** — ჯეიმს რიტიმ დააპატენტა პირველი საკასო აპარატი, რათა ბოლო მოეღო ბარმენთა ქურდობისათვის თავის მაღაზიაში ოჰაიოს შტატის პატარა ქალაქ დეიტონში.

**1890 წელი** — ლონდონში გაიხსნა მსოფლიოში პირველი მიწისქვეშა ტრანსპორტი — მეტრო.

**1922 წელი** — ინგლისელმა არქეოლოგმა ჰოვარდ კარტერმა აღმოაჩინა ფარაონ ტუტანჰამონის აკლდამა.

**1946 წელი** — პარიზში დაარსდა იუნესკო — გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაცია.

**1956 წელი** — საბჭოთა ჯარები შეიჭრნენ ბუდაპეშტში. დაუზუსტებელი მონაცემებით, დაიღუპა 25 ათასი უნგრელი და 7 ათასი საბჭოთა ჯარისკაცი.

**1970 წელი** — საბჭოთა კავშირში დაარსდა ადამიანის უფლებათა კომიტეტი, რომლის წესდებას ხელი მოაწერეს აკადემიკოსმა ანდრეი სახაროვმა, ანდრეი ტვერდოხლებოვმა და ვალერი ჭალიძემ.

**1980 წელი** — აშშ-ში პრეზიდენტის არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა რესპუბლიკელმა რონალდ რეიგანმა.

### ღირსსახსოვარი დღეები:

**ტონგა — კონსტიტუციის დღე.**
**პანამა — დროშის დღე.**
**აშშ — უილ როჯერსის დღე.**

**მედიანიუსი**



საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, ღვაწლმოსილი იურისტი

ამბერკი ოქროპირიძე

მრავალი წლის მანძილზე იგი ერთგულად ემსახურებოდა მშრომელთა სამართლებრივი და იურიდიული უფლებების დაცვას. ჭეშმარიტი მამულიშვილი, ნამდვილი პროფესიონალი და ერთგული მეგობარი, ასეთი დარჩება იგი კოლეგებისა და ახლობლების ხსოვნაში.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო ეკოლოგიის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს ნუგზარ კვაშილავას მეუღლის

რუსუდან მიგინეიშვილი-კვაშილავას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ნუგზარ და გრიგოლ კვაშილავას მთელ ოჯახს, ახლობლებს.

---

სს ნავთობის ეროვნული კომპანია „საქნავთობის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ლოჯისტიკის დეპარტამენტის საამქროს უფროსის მოადგილე

ვახტანგ ურუშაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები ციალა, ნარგიზი კოხოძეები, სიძეები იულონ სამადალაშვილი, შოთა ნადიბაიძე, შვილიშვილები გია, ირაკლი, დათო, ლევანი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი მინაგოს ძე კოხოძე

პანაშვიდი 4, 5 XI 16 სთ, დაკრძალვა 6 XI 14 სთ, ბაღდათის რაიონი, სოფელი მეორე ობჩა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი — შპს „თანადგომა-1"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ვილენ მარდალეიშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.